საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№07 (383)

22 - 28 თებერვალი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

## თურქეთის საზღვარზე ჩემოდანში დამალული საქართველოს მოქალაქე დააკავეს 14

## საქართველოს საგარეო ვალი 15,3 მილიარდია 10



«ნაციონალური მოძრაობის» ცხრაწლიანი მმართველობისას საქართველოს საგარეო ვალი 10 მილიარდი დოლარით გაიზარდა

თითოეული მოქალაქის კი — 4146 დოლარი

## «ქართული ოცნების» ყოველი მესამე დეპუტატი დეკლარირებული მილიონერია 11



შოთა შალელაშვილი



იოსებ მაკრახიძე

## ოპერაცია «ბარბაროსა» დედაეკლესიის წინააღმდეგ 6



## ვინ უფრო სახიფათო იყო პატრიარქისთვის — თბილისის აეროპორტში დაკავებული მამა გიორგი (მამალაძე) თუ ბერლინში ჩასული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თვითონ არის მოარული ციანიდი?! 8



## «ლუსტრავი 2»



„ქართველმა ხალხმა უკვე ზუსტად იცის, სინამდვილეში ვინ არის ნაციონალების ფარული სატელიტი. უფრო ზუსტად, ნაციონალები ფორს-მაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და იძულებული შეიქნენ, ყველა ფარული სატელიტი გამოეაშკარავებინათ“. 9

## საქართველოს აქტიური მოსახლეობის 97 პროცენტს სესხი აქვს აღებული 11

## «ვაი, შენს პატრონს, კვირიკაშვილო! ვიცეპრემიერობაღა აკლდა ჯეჯელავას» 7



## ქართველები, როგორც «საზარბაზნე ხორცი»

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის განცხადებაში ნათლად გამოსჭვივის საქართველოსა და ქართველი ჯარისკაცებისადმი დამოკიდებულება, რომელიც ძალიან ჰგავს ეგვიპტელი და ერაყელი მმართველების დამოკიდებულებას არამუსლიმანი თეთრკანიანი მონების — მამელუქების მიმართ 15

## რისთვის ვუხდით აშშ-ს კონტრიბუციას?

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ მართლა კაცი იყო მეუფე პეტრე, სააკაშვილის ბოგინობის ჟამი რომ იყო, სააკაშვილს რატომ არ უთხრა, როგორ ექცეოდნენ სულხან მოლაშვილს. და ახლა ამბობს, თითქოს ჩვენ იქ, მოლაშვილის სახლში, გვქონდა გახსნილი ბორდელი. გესმით, ეს ნაძირალა რეებს ლაპარაკობს?! გესმით, რას აკეთებს ეს ნაძირალა?!“




## რესპუბლიკური პარტია მართლმადიდებლური ეკლესიის დაფინანსების შეწყვეტას ითხოვს

**საპატრიარქოში მიმდინარე პროცესებზე რესპუბლიკური პარტია სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. მიმართვაში ხელისუფლების მხრიდან პროცესებში ჩარევასა და საპატრიარქოსთვის გამოყოფილ გაზრდილ დაფინანსებაზეა საუბარი, რომლის მიზნობრიობა არ ჩანს. რესპუბლიკელები მთავრობას მიმართავენ, დაუყოვნებლივ შეუწყდეს საპატრიარქოს დაფინანსება.**

„ამ რთულ ვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს ეკლესია და სახელმწიფო, არ გასცდეს კონკორდატით შეთანხმებულ ნორმებს არც ხელისუფლება და არც ეკლესია, რასაც დღეს აქვს ადგილი და შეწყდეს მართლმადიდებლური ეკლესიის დაფინანსება“, — განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

„ბატონი მამალაძის წერილში აღწერილი ფაქტები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს არის რეალობა და ეკლესიის ზოგიერთი სასულიერო პირი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ჩარეულია კორუფციაში, მათ აქვთ საერთო ბიზნესები. ეს დასტურდება სამეწარმეო რეესტრიდან არაერთი ამონაწერით. ეკლესიას წმინდა ფულადი სახით მიღებული აქვს 200 მილიონზე მეტი, ასევე საპატრიარქოს მიღებული აქვს 1 მილიონზე მეტი კვ.მ მიწის ფართობის სახით. საბოლოო ჯამში, საქართველოს მოსახლეობა რატომ არის ვალდებული, ამდენი იხადოს კომპენსაციის სახით, იქნებ ვინმემ დაუსაბუთოს“, — განაცხადა თამარ კორძაიამ.



## 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის პატიმრობა არაკონსტიტუციურად ცნეს

**საკონსტიტუციო სასამართლომ 15 თებერვალს ძალადაკარგულად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისთვის.**

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვის გამო. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ დაუშვებელია ადამიანის თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ მისივე ჯანმრთელობის დაცვის მოტივით, იმ პირობებში, როდესაც მარიხუანის შეძენითა და შენახვით იგი ზიანს არ აყენებს სხვის ჯანმრთელობას.

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა არ მიიჩნია ნარკოტიკული საშუალების იმ მოცულობად, რომელიც აპრიორი ქმნის მისი გასაღების გარდაუვალ საფრთხეს.

კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის, რომ კანონის მიხედვით, ნარკოტიკული თრობის თვალსაზრისით, 100 გრამი ნედლი მარიხუანის ეკვივალენტურ მასად მიჩნეულია 50 გრამი გამომშრალი მარიხუანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა და შენახვა არ არის 70 გრამ გამომშრალ მარიხუანის შეძენასა და შენახვაზე მაღალი საფრთხის შემცველი. შესაბამისად, ვერც ის გამოდგება ნარკოტიკული საშუალების იმ მოცულობად, რომელიც აპრიორი ქმნის გასაღების რეალურ საფრთხეს.

## მამა ლევანი: მეუფე პეტრე იყო სააკაშვილის სიამის კატა!

**მამა ლევანმა (ფირცხალაიშვილმა) მწვავედ გააქილიკა მეუფე პეტრე და მას იუდა ისკარიოტელი უწოდა.**



„მე ადრე მასთან მქონდა კამათი და ვუთხარი, რომ შენ ხარ იუდა ისკარიოტელის პოზიციაზე-მეთქი და ამას დიდი შეშფოთება მოჰყვა მაშინ... როგორ აკადრაო მღვდელმაო მაგასო, მაგრამ.. მეცოდება ეხლა მე მაგი, რა თქმა უნდა, მაგრამ... კაცი, რომელიც ეკლესიას ამხელს, და მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში იყო სააკაშვილის სიამის კატა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით... სააკაშვილისა და მისი ცოლისა და მისი კლანის სიამის კატა... ასეთი კაცი პატივსაცემ სასულიერო პირებზე „ოქროს თევზს“ ამბობს და თვითონ აი ამ მოვლენაში უკვე ისე გახარებულია... ნახეთ მისი სახე... ისე გრძნობს თავს, როგორც წყალში ოქროს თევზი. გესმით? და მე მგონია, რომ საგამოძიებო მოხელეები მიხვდებოდნენ, საიდან მოდის ეს ამბავი. საიდან მოუწყვეს ეს მამა გიორგის.

მე ყველაფერ ამას ვამბობ ტელევიზიიდან გამოტანილი ანალიზის შედეგად. მე ვიღაცებს ბრალს კი არ ვდებ, ეს ყველაფერი ანალიზის შედეგია. დაპირისპირება სვეტიცხოვლის დღესასწაულზე მოხდა. სუფრაზე წალაპარაკება მოგვივიდა გარკვეულ თემაზე. ...მე ვუთხარი, შენ ხარ იუდა ისკარიოტელი-მეთქი. იმიტომ, რომ მთელი მისი ცხოვრება, მთელი სააკაშვილის პერიოდი ის იყო სააკაშვილის სიამის კატა, ის არ უშვებდა მღვდლებს იქ, რომ ექადაგათ, არასწორად იქცევა სააკაშვილიო.

მე ვიცნობდი **სულხან მოლაშვილს**, პატიმრობაში ვნახე და ახლა რომ ქომაგად დაუდგა იმას ეს მართლა მოლა ნასრედინი. **თუ მართლა კაცი იყო მეუფე პეტრე, სააკაშვილის ბოგინობის ჟამი რომ იყო, სააკაშვილს რატომ არ უთხრა, როგორ ექცეოდნენ სულხან მოლაშვილს. და ახლა ამბობს, თითქოს ჩვენ იქ, მოლაშვილის სახლში, გვქონდა გახსნილი ბორდელი. გესმით, ეს ნაძირალა რეებს ლაპარაკობს?! გესმით, რას აკეთებს ეს ნაძირალა?!“** — აღშფოთებას ვერ მალავდა მამა ლევან ფირცხალაიშვილი გადაცემა „პრიორიტეტის“ ეთერში.

## «სულძაღლმა სააკაშვილმა მაინც შეძლო და გახლიჩა მართლმადიდებლური ეკლესია»

**პარტია „ცენტრისტების“ ლიდერმა და ციხის გახმაურებული კადრების გამავრცელებელმა ლადო ბედუკაძემ სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა.**



„სულძაღლმა სააკაშვილმა მაინც შეძლო და გახლიჩა მართლმადიდებლური ეკლესია.

არავისთვის უცხო არაა, რომ, სულ ცოტა, 2-ჯერ მაინც სცადეს რეჟიმის დროს უწმინდესის მოწამვლით მოკვლა. ღვთის განგებით უწმინდესი მაშინ გადარჩა!

სასწაულებრივად გადარჩა დღესაც, თუმცა არ ელოდნენ მის გადარჩენას და მასთან ერთად უწმინდესის ერთგული მეუფის, იაკობის, ლიკვიდაციაც განიზრახეს!

მაშინ, როდესაც მეუფეებს კედლებზე ხატების ნაცვლად სააკაშვილის სახეშეშლილი ფოტოსურათი ეკიდათ, მეუფე იაკობი და რამდენიმე ერთგული მეუფე ღიად ამხელდნენ ფაშისტურ რეჟიმს.

ვის აძლევდა ხელს ეს გაუგონარი ტრაგედია თუ არა სატანის მოციქულ სააკაშვილსა და მის კრიმინალურ სექტას?!

მათ ხომ თვალისდასანახად ეჯავრებოდათ და დღემდე ვერ იტანენ უწმინდესს!

და საით მიმართეს ისრები?

რა თქმა უნდა, ივანიშვილისკენ!

მათთვის ამ ქვეყანაში ყველა უბედურების სათავე ხომ სწორედ ივანიშვილია!

ამ ორიოდე დღის წინათ სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიაში ნახსენები იყო არარსებული აუდიოჩანაწერი, რომელშიც თითქოს ივანიშვილი უწმინდესის ჩანაცვლებაზე საუბრობს, ე.წ. ექსპერტების „შეშფოთებები“ უწმინდესის ჯანმრთელობაზე, „რ2“-ის ბოდვები და ე.წ. წერილების ფრიალი...

უნდა კი ამას სხვა დამამტკიცებელი არგუმენტი, რომ ამ ყველაფრის სათავე მიხეილ სააკაშვილი და მისი სატანისტური დაჯგუფება (თავის განაყოფებითურთ) „ნაციონალური მოძრაობაა“?!“ — დაწერა ბედუკაძემ.

### ავთანდილ უნგიაძე:

## სამპროცენტიანი რესპუბლიკელები როგორ უნდა საუბრობდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე?!



**რა მოტივით ითხოვს რესპუბლიკური პარტია საპატრიარქოსთვის დაფინანსების შეწყვეტას, რა ძალები დგას რეალურად აღნიშნული მოთხოვნის უკან და რა იქნება შედეგი, თუ კი ხელისუფლება ამ მოთხოვნებს შეასრულებს, „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თავმჯდომარეს — ავთანდილ უნგიაძეს დაუკავშირდა.**

**ავთანდილ უნგიაძე:**

— რესპუბლიკელებისგან სხვას რას უნდა ელოდე? ყველაფერი გასაგებია: ისინი პირდაპირ, მიზანმიმართულად იბრძვიან ეკლესიის წინააღმდეგ და გააგრძელებენ კიდეც ამ ბრძოლას.

**სამნიძესა** და **კორძაიას** ურჩევნიათ, თავიანთ დაფინანსებას მიხედონ და თავიანთ გრანტებზე ილაპარაკონ. საპატრიარქოს სამათხოვრო არაფერი აქვს, თვითონ ვის მილიონებზე სხედან, კაცმა არ იცის, თუმცა ეს ყველაფერი გასაკვირი არ არის, მე სხვა რამ უფრო მიკვირს: მსოფლიო იცვლება, ევროპა, ამერიკა, ფუნდამენტური გარდაქმნების ზღვარზეა, ჩვენ როდემდე უნდა გვაჯდეს თავზე ეს ე.წ. არასამთავრობო სექტა?! ისე, აქ, ალბათ, მარტო ხელისუფლებაც არაა დამნაშავე, ბევრი რამ საზოგადოების ბრალიც არის. ხალხმა თავის უმოქმედობით და ინერტულობით დაუშვა ის, რომ ძალაუფლება ქვეყნის მტრებმა ჩაიგდეს ხელთ. ასე რომ არ იყოს და სამოქალაქო საზოგადოება თავის სიმაღლეზე იდგეს, სამპროცენტიანი რესპუბლიკელები როგორ უნდა საუბრობდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე?! ეკლესიის მტრებსა და მოძულეებს საერთოდ რატომ უნდა ეთქმოდეთ სიტყვა საპატრიარქოს დაფინანსებაზე, როცა თვითონ, კაცმა არ იცის, ვის დავალებებს ასრულებენ და ვისგან ან რისთვის იღებენ მილიონიან გრანტებს?!

**„ეს გადაწყვეტილება არის ნარკომანიის დაკანონება და წახალისება, იმიტომ, რომ ის, ვინც ნარკოტიკების მოხმარებისგან თავს იკავებდა კანონის შიშით, ახლა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაიწყებს მის მიღებას“.**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეკლესიის მტრებთან ყოველგვარი დიალოგი ეკლესიის საკითხებზე უნდა დასრულდეს

**სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ პატრიარქის მოწამვლის მცდელობის ბრალდებით დაკავებული მამა გიორგი (მამალაძის) აყვანისას გარკვეულ პროცესუალურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. მისივე თქმით, საპატიმროში მყოფ სასულიერო პირს შეზღუდული აქვს კომუნიკაცია გარე სამყაროსთან, მათ შორის კორესპოდენციის მოთხოვნა და წერილების გაგზავნაც, რაც პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა.**



„როდესაც პროკურატურა საუბრობს საქმის გარემოებებსა და დეტალებზე, ხოლო ადვოკატსა და ბრალდებულს კი გაუთქმელობის პირობაზე აქვთ ხელი მოწერილი და შეზღუდული აქვთ საქმეზე საუბრის საშუალება, ამით, რა თქმა უნდა, მხარეთა თანასწორუფლებიანობა დარღვეულია. ასევე სახეზეა უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი განცხადებები, რომელმაც, ფაქტობრივად, წალეკა გუშინდელი დღე. პროკურატურის, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების, მინისტრების და მათ შორის პრემიერმინისრტრის მხრიდანაც იყო განცხადებები, რომლებიც არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას“, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

კონკრეტულად რა სახის პროცესუალურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი დაკავებული სასულიერო პირის მიმართ, რამდენად საფუძვლიანია ომბუდსმენის განცხადება და შენიშვნები პროკურატურისადმი, „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის უფლებდამცველ **დიმიტრი ლორთქიფანიძეს** დაუკავშირდა.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— უწინარესად, ეს არის უპრეცედენტოდ რეზონანსული საქმე და ამ საქმის გარშემო ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. პირველ რიგში, აქ აქცენტი უნდა კეთდებოდეს ბრალთან დაკავშირებულ გარემოებებზე, ანუ ვისგან, რა მიზეზით, რა მიზნით შეიძინა მომწამვლელი ნივთიერება კონკრეტულმა პირმა. დგას თუ არა ამ ყველაფრის უკან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რა მიზანი უნდა მიღწეულიყო მას შემდეგ, რაც მოხდებოდა სასურველი პირის ლიკვიდაცია და ა.შ. აი, ეს საკითხებია უმნიშვნელოვანესი და იმის მაგივრად, რომ ამ მიმართულებით ისმებოდეს შეკითხვები, გამოდის სახალხო დამცველი და რაღაც პროცესუალური ნორმების დარღვევაზე საუბრობს. რა თქმა უნდა, ესეც უნდა აღინიშნოს, მაგრამ ბრალის არსებითი გარემოება სულ სხვა პროექციაა; და როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ დროულად ვერ შეძლო პიროვნებამ დარეკვა, ვფიქრობ, ამაზე აპელირება არსებითად მნიშვნელოვან საკითხს ვერ გადაფარავს.

ახლა რაც შეეხება იმ სამარცხვინო კამპანიას, რომელსაც, ეს დღეებია, ამ თემასთან დაკავშირებით თვალ-ყურს ვადევნებთ.

**„რუსთავი 2“-ის ეთერში კიდევ ერთი სპექტაკლი ვიხილეთ, რომელიც პირდაპირ მიმართული იყო საპატრიარქოს წინააღმდეგ და რომელშიც რუპორად გამოყენებული იყო ერთ-ერთი უმაღლესი იერარქი — მეუფე პეტრე და მონაზონი, რომელიც არ განეკუთვნება საქართველოს საეკლესიო იურისდიქციას. ამ ორმა ადამიანმა პრაქტიკულად შტურმი განახორციელა საპატრიარქოსა და სასულიერო პირებზე. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: რომ არ დაეკავებინათ დეკანოზი გიორგი (მამალაძე) ციანიდით ხელში, მეუფე პეტრე ამ თემებზე ისაუბრებდა?! ან მონაზონი დედა სიდონია ისაუბრებდა?!** ხომ არ ხდება საპატრიარქოში არსებულ კორუფციულ გარემოზე აპელირებით იმ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაფარვა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთი პიროვნების ლიკვიდაციის განზრახვით არ შემოიფარგლებოდა?! ჩემი აზრით, ასეთი მძიმე დანაშაულის უკან, **სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო შემზადება შემდგომი პროცესებისა, რომლებსაც უნდა მოეტანა სერიოზული ზიანი, როგორც ეკლესიისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყოველგვარი დიალოგი ეკლესიის საკითხებზე ეკლესიის მტრებთან უნდა დასრულდეს და პლურალისტური გარემო, მათ შორის მედიის თავისუფლება, არ უნდა გულისხმობდეს აღვირახსნილი, ცილისმწამებლური და მით უმეტეს დანაშაულის გადამფარავი პროპაგანდის შესაძლებლობას.** ჩვენ ძალიან კარგად დავინახეთ, რომ არსებობს კონკრეტულ დანაშაულში ბრალდებული პირი და პროკურატურას ისღა დარჩენია, გამოაცხადოს ზოგიერთი გარემოების შესახებ, რომელიც გამოძიებისთვის ცნობილია, როგორც უტყუარი მტკიცებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასე გაგრძელდა და კონკრეტულ შეკითხვებს კონკრეტული პასუხები არ გაეცა, საზოგადოებაში დაიწყება ძალიან დიდი ვნებათაღელვა, რაც ყველაზე ცუდია. ეს ყველაფერი ეკლესიის მტრებს საშუალებას მისცემს, ბოლომდე განახორციელონ თავიანთი შავბნელი ზრახვები, ეს კი ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს.

**«სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო შემზადება შემდგომი პროცესებისა, რომლებსაც უნდა მოეტანა სერიოზული ზიანი, როგორც ეკლესიისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყოველგვარი დიალოგი ეკლესიის საკითხებზე ეკლესიის მტრებთან უნდა დასრულდეს და პლურალისტური გარემო, მათ შორის მედიის თავისუფლება, არ უნდა გულისხმობდეს აღვირახსნილი, ცილისმწამებლური და მით უმეტეს დანაშაულის გადამფარავი პროპაგანდის შესაძლებლობას»**

# საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, შესაძლოა, თამბაქოს მოწევა აიკრძალოს

**„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს პარლამენტშია წარდგენილი, ითვალისწინებს: დახურულ შენობებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სტადიონებზე, შესაძლოა, თამბაქოს მოწევა აიკრძალოს.**




კანონპროექტის ავტორია თამბაქოს კონტროლის ალიანსში შემავალი ორგანიზაციები, ხოლო ინიციატორი — პარლამენტის წევრი გუგული მაღრაძე.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ცვლილებების მიღების შემთხვევაში, თამბაქოს მოწევა აიკრძალება:

*შენობა-ნაგებობებში, გარდა კერძო საცხოვრებელი სახლების, თამბაქოს კვამლის შემსწავლელი სპეციალიზირებულ ლაბორატორიების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისა;

*საალმზრდელო, საგანმანათლებლო და სხვა სასწავლო დაწესებულებების, აგრეთვე, ბიბლიოთეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრებისა და 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილ სხვა დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე;

*18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე.

*სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა ტერიტორიაზე, გარდა სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისთვის განკუთვნილი დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოცემული სპეციალური ბრძანებით ზოგიერთი ქმედუუნარო ან მძიმე ავადმყოფი პაციენტისთვის განსაზღვრული ადგილისა (ადგილებისა), რომელიც სრულად (კედლებით) გამიჯნული უნდა იყოს დაწესებულების სხვა ნაწილებისგან (ტერიტორიისაგან), ჰქონდეს ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა;

*საზოგადოებრივ ტრანსპორტში;

* სტადიონებზე.

პროექტით მკაფიოდ ისაზღვრება მოწევის აკრძალვისა და შეზღუდვის აღსრულებაზე დაწესებულებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა. კერძოდ, დარღვევის შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მან დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოს დაწესებულებაში თამბაქოს მოხმარება იქ, სადაც კანონით მოწევა აკრძალულია.

# მამა დავითი (ნოზაძე): ეს არის ნარკომანიის წახალისება და უახლოეს მომავალში ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს

**კონკრეტულად რის საფუძველზე მიიღო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება, რამდენად ჯდება იგი კონსტიტუციის ნორმებში და ზოგადად, რას მოუტანს სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკის შემსუბუქება, „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის თემქის წმინდა მარკოზ ეფესელის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ დავით (ნოზაძეს) დაუკავშირდა.**



**მამა დავითი:**

— ღმერთმა აკრძალვები იმიტომ დააწესა, რომ აუცილებელია: არ მოიპარო, არ იმრუშო, ცილი არ დასწამო... **ქვეყანა, რომელიც უფლის მიერ დაწესებულ აკრძალვებს ნელ-ნელა უარყოფს, შორს ვერ წავა. ამას წინათ ერთ-ერთი გადაცემის რეკლამა ვნახე, გამოჰყავთ მღვდელი და ამბობს, სახლში მაქვს მარიხუანა დათესილიო. ასე ხდება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა და რაზე უნდა ელაპარაკო ამ ხალხს? სასულიერო პირი რომ იტყვის, ნარკოტიკს მოვიხმარო და თან ისე ამბობს, თითქოს არაფერი ხდება, იმას რა უნდა მოსთხოვო?!**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის ანტიკონსტიტუციური და იმ ადამიანებმა, რომლებიც ამაში მონაწილეობდნენ, უნდა იცოდნენ, რომ ძალიან დიდ ცოდვაში ჩაიგდეს თავი. ეს გადაწყვეტილება არის ნარკომანიის დაკანონება და წახალისება, იმიტომ, რომ ის, ვინც ნარკოტიკების მოხმარებისგან თავს იკავებდა კანონის შიშით, ახლა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაიწყებს მის მიღებას. სწორად გამიგეთ, რის თქმაც მინდა, მე არავის დაჭერა არ მიხარია, მაგრამ კანონი უნდა იყოს მკაცრი დანაშაულის მიმართ. პავლე მოციქული ამბობს: ხელისუფალს მახვილი იმიტომ უჭირავს ხელში, რომ, ვინც ბოროტია, ბოროტებას არ სჩადიოდეს, ანუ სიმკაცრე იმისთვის კი არაა საჭირო, რომ ვიღაცას ვიღაცის დასჯა უხარია, არამედ დანაშაული და ცოდვა რომ არ გამეფდეს ადამიანზე. საერთოდ, ნებისმიერი მსგავსი საკანონმდებლო შემსუბუქება ადამიანს რყვნის და საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მხრივ ძალიან ცუდი ნაბიჯი გადადგა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნარკომანიის წახალისება და უახლოეს მომავალში ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს.

**ქვეყანა, რომელიც უფლის მიერ დაწესებულ აკრძალვებს ნელ-ნელა უარყოფს, შორს ვერ წავა. ამას წინათ ერთ-ერთი გადაცემის რეკლამა ვნახე, გამოჰყავთ მღვდელი და ამბობს, სახლში მაქვს მარიხუანა დათესილიო. ასე ხდება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა და რაზე უნდა ელაპარაკო ამ ხალხს? სასულიერო პირი რომ იტყვის, ნარკოტიკს მოვიხმარო და თან ისე ამბობს, თითქოს არაფერი ხდება, იმას რა უნდა მოსთხოვო?!**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბიძინა ივანიშვილისთვის, რომელიც ამ სიტუაციას მენეჯერის პოზიციიდან აფასებს, პერსონალური მომენტი, სავარაუდოდ, მეორეხარისხოვანია. მისთვის, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის როლი, რომელსაც საპატრიარქო „ივანიშვილის საქართველოში“ შეასრულებს და, სავარაუდოდ, სურს, რომ ამ მიმართულებიდან თუნდაც მცირე საფრთხის ან უსიამოვნების გაჩენის შესაძლებლობა გამორიცხოს.**

# ციანიდი მათი არსობისა

**მეათე დღეა, საქართველოს აზანზარებს „ციანიდის სკანდალი“. მას თან სდევს საპატრიარქოში არსებულ პრობლემებზე დისკუსია, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დაიწყებოდა, „რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლო, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს (ახალი აღთქმა, ლუკას სახარება, თავი 8, 17).**



**მთლიანობაში, პროცესი საკმაოდ მტკივნეულია, როგორც სასულიერო პირების უმრავლესობისთვის, ისე მრევლისთვის, მაგრამ, ალბათ, კარგია, რომ ის დაიწყო ახლა და არა მოგვიანებით, გაცილებით დრამატულ ვითარებაში.**

მაღალი რანგის იერარქები ერთმანეთს საჯაროდ უპირისპირდებიან. საზოგადოება, რომელსაც მსგავსი რამ არასოდეს უნახავს, ყურადღებით აკვირდება მათ და ნაკლებად მსჯელობს იმაზე, რა როლს ასრულებს ყოველივე მომხდარში ხელისუფლება ან რა მიზნის მიღწევას ცდილობს ის. არადა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან განვითარებული მოვლენები არა მხოლოდ საპატრიარქოს, არამედ მთელ საზოგადოებას და ქვეყნის მომავალს შეეხება.

დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეში არის რამდენიმე დეტალი, რომლებშიც, რომ იტყვიან, „ეშმაკი იმალება“. განცხადება მისი დაკავების თაობაზე მთავარმა პროკურორმა **ირაკლი შოთაძემ** გააკეთა. მან გამოიყენა შემდეგი ფორმულირება: „უნდა მოეხდინა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის სიცოცხლის ხელყოფა“. მიუხედავად იმისა, რომ შოთაძეს ამ პირის ვინაობა არ დაუკონკრეტებია და, ამასთანავე, არა საკუთარი აზრი, არამედ ბრალდების მოწმის სიტყვები გაახმიანა, საზოგადოებაში მომენტალურად გავრცელდა ვერსია იმის თაობაზე, რომ იგეგმებოდა პატრიარქის მოწამვლა. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო პრემიერმინისტრისა და „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლების თანმდევი პათეტიკური განცხადებებით — „აღკვეთილია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დაგეგმილი დანაშაული — ეკლესიის წინააღმდეგ ვერაგული თავდასხმა“ და ა. შ.

მოგვიანებით ადვოკატმა **მამუკა ნოზაძემ** განაცხადა, რომ **მამალაძეს პატრიარქის მდივან-რეფერენტის — შორენა თეთრუაშვილის მოწამვლის მცდელობა ედება ბრალად და სწორედ მისი გვარი ფიგურირებს სასამართლოს განჩინებაში.** სახალხო დამცველმა **უჩა ნანუაშვილმა** კი დაკავებულ დეკანოზთან შეხვედრის შემდეგ თქვა, რომ **მამალაძე „ამბობს, სასულიერო პირზე და უმაღლესი იერარქიის მქონე სასულიერო პირზე საერთოდ არ არის საუბარი ბრალში, რომელიც მას წარედგინა“**. ომბუდსმენმა მიუთითა იმაზე, რომ მამალაძის მიმართ „ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან“ (ამაზე ბოლო დღეებში არაერთმა უფლებადამცველმა ისაუბრა). ნანუაშვილმა, ამასთანავე, აღნიშნა, რომ მხარეები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან: „ბრალდების მხარეს აქვს სრული უფლება, ისაუბროს საქმის დეტალებზე და დაცვის მხარეს რაღაცის თქმის უფლება არ გააჩნია. ეს სერიოზული დარღვევაა“ (ინტერპრესნიუსი).

**მიუხედავად იმისა, რას აპირებდა (ან არ აპირებდა) გიორგი მამალაძე, ხელისუფლება 13 თებერვალს აბსოლუტურად არაადეკვატურად იქცეოდა. ამის უკან შეიძლება იდგეს როგორც კლინიკური იდიოტიზმი, ისე საკმაოდ მზაკვრული გეგმა.**

ბოლო ხუთი წლის მოვლენები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ **ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, თავის გავლენას დაუქვემდებაროს უკლებრივ ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი: იქნება ეს პარლამენტი, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების ესა თუ ის შემადგენელი ნაწილი, სხვადასხვა მედიასაშუალება და ა.შ. თქმული არ ნიშნავს, რომ ის, სააკაშვილის მსგავსად, ცდილობს, მათი ფუნქციობის ყველა ნიუანსი განსაზღვროს და დღედაღამ ტოტალურად აკონტროლოს. სავარაუდოდ, მას სურს, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს ისინი, რომ გამორიცხოს მათ წიაღში ხელისუფლებისთვის საფრთხის აღმოცენების თეორიული შანსიც კი. ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილი წარმატებას ჯერჯერობით ყველა მიმართულებით აღწევს.**

მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოში განსაკუთრებული სტატუსი აქვს და მის საქმეებში უხეში ჩარევის მცდელობა საერო მმართველებისთვის ხშირ შემთხვევაში ცუდად მთავრდებოდა, მაგრამ ბოლო წლებში მის შიგნით დაიწყო გავლენისთვის სერიოზული ბრძოლა სხვადასხვა ჯგუფს შორის და ღია საუბრები იმაზე, ილია II-ს შემდეგ (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!) თუ ვინ გახდება პატრიარქი. ამან საერო ხელისუფლებას პოლიტიკური მანევრის განხორციელების შესაძლებლობა მისცა. მარტივად რომ ვთქვათ, ციხე შიგნიდან გატყდა.

„ციანიდის სკანდალი“, რომელიც მთავარი პროკურორის რეზონანსული განცხადებით დაიწყო (სინამდვილეში ის დაიწყო რამდენიმე დღით ადრე, ჭორების გავრცელებით), შეიძლება შეფასდეს, როგორც ხელისუფლების მკაფიო მესიჯი ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რომ სასულიერო

**ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ის, რაც 13 თებერვალს მთავარი პროკურორის ბრიფინგიდან გამომდინარე მოხდა, იყო შემთხვევითობა და არა მიზანმიმართული ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე, მძლავრი საინფორმაციო იერიშის მიტანა კონკრეტულ იერარქებზე (საბოლოო ჯამში, მთელ ეკლესიაზე) და, ამასთანავე, წმინდა სინოდის წევრებისთვის ერთგვარი «მესიჯის» გაგზავნა, რომელიც ჩვეულებრივ ენაზე შეიძლება ასეც გადაითარგმნოს: «უჩემოდ ვინ იმღერეთო?»**

პირებისთვის მთავარი საკითხის გადაწყვეტა ივანიშვილის მონაწილეობის გარეშე არ გამოვა, რომ მისი პოზიციები ძალიან ძლიერია და პრეტენზია აქვს, მთავარი არბიტრის როლი შეასრულოს, სწორედ ივანიშვილის და არა ხელისუფლების — ეს ტერმინოლოგიური განსხვავება მნიშვნელოვანია. პრემიერ კვირიკაშვილს შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული ურთიერთობა მეუფე იაკობთან, ხოლო „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს — მეუფე დიმიტრისთან ან სხვა იერარქთან, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილისთვის, რომელიც ამ სიტუაციას მენეჯერის პოზიციიდან აფასებს, პერსონალური მომენტი, სავარაუდოდ, მეორეხარისხოვანია. მისთვის, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის როლი, რომელსაც საპატრიარქო „ივანიშვილის საქართველოში“ შეასრულებს და, სავარაუდოდ, სურს, რომ ამ მიმართულებიდან თუნდაც მცირე საფრთხის ან უსიამოვნების გაჩენის შესაძლებლობა გამორიცხოს.**



მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქო მუდამ ღიად გამოხატავს, რომ პოლიტიკაში არ ერევა, ყველასთვის ცხადია, რომ გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლების ლეგიტიმურობა და, საბოლოო ჯამში, მათი ბედი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ეკლესიის პოზიციაზე, რომელიც თითქმის ყოველთვის არა მკაფიო დეკლარაციის, არამედ მინიშნების ან სულაც, „მრავლისმთქმელი დუმილის“ ფორმით ვლინდებოდა და მრევლზე ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენდა. ბიძინა ივანიშვილმა ეს კარგად იცის და, სავარაუდოდ, თავის დაზღვევას ცდილობს.

დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეში უამრავი სხვა, ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი, უცნაური და საეჭვო ნიუანსია; მაგალითად, დაჟინებული მითითება ციანიდის ნატრიუმზე. თავი დავანებოთ იმას, რომ მამალაძე საავადმყოფოს ხელმძღვანელობდა და შეეძლო, მოეპოვებინა გაცილებით დახვეწილი საწამლავი სხვა პირების ჩარევის გარეშე, რადგან თეორიულად ამქვეყნად შეიძლება ყველაფერი მოხდეს. **მთავარი აქ, ალბათ, ისაა, რომ მოწამვლა ციანიდის ნატრიუმით ვერ დაიმალება, აუცილებლად დადგინდება, რომ მსხვერპლი მოწამლეს და ამიტომ ამ მეთოდს შეიძლება მიმართონ მხოლოდ სულელებმა ან მათ, ვისაც სურს, დემონსტრაციულად დააფიქსიროს, რომ ადგილი სწორედ მოწამვლას ჰქონდა** (არის ასეთი შემთხვევებიც). ამ ეპიზოდში მნიშვნელოვანია ყველა ნიუანსი, შოთაძის განცხადების თითოეული სიტყვა — „მაღალი იერარქიის სასულიერო პირით“ დაწყებული, ციანიდის ოთხგზის ხსენებით დამთავრებული. **გამორიცხული არაა, რომ ხელისუფლებამ მიანიშნა საპატრიარქოში განვითარებული კონფლიქტის ყველა მხარეს, რომ ისინი ვერ გადაწყვეტენ თავიანთ პრობლემებს ვიწრო წრეში და იძულებულნი გახდებიან, ივანიშვილის არბიტრაჟს დათანხმდნენ, რომლის კონტროლქვეშ მყოფ ხელისუფლებას, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნამდვილად ხელეწიფება აღმოაჩინოს შეთქმულება იქ, სადაც ის არის (ან არ არის), გამოავლინოს (ან „დანიშნოს“) დამნაშავე და ა.შ.** დონ ვიტო კორლეონეს თქმის არ იყოს, ეს შეიძლება ყოფილიყო „წინადადება, რომელზეც უარის თქმა შეუძლებელია“. ზოგიერთმა სასულიერო პირმა, როგორც ჩანს, უკვე მიიღო თამაშის ეს წესები.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა ძალის დემონსტრირება, პროკურატურამ „პირველი ჩვენება“ შეცვალა და დააზუსტა, რომ **ირაკლი შოთაძემ ბრალდების მოწმის ვერსია გაახმიანა და ბრალი წარდგენილია არა „მაღალი იერარქიის სასულიერო პირის“, არამედ ერთ-ერთი პირის (როგორც შემდგომ გაირკვა — შორენა თეთრუაშვილის) მკვლელობის მომზადების ფაქტზე.** ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ის, რაც 13 თებერვალს მთავარი პროკურორის ბრიფინგიდან გამომდინარე მოხდა, იყო შემთხვევითობა და არა მიზანმიმართული ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე, მძლავრი საინფორმაციო იერიშის მიტანა კონკრეტულ იერარქებზე (საბოლოო ჯამში, მთელ ეკლესიაზე) და, ამასთანავე, ერთგვარი „მესიჯის“ გაგზავნა წმინდა სინოდის წევრებისთვის, რომელიც ჩვეულებრივ ენაზე შეიძლება ასეც გადაითარგმნოს: „უჩემოდ ვინ იმღერეთო?“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ **პროკურატურა საკუთარ იმიჯს დარტყმის ქვეშ არა მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევისთვის, არამედ, უბრალოდ, გონებრივი შესაძლებლობების მწვავე უკმარისობიდან გამომდინარე აყენებს.**

ჩვენ საქართველოს ისტორიის იდეალიზება გვჩვევია და მეფის, ფეოდალების, პატრიარქისა და ეპისკოპოსების ურთიერთობას იუსტინიანეს „ხელისუფლებათა სიმფონიასთან“ მაქსიმალურად მიახლოებულად წარმოვაჩენთ. სინამდვილეში მხარეები თითქმის ყოველთვის ერეოდნენ ერთმანეთის საქმეებში, როდესაც ამის შესაძლებლობა ეძლეოდათ და ადგილი საკმაოდ დრამატულ დაპირისპირებასაც ჰქონდა, თუმცა ძალიან ძნელია ისეთი შემთხვევის გახსენება, როდესაც ხელისუფლება ასე უხეშად, მეტიც, უტიფრად იქცეოდა.

ბიძინა ივანიშვილი ჯერჯერობით არავის დაუმარცხებია. მისი „ქართული ოცნება“, როგორც ვერმახტი 1941 წლის დეკემბრამდე, გამუდმებით წინ მიიწევს და მუდამ წარმატებებს აღწევს, თუმცა, შესაძლოა, განხილულ ეპიზოდში ეს შთამბეჭდავი პოლიტიკური ბლიცკრიგი „ბუქსაობას“ დაიწყებს, ხოლო ივანიშვილი პირველად იგემებს სტრატეგიულ მარცხს და უკან დაიხევს.

**მმართველი პარტიისთვის სახელის ანეგდოტურად ხშირი გადარქმევას, ერთი შეხედვით, ამომრჩეველთა გაღიზიანება უნდა გამოეწვია, სოციოლოგიური გამოკითხვები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ამას მუდამ დადებითი ეფექტი მოჰქონდა, ანუ ამომრჩეველთა ნაწილი თითქოს ყველაფერს ივიწყებდა. საინტერესოა, დაივიწყებენ თუ არა ქართველი ამომრჩევლები, რომ „ევროპული საქართველო“ იმ ნაციონალებმა შექმნეს, რომელთაც სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს?!**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ დაიშალა კორეული «ნაცმოძრაობა»?

**„ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო სამხრეთ კორეასთან“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 2012 წლის გაზაფხულზე სეულის ბირთვულ სამიტში მონაწილეობის მიღების შემდეგ. მაშინ ვერავინ გაიგო, რა უნდოდა იმ სამიტზე ან რა გვაქვს კორეელებთან საერთო, თუმცა გარკვეული პარალელების გავლების შესაძლებლობა ხანდახან მართლაც ჩნდება — ბოლო დროს სამხრეთ კორეის ყოფილი სახელისუფლო პარტიის ხელმძღვანელობა, ისევე, როგორც ნაციონალების ნაწილი საქართველოში, ცდილობს, არაპოპულარული ლიდერისგან და მასთან დაკავშირებული ნეგატივისგან გათავისუფლდეს.**

1963-ში გენერალმა პაკ ჩონ ჰიმ ჩამოაყალიბა **დემოკრატიული რესპუბლიკური პარტია**, რათა საკუთარი დიქტატურისთვის პოლიტიკური დასაყრდენი შეექმნა. მას შემდეგ, რაც ის მოკლეს, ახალმა პრეზიდენტმა ჩონ დუ ჰვანმა მმართველ პარტიას სახელი შეუცვალა და **სამართლიანობის დემოკრატიული პარტია** უწოდა. 1990-ში, ორ სხვა პოლიტიკურ გაერთიანებასთან შერწყმის შემდეგ, ის **დემოკრატიული ლიბერალური პარტია** გახდა, ხოლო 1995-ში **ახალი კორეის პარტია** ეწოდა; 1997-ში ის გარდაიქმნა **დიადი ქვეყნის პარტიად;** 2012-ში მას ეწოდა **სენური** (იგივე „სენურიდანი“, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც ახალი ჰორიზონტების პარტია). 2017 წლის 25 იანვარს მას გამოეყო ფუნქციონერების ნაწილი და დეპუტატების მეოთხედი, რომლებმაც **მართალი პარტია** შექმნეს, ხოლო დარჩენილებმა ძველ პარტიას სახელი კიდევ ერთხელ შეუცვალეს და სულ ახლახან, 8 თებერვალს **თავისუფალი კორეა** უწოდეს.

ყველაზე საინტერესო ჩვენთვის, ალბათ, დასკვნითი პერიოდია, რადგან ის „ნაცმოძრაობის“ აქტუალურ მდგომარეობასთან ორი პარალელის გავლების შესაძლებლობას გვაძლევს. პირველად პარტიის ისტორიაში მოხდა მისი გაყოფა ორ ნაწილად, ამასთანავე, ბელადისტური ტიპის პოლიტიკური გაერთიანება ძველი ლიდერისგან გამიჯვნის აუცილებლობის წინაშე დადგა. თუ ადრე რებრენდინგი მეტწილად კოსმეტიკურ ხასიათს ატარებდა და „წარსულის ცალკეული შეცდომებისგან“ გათავისუფლების ილუზიის შექმნას ემსახურებოდა, ამჟამად გარდაქმნა გაცილებით სერიოზული და მტკივნეულია. სანამ ბოლოდროინდელი კრიზისის დეტალებს ჩავუღრმავდებით, ალბათ, ერთ პარადოქსულ გარემოებას უნდა შევეხოთ, მიუხედავად იმისა, რომ **მმართველი პარტიისთვის სახელის ანეგდოტურად ხშირ გადარქმევას, ერთი შეხედვით, ამომრჩეველთა გაღიზიანება უნდა გამოეწვია, სოციოლოგიური გამოკითხვები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ამას მუდამ დადებითი ეფექტი მოჰქონდა, ანუ ამომრჩეველთა ნაწილი თითქოს ყველაფერს ივიწყებდა. საინტერესოა, დაივიწყებენ თუ არა ქართველი ამომრჩევლები, რომ „ევროპული საქართველო“ იმ ნაციონალებმა შექმნეს, რომელთაც სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს?!**

**სენურის** სასწრაფო რებრენდინგის მიზეზი ისაა, რომ ის ასოცირდება პრეზიდენტ **პაკ კინ ჰესთან**, რომლის რეიტინგი ცნობილი კორუფციული სკანდალის შემდეგ კატასტროფულად დაეცა — 33%-დან 5%-მდე. 2016 წლის დეკემბერში მას უფლებამოსილება შეუჩერეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტს ხმა მისი პარტიის არაერთმა წევრმა მისცა, სკანდალმა **სენურის** მაინც სერიოზული დარტყმა მიაყენა. „რეალმეტრის“ გამოკითხვის თანახმად, მის სავარაუდო კანდიდატს, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ხან გენ ანს მომავალ არჩევნებში მხარს გამოკითხულთა მხოლოდ 15,3% დაუჭერს, ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება ოპოზიციის კანდიდატებს.

სამხრეთ კორეის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ქალის, პაკ კინ ჰეს, პოლიტიკური ბიოგრაფია ძალიან ტრაგიკულ გარემოებაში დაიწყო. 1974 წელს მამამისზე, პრეზიდენტ **პაკ ჩონ ჰიზე**, თავდასხმისას დაიღუპა დედამისი, ხუთი წლის შემდეგ კი მამაც მოუკლეს. საინტერესო დეტალი: 1974 წლის თავდასხმისას პრეზიდენტი ტრიბუნასთან იდგა და მას შემდეგ, რაც მისი მომაკვდავი მეუღლე სცენიდან გაიყვანეს, მან სიტყვით გამოსვლა განაგრძო. დედის დაღუპვამ პაკ კინ ჰეს დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა; მას, როგორც გამოკვეთილ ინტროვერტს, ურთიერთობა მხოლოდ ვიწრო საახლობლო წრესთან ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, საკმაოდ უცანური წარსულის მქონე პიროვნებასთან — **ჩხვე ტხე მინთან**, რომელიც ჯერ ბუდისტი იყო, შემდეგ კათოლიკე გახდა, ბოლოს კი საკუთარი სექტა „ენსეგე“ შექმნა; მისი სწავლება ქრისტიანობის, ბუდიზმისა და შამანიზმის უცნაურ კოქტეილს წარმოადგენს. ზოგადად, სამხრეთ კორეაში მსგავსი სექტები არცთუ იშვიათად იქმნება და ამ კონტექსტში შეგვიძლია ცნობილი მუნ სონ მენი გავიხსენოთ, მაგრამ პრეზიდენტმა პაკ ჩონ ჰიმ შეიტყო, რომ თვითგამოცხადებული



**კომპიუტერში მისი სამდივნოდან აღმოაჩინეს საიდუმლო დოკუმენტები და პრეზიდენტის მეგობრების სია, რომელთა შორის იყვნენ შამანები, მკითხავები და სხვა საეჭვო პირები**

მოძღვარი შემჩნეულია საეჭვო მაქინაციებში და ძალოვნებს მისი საქმიანობის გამოძიება დაავალა. ამის პასუხად მისმა ქალიშვილმა შიმშილობა გამოაცხადა და პრეზიდენტი იძულებული გახდა, უკან დაეხია. როდესაც ის მოკლეს, პაკ კინ ჰე მარტო დარჩა. მის საუკეთესო (და, შესაძლოა, ერთადერთ) მეგობრად იქცა მისი სულიერი მოძღვრის ქალიშვილი **ჩხვე სუნ სილი**.

შემდგომ მმართველი პარტიის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ყოფილი პრეზიდენტის შვილი საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინათ; დიდი ალბათობით, მეგობრებმაც ურჩიეს, პოლიტიკოსი გამხდარიყო. მას შემდეგ, რაც 1998 წელს პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს, თანაპარტიელებს მალევე დაუმტკიცა, რომ მარიონეტად ვერ გადააქცევდნენ. **2004-ში პაკ კინ ჰე პარტიის თავმჯდომარე გახდა, რის შემდეგაც სენურიმ სხვადასხვა დონის არჩევნებში რამდენიმე ათეული გამარჯვება მოიპოვა და ამის გამო ახალ ლიდერს არჩევნების დედოფალი უწოდეს,** თუმცა 2007-ში მან წააგო შიდაპარტიული პრაიმერი და პარტიის კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში (შემდგომ კი პრეზიდენტი) **ლი მენ ბაკი** გახდა. ის საკმაოდ წარუმატებელი მმართველი გამოდგა; პარტიის რეიტინგი დაეცა. სიტუაციის გამოსასწორებლად პარტიაში შეიქმნა საგანგებო კომიტეტი, რომელსაც სათავეში პაკ კინ ჰე ჩაუდგა. მან პარტიის რებრენდინგი ჩაატარა, 2012-ში კი პრეზიდენტი გახდა.

**მალევე გაირკვა, რომ ახალი პრეზიდენტი ცდილობს, ქვეყანა არა მინისტრებსა და მრჩევლებზე, არამედ დაახლოებული პირების ვიწრო წრეზე დაყრდნობით მართოს. მთავარ როლს მისი ძველი მეგობარი ჩხვე სუნ სილი ასრულებდა, რომელიც თავის საეჭვო ნაცნობებთან სამხრეთ კორეის პოლიტიკაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენდა. პროკურატურის გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ამ პირებმა გავლენა მოახდინეს ათეულობით სტრატეგიული საკითხის გადაწყვეტაზე, მაგალითად, ურთიერთობაზე ჩრდილოეთ კორეასთან, რომელსაც მოჰყვა ერთობლივი პროექტის — „კესონის სამრეწველო რეგიონის“ შეჩერება. ჩხვე სუნ სილის ორი ფონდი მსხვილ ბიზნესმენებს „წველიდა“. კომპიუტერში მისი სამდივნოდან აღმოაჩინეს საიდუმლო დოკუმენტები და პრეზიდენტის მეგობრების სია, რომელთა შორის იყვნენ შამანები, მკითხავები და სხვა საეჭვო პირები.**

აქ ჩვენ პრეზიდენტ პაკ ჩონ ჰის მკვლელობას უნდა დავუბრუნდეთ. ის კორეის დაზვერვის ეროვნული სააგენტოს შეფმა **კიმ ჯე გიუმ** მოკლა. სასამართლოზე მან თქვა, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო დიქტატორის უარი, გაეგრძელებინა სექტა „ენსეგეს“ თავკაცის — ჩხვე ტხე მინის (ჩხვე სუნ სილის მამის) საქმიანობის გამოძიება. სეულში აშშ-ის საელჩოს ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა, მასზე ნათქვამი იყო, რომ „ის ფლობდა სრულ კონტროლს პაკ კინ ჰეს სხეულსა და სულზე, რის გამოც მისმა შვილებმა უდიდესი სიმდიდრე მოიხვეჭეს“. ამ მოხსენების ავტორი, ამერიკელი დიპლომატი უილიამ სტენტონი აფრთხილებდა ვაშინგტონს, რომ ჩხვეს ოჯახმა (თავად „მოძღვარი“ 1994-ში გარდაიცვალა) შეიძლება შეინარჩუნოს გავლენა პაკ კინ ჰეზე მას შემდეგ, რაც ის პრეზიდენტი გახდება. ყოველივე ეს 2007 წლის პრაიმერის პერიოდში დაიწერა, მაშინ პაკ კინ ჰე დამარცხდა, მაგრამ 2012-ში სტენტონის გაფრთხილება თუ წინასწარმეტყველება ახდა.

მას შემდეგ, რაც ინფორმაცია პრეზიდენტის მეგობრებისა და მათი საქმიანობის შესახებ გასაჯაროვდა, სამხრეთ კორეაში საშინელი სკანდალი დაიწყო. პრეზიდენტმა ხალხს ბოდიში სამჯერ მოუხადა, მაგრამ დემონსტრაციები მისი გადადგომის მოთხოვნით მაინც გრძელდებოდა. გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი პაკ კინ ჰეს გადადგომას მოითხოვდა. ბოლოს პრეზიდენტმა სთხოვა პარლამენტს, მისი გადადგომა მიეღო, მაგრამ დეპუტატებმა საჭიროდ ჩათვალეს, ის იმპიჩმენტით გადაეყენებინათ. ახლა გადაწყვეტილება იმპიჩმენტის კანონიერების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს. მან შეიძლება (ამის მცირე ალბათობა ნამდვილად არსებობს) გააუქმოს იმპიჩმენტი, როგორც ეს 2004 წელს პრეზიდენტს ნო მუ ჰენის შემთხვევაში გააკეთა, თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ პაკ კინ ჰეს პოლიტიკური კარიერა ნებისმიერ შემთხვევაში დამთავრებულია.

**დღეს სამხრეთ კორეის ყოფილი მმართველი პარტია ცდილობს, დაშორდეს თავის ძველ თავმჯდომარესთან დაკავშირებულ ნეგატივს და ამან ნამდვილად შეიძლება გაგვახსენოს „ნაციონალური მოძრაობაში“ განვითარებული პროცესი, მაგრამ, გარეგნული მსგავსების მიუხედავად, ყურადღება მნიშვნელოვან განსხვავებასაც უნდა მივაქციოთ. „კორეული ნაცმოძრაობა“ შეიქმნა, როგორც საყრდენი დიქტატორისთვის და დასაწყისში ჩვეულებრივ „ბელადისტურ“ პარტიას წარმოადგენდა, მაგრამ პოლიტიკური ატმოსფეროს შეცვლისა და რეჟიმის შერბილების პარალელურად ის განვითარდა, მის შიგნით შიდაპარტიული დემოკრატიის ელემენტები გაჩნდა.** პროცესი დასრულებული არ არის, მაგრამ საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ ის ჩვეულებრივ თანამედროვე დემოკრატიულ პარტიად გარდაიქმნება. **რაც შეეხება „ქართულ ნაცმოძრაობას“, მიუხედავად იმისა, რომ ევოლუციისთვის გაცილებით ნაკლები დრო ჰქონდა, მან მაინც მოასწრო საბედისწერო შეცდომის დაშვება და იმის ნაცვლად, რომ მარცხის შემდეგ ნაწილობრივი დემოკრატიზაციისკენ წასულიყო, ნამდვილი პოლიტიკური სექტა შექმნა, სადაც ნებისმიერი განსხვავებული აზრი განიხილება, როგორც დანაშაული და ცოდვა**; ეს პარტიის დაშლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა გახდა. „ნაცმოძრაობის“ წარმატებული გარდაქმნა შესაძლებელი იყო, მაგრამ სააკაშვილის დიქტატორულმა მისწრაფებებმა მას ხელი შეუშალა, ამან კი „ნაცმოძრაობის“ საბოლოო განადგურების ალბათობა გაათმაგა და ეს საქართველოსთვის, ალბათ, არც ისე ცუდია.

**ლუკა ნემსაძე**

**«კორეული ნაცმოძრაობა» შეიქმნა, როგორც საყრდენი დიქტატორისთვის, და დასაწყისში ჩვეულებრივ «ბელადისტურ» პარტიას წარმოადგენდა, მაგრამ პოლიტიკური ატმოსფეროს შეცვლისა და რეჟიმის შერბილების პარალელურად ის განვითარდა, მის შიგნით შიდაპარტიული დემოკრატიის ელემენტები გაჩნდა**

ახალი მესაიდუმლე (logo)
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსთავი 2“-ის გარშემო რუსთაველის გამზირზე ატეხილი „ქარიშხალი ჭიქაში“, ამის გამო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინტერესების გამტარებელი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ღნავილი, სახალხო დამცველის ბღავილი, რესპუბლიკელთა კრუსუნი, მეუფე პეტრეს მიერ უკვე პირადად პატრიარქზე დარტყმა — ეს ყველაფერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ვირეშმაკულად ორგანიზებული აქციაა, რომელსაც ჰქვია საერო თუ სასულიერო ხლისტების გადამწყვეტი შეტევა საქართველოს დედაეკლესიაზე.**

# იუდას ამბორი — ოპერაცია «ბარბაროსა» დედაეკლესიის წინააღმდეგ

**სრულიად საქართველომ ბოლო დღეებში, შეიძლება ითქვას, კოლექტიური შოკი მიიღო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში განვითარებული მოვლენების გამო. ამ მოვლენებს ოპერატიულად გამოეხმაურა „საქართველო და მსოფლიო“ საზოგადოებისთვის ახლო წარსულში მომხდარი სხვადასხვა ფაქტის შეხსენებითა და თქვენი მონა-მორჩილის სტატიით „ციანიდი პატრიარქისთვის“, რომელშიც უკვე მომხდარის ანალიზის საფუძველზე საზოგადოებას შევთავაზეთ ვარაუდი, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე და ყველაზე მთავარი — ქვეყნის შიგნით თუ გარეთ რომელი ძალები შეიძლება ვიგულისხმოთ მომხდარის ინსპირატორად. მას შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვნად ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ბერლინის საავადმყოფოში პატრიარქის სანახავად მისვლა ჩავთვალე — უფრო სწორად ის, რატომ არავინ შეუშალა ამ ვიზიტს ხელი, რადგან ჩვენი პატრიარქის მიერ ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე პრეზიდენტყოფილის მიღება ბევრმა ქართველმა პირად შეურაცხყოფად აღიქვა.**


„იუდას ამბორი“. კარავაჯო, 1602 წ.

**თუ ანაფორაში გახვეულმა ქრისტეს ფეხისმკვნეტელებმა საქართველოს ეკლესიის ერთიანი სხეულის დანაწევრება განიზრახეს, მაშინ, მეუფე იობ, მეუფე იაკობ და ყველა ეროვნულ-ბეროვნულად მოაზროვნე სასულიერო პირებო, გმართებთ, ქუდზე კაცს გვიხმოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ წავლეკოთ ნეოლიბერალი ხლისტები!**

„რუსთავი 2“-ის გარშემო რუსთაველის გამზირზე ატეხილი „ქარიშხალი ჭიქაში“, ამის გამო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინტერესების გამტარებელი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ღნავილი, სახალხო დამცველის ბღავილი, რესპუბლიკელთა კრუსუნი, მეუფე პეტრეს მიერ უკვე პირადად პატრიარქზე დარტყმა — ეს ყველაფერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ვირეშმაკულად ორგანიზებული აქციაა, რომელსაც ჰქვია **საერო თუ სასულიერო ხლისტების გადამწყვეტი შეტევა საქართველოს დედაეკლესიაზე.**

დიახ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, რადგან ფორმალურად კი დაიშალნენ, მაგრამ შინაარსობრივად ისევ ერთნი არიან, როგორც, მაგალითად, რესპუბლიკელები და ნაცები, აგრეთვე, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებული სხვა პარტიები — „ახალი მემარჯვენეები“, ედპ, „ლეიბ-საბნები“, „გირჩი-შიშკა“ და ა.შ.

საინტერესო სურათი დახატა ტელეკომპანია „იმედმა“ საკვირაო გადაცემა „იმედის კვირაში“, რომელიც ჩემს ხელთ არსებულ ინფორმაციასაც, რომ იტყვიან, ლამის ერთი ერთზე დაემთხვა. „იმედის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წმინდა სინოდში პატრიარქის ტახტის მაძიებელთა ორი დაჯგუფება არსებობს. პირველი:

* **მეუფე ანდრია** (ერისკაცობაში — ამირან გვაზავა) — გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე იეგუდიელი** (ერისკაცობაში — გოჩა ტაბატაძე) — სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი;
* **მეუფე სპირიდონი** (ერისკაცობაში — გრიგოლ აბულაძე) — სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი;
* **მეუფე სერაფიმე** (ერისკაცობაში — თამაზ ჯოჯუა) — ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის ყოფილი მღვდელმთავარი. 2016 წლის 25 აპრილიდან ტიტულარული მიტროპოლიტი (მიტროპოლიტი ეპარქიის გარეშე);
* **მეუფე საბა** (ერისკაცობაში — ზაზა გიგიბერია) — ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე ნიკოლოზი** (ერისკაცობაში — პაატა ფაჩუაშვილი) — ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე პეტრე** (ერისკაცობაში — პაატა ცაავა) — ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე დიმიტრი** (ერისკაცობაში — დავით შიოლაშვილი) — ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი; ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი.

ამ დაჯგუფებას პატრიარქობის კონკრეტული კანდიდატიც ჰყავს, სამწუხაროდ, პატრიარქის ძმისშვილის — მეუფე დიმიტრის სახით.

**დიახ, სამწუხაროდ, რადგან იმ დაჯგუფების მეთაურობა, რომლის ერთ-ერთი ლიდერი არის სააკაშვილის მეხოტბე, სანდრა რულოვსის მოძღვარი და სადისტი ძმები ახალაიებისა და მეგის ქარდავას მფარველი მეუფე პეტრე, ნამდვილად არ არის საამაყო. მეუფე პეტრე, რომელსაც ეყო თავხედობა და პატრიარქზე თქვა, თუ თვითონ ილია მეორე მართავს საპატრიარქოს და არა შორენა თეთრუაშვილი და მისი ოქროს თევზები, კეთილი ინებოს და დაგვიმტკიცოსო!**

**ამაზე მეტი თავხედობა, მკრეხელობა და უზრდელობა გაგონილა?!**

ახლა ვნახოთ მეორე დაჯგუფება, რომელსაც, პირველისგან განსხვავებით, გამოკვეთილი კანდიდატი ჯერ არ ჰყავს:

* **მეუფე თეოდორე** (ერისკაცობაში — დიმიტრი ჭუაძე) — ახალციხე-ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე იაკობი** (ერისკაცობაში —კონსტანტინე იაკობიშვილი) — ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსი;
* **მეუფე შიო** (ერისკაცობაში — ელიზბარ მუჯირი) — სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის ეპისკოპოსი; ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე გერასიმე** (ერისკაცობაში — გიორგი შარაშენიძე ) — ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე იობი** (ერისკაცობაში — ელგუჯა აქიაშვილი) — ურბნისისა და რუისის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე იოანე** (ერისკაცობაში — გურამ გამრეკელი) — რუსთავის ეპარქიის მიტროპოლიტი;
* **მეუფე ვახტანგი** (ერისკაცობაში — გიორგი ლიპარტელიანი) — ნიკორწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსი.

ამ ორი სიიისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მივხვდეთ, ვის მხარესაა, საზოგადოდ, ქართველი ერის სიმპათია. ყველას გვახსოვს, როგორ კლდესავით იდგა რუის-ურბნისის მიტროპოლიტი **იობი** „ქართული ოცნების“ მიერ გამართულ სააკაშვილის რეჟიმის საწინააღმდეგო მიტინგებზე.

მეუფე **იაკობის** მრავალი უშიშარი ქადაგება? — მათ შორის, სამების ტაძრის ამბიონიდან, რაც უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით მოხდა და, აქედან გამომდინარე, მეუფე იაკობის სიტყვა, რომელიც უკვე ოპოზიციად ქცეული ნაცების წინააღმდეგ იყო მიმართული, საზოგადოდ, ქართული ეკლესიისა და, კონკრეტულად, მისი საჭეთმპყრობლის პოზიციად აღიქმებოდა!

**ალარაფერს ვიტყვი 17 მაისს პედერასტებს რისხვად შემართულ მეუფე იაკობზე, რომლის ძალისხმევითაც უწმინდურმა მამათმავლებმა ვერ მოახერხეს 100 ათასი წმინდანის ქალაქის — თბილისის წაბილწვა.**

მსგავსი რამ გვახსოვს მეუფე დიმიტრისგან? მე არ მახსოვს, რომ სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტური საშინელი რეჟიმის პერიოდში პატრიარქის ძმიშვილს ხმა ამოეღოს. თუ ვინმეს გახსოვთ, შემახსენეთ და, როგორც გურიაში იტყვიან, მოვკაკვავ თითს — ბოდიშს მოვუხდი.

როგორც ასევე „იმედის კვირიდან“ გახდა ცნობილი, მეუფე პეტრეს პროტეჟე, ასე ვთქვათ, კარიერულ აღმასვლაში მეუფე დიმიტრი ყოფილა, მას აღუკვეცავს ბერად მარტვილელი ფარისეველი, რომელიც შემდგომაც სარგებლობდა, თურმე, პატრიარქის ძმისშვილის კეთილგანწყობით.

მოკლედ, საერო თუ სასულიერო ნეოლიბერალებმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს — ეკლესიის, პირადად კათოლიკოს-პატრიარქის რეპუტაციას, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილი მიაყენეს. მაგრამ რა არის პროგრამა-მაქსიმუმი?

მეუფე პეტრემ „რუსთავი 2“-ის ეთერში „აჭიკჭიკების“ პირველ სალამოს განაცხადა, პატრიარქის მოწამვლა რუსეთის ინტერესებშიაო.

ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი იმ მომენტში ჯერ კიდევ არ ამტკიცებდა დეკანოზ გიორგი მამალაძის უცოდველობას, მაგრამ გასულ კვირას მიიჩნია რა ციანიდით ხელში დაჭერილი მამა გიორგი პროვოკაციის უდანაშაულო მსხვერპლად, განაცხადა: „ჩვენი სახელმწიფოებრიობის მტრების, ოკუპანტი რუსეთის, მთავარი დასაყრდენი ეკლესიაში თეთრუაშვილის ასული შორენაა“-ო.

ამ ორი პასაჟიდან ნათლად ჩანს, რომ **ლიბერალ შეთქმულთა მთავარი მიზანი იმ ბოლო ინსტიტუციური კავშირის (დიპლომატიური ურთიერთობა ხომ, დიდი ხანია, აღარ გვაქვს?) გაწყვეტაა რუსეთ-საქართველოს შორის, რომელსაც ერთმორწმუნე ერთა ეკლესიური კავშირი, ევქარისტული ძმობა ჰქვია.**

აქედან გამომდინარე, სრულიად ლეგიტიმურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ყველაფრის უკან ნეოლიბერალური დასავლეთია. ისტორიულ ანალოგიებს თუ მივმართავთ, **ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს ყველაფერი ერთგვარი სტალინგრადის ბრძოლაა. ბრძოლა, რომელმაც სამუდამოდ დაასამარა ოპერაცია „ბარბაროსას“ მთავარი შემადგენლის — ე.წ. ბლიცკრიგის იდეა. 1943 წლის 31 იანვარს სტალინგრადთან ფელდმარშალ პაულიუსის არმიის დატყვევებით დაიწყო ჰიტლერული გერმანიის განადგურების შეუქცევადი პროცესი.**

**ჩვენც მსგავსი ამოცანის წინაშე ვდგავართ — ალყაში უნდა მოვაქციოთ საქართველოში მოქმედი დასავლეთიდან ორკესტრირებული ასოების, რესპების, ნაცების, ახლების, „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგებული ნეოლიბერალების მეხუთე კოლონა!**

თუ ამ ალყას გაარღვევენ ბოკერიები, ბერძენიშვილები, მარგველაშვილები, მეუფე პეტრეები, სხვა ეროვნული თუ ბეროვნული ხლისტები, მაშინ მართლმადიდებლობაზე ვიშვიშის ფონზე, პეტრეს მსგავსს წამოგვისკუპებენ პატრიარქის ტახტზე, ერთმორწმუნე რუსეთსაც საშვილიშვილოდ წაგვკიდებენ და ბოლოს იქამდე მიიყვანენ საეკლესიო „რეფორმებს“, რომ სვეტიცხოველში ვინმეს ტარიელსა და ჯუმბერს დაწერენ ჯვარს.

სხვათა შორის, აგვისტოს ომის მიუხედავად, დღემდე დაუღალავად ქადაგებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერთმორწმუნე რუსებთან ძველი ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობას.

ციტატა საქართველოს პატრიარქის ერთ-ერთი ქადაგებიდან:

**„რუსეთ-საქართველოს შორის უნდა აღდგეს ძმური ურთიერთობები და ეს უნდა მოხდეს ▶**

**აშშ-ის მიერ ნატოს დასაფინანსებლად გაღებული თანხების მთლიანი რაოდენობა გაცილებით აღემატება ყველა სხვა დანარჩენი წევრის მიერ შეტანილ წვლილს, ერთად აღებულს. ამიტომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მუქარა ძალზე მნიშვნელოვანი და რეალურია. რაც უნდა „უღრინოს" თავდაცვის მინისტრმა მეტისმა რუსეთს, ამ ქვეყანას აშშ ვერაფერს დააკლებს, მაგრამ აი ნატოსთვის ამერიკის ოფიციოზს უფრო დიდი ზიანის მიყენება შეუძლია და სწორედ ამას განიცდიან ბრიუსელში.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **სასწრაფოდ". ისიც ნიშანდობლივია, რომ ჩვენს ბრძენ პატრიარქს არასოდეს უწოდებია რუსეთისთვის ოკუპანტი და უფრო მეტიც, აგვისტოს ომს, როგორც წესი, ორ მოძმე ერს შორის მომხდარ გაუგებრობას უწოდებს.**

გამოდის, რომ მეუფე პეტრე და მისი გუნდი, შორენას კი არა, უწინარესად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უპირისპირდება.

რა იქნება ხვალ, ანუ როგორ წარიმართება „რუსთავი 2"-ისა და მეუფე პეტრეს მიერ საქართველოს დედაეკლესიის წინააღმდეგ მიმართული პროცესები, ძნელი სათქმელია. სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული უკიდურესად მძიმე სცენარიც.

და, **თუ ანაფორაში გახვეულმა ქრისტეს ფეხისმკვნეტელებმა საქართველოს ეკლესიის ერთიანი სხეულის დანაწევრება განიზრახეს, მაშინ, მეუფე იობ, მეუფე იაკობ და ყველა ეროვნულ-ბეროვნულად მოაზროვნე სასულიერო პირებო, გმართებთ, ქუდზე კაცს გვიხმოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ წავლეკოთ ნეოლიბერალი ხლისტები!**

ახლა რაც შეეხება პატრიარქის მიერ თავხედი სააკაშვილის მიღებას ბერლინის საავადმყოფოში:

ყველამ იცის ჩვენი პატრიარქის შემნდობი ხასიათის შესახებ და ეს, უწინარესად, მისი უწმინდესობის პირად დაცვას უნდა მოეხსენებოდეს და მოეხსენება კიდეც მეუფე დიმიტრის სიძის — **სოსო ოხანაშვილის** სახით.

პირადად სოსო ოხანაშვილი არის დამნაშავე, რომ პირსისხლიანი სააკაშვილი იუდას ამბორით მიეახლა უწმინდესს, რითაც, ვიმეორებ, ერის არცთუ უმნიშვნელო ნაწილის, რბილად რომ ვთქვათ, უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენი პატრიარქის მიმართ. დაცვის უფროსი, რომ იტყვიან, უნდა დაწოლილიყო პატრიარქის პალატის კართან, თუ საჭირო შეიქნებოდა, ერთი-ორი ალიყურიც უნდა ეთავაზებინა მიშიკოსთვის და არ შეეშვა ავადმყოფთან.

რა, მე და თქვენ, მკითხველო, **რომ მომხდარიყო სასწაული და ბერლინში წასასვლელი ფული გვეშოვა, ოხანაშვილი საყვარელი პატრიარქის მონახულების უფლებას მოგვცემდა?**

რაც შეეხება ე.წ. სახელმწიფო დაცვის სამსახურს, რომელიც დიდის ამბით მიავლინა ბერლინში პრემიერმა **კვირიკაშვილმა**, თქვე კაი ხალხო, საქართველოს ხელისუფლების მიერ ძებნილი სააკაშვილი კარს მოგადგათ და, თუ თქვენ არ გქონდათ მისი დაკავების თავი, გერმანელი სამართალდამცავები მაინც გამოგეძახებიათ.

მართალია, ჩვენი გერმანელი მეგობრები" ხელსაც არ ახლებდნენ „დემოკრატიის შუქურას", მაგრამ „ამბავი" ხომ გახმაურდებოდა, „ამბავი", რომელიც მიუნხენში მიმდინარე ევროპის უსაფრთხოების კონფერენციის მონაწილეთა ყურამდე მივიდოდა?!

თუმცა, მეც მოვინდომე რა...

**დავით მხეიძე**

# ნატოს საკითხი მიუნხენის კონფერენციის შუქზე

## ქართული მედია მოვლენებს ისე აშუქებს, თითქოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა და საქართველო იყო და არის ნატოს წევრობის რეალური კანდიდატი

**ქართული მედიასაშუალებების დიდი ნაწილი განაგრძობს საზოგადოების ცალმხრივ ინფორმირებას და მკითხველისა თუ მსმენელის შეცდომაში შეყვანას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. მოვლენები ისე შუქდება, თითქოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში პრინციპულად არაფერი შეცვლილა და საქართველო იყო და არის ნატოს წევრობის რეალური კანდიდატი.**



ისედაც ეფემერული პერსპექტივა, რომ საქართველო მოიპოვებს ნატოს სრულუფლებიან წევრობას, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ საერთოდ გაქრა. ამას არ იმჩნევს საქართველოს პროდასავლური ხელისუფლება, ოპოზიცია თუ მასმედია, მაგრამ ამით რეალობა არ იცვლება.

ამჯერად იმოწმებენ აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსის** გამოსვლას მიუნხენის უშიშროების ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც მან განაცხადა, რომ „აშშ იყო თქვენი (ე.ი. ევროპელი მოკავშირეების — გ. რ.) პირველი მოკავშირე, და ეს მუდამ ასე იქნება". მეტიც, პენსმა თავისი ახალგაზრდობა გაიხსენა, როდესაც დასავლეთ ბერლინში მოუწია ჩასვლა, იქიდან კი სოციალისტურ აღმოსავლეთ ბერლინში გაემგზავრა. „ნაცრისფერ" აღმოსავლეთ ბერლინს „ჭრელი" დასავლეთის ფონზე მაიკ პენსს ცუდი შთაბეჭდილება დაუტოვებია... ამ მოგონებას, ისევე, როგორც ამერიკის მოკავშირეობაში დარწმუნებას, ევროპელი პარტნიორები უნდა დაემშვიდებინა. როგორც დარბაზში მყოფი უცხოელი ჟურნალისტები წერენ, საზოგადოება ამერიკის ვიცეპრეზიდენტს დიდი ყურადღებით უსმენდა და მან თავშეკავებული ტაშიც დაიმსახურა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, „ტრანსატლანტიკური პარტნიორობის" მომხრეები ვერ დაამშვიდა.

საქმე ის არის, რომ **პენსის მიერ დასმული აქცენტები არანაირ ვალდებულებას არ აკისრებს ამერიკას, შეზღუდოს თავისი ინტერესების სასიკეთო მოქმედება, მათ შორის, რუსეთთან ორმხრივი დიალოგის ფარგლებში. ეს ცენტრალური საკითხია.** აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას უარი არ უთქვამს რუსეთთან ორმხრივ დიალოგზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ დიალოგის უპირველესი მომხრე, ტრამპის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში — **მაიკ ფლინი** უკვე ემსხვერპლა გლობალისტთა ხრიკებს — ფლინმა სამი კვირაც ვერ გაძლო თანამდებობაზე, ისე გადადგა, მაგრამ ვიმეორებთ:, ოფიციალური ვაშინგტონი, მოცემულ ეტაპზე კვლავაც ინარჩუნებს მოქმედების შეუზღუდველობის უფლებას. აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის განცხადებაც, რომელიც მიუნხენამდე ოდნავ ადრე, ნატოს მინისტერიალზე გაკეთდა. **ტრამპის კაბინეტში რუსეთისადმი ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილმა თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მეტისმა აღნიშნა, რომ აშშ ნატოს ფარგლებში თავისი ვალდებულებების ერთგული კი რჩება, მაგრამ, ამასთანავე, კატეგორიულად მოითხოვს, რომ წევრმა-სახელმწიფოებმა თავიანთი წლიური მშპ-ის 2 პროცენტზე მეტი მოახმარონ ამ ორგანიზაციას, რისგანაც ისინი ჯერ კიდევ შორს არიან.** „თუკი თქვენს ქვეყნებს არ სურთ, იხილონ, როგორ ამცირებს აშშ თავის წვლილს ალიანსში, ყოველი თქვენგანის დედაქალაქმა უნდა მოახდინოს ჩვენი კოლექტიური თავდაცვის მხარდაჭერა", — განაცხადა **ჯეიმს მეტისმა.**

აშშ არასოდეს ყოფილა ასეთი მომთხოვნი ნატოს დაფინანსების თაობაზე. შეგახსენებთ: ნატოს მშპ-ს 2 პროცენტსა და მეტს, აშშ-ს თუ არ ჩავთვლით, მხოლოდ დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, პოლონეთი და ესტონეთი ახმარენ. **აშშ-ის მიერ ნატოს დასაფინანსებლად გაღებული თანხების მთლიანი რაოდენობა კი გაცილებით აღემატება ყველა სხვა დანარჩენი წევრის მიერ შეტანილ წვლილს, ერთად აღებულს. ამიტომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მუქარა ძალზე მნიშვნელოვანი და რეალურია. რაც უნდა „უღრინოს" თავდაცვის მინისტრმა მეტისმა რუსეთს, ამ ქვეყანას აშშ ვერაფერს დააკლებს, მაგრამ აი ნატოსთვის ამერიკის ოფიციოზს უფრო დიდი ზიანის მიყენება შეუძლია და სწორედ ამას განიცდიან ბრიუსელში.** პრეზიდენტ ტრამპთან ყველაზე უფრო დაახლოებული მრჩეველი, ლიბერალური მასმედიისთვის მთავარი მტრის ხატი **სტივენ ბენონი** თავის თავზე ამბობს, რომ იგი არის არა „თეთრკანიანი ნაციონალისტი" (ე.ი. რასისტი ან ეთნო-ნაციონალისტი), არამედ „ეკონომიკური ნაციონალისტი". ეს ნიშნავს, რომ ტრამპის პოლიტიკური გუნდის მთავარი წევრი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ამერიკის ხარჯები, თუნდაც მოკავშირეების სასიკეთოდ, შემცირდეს და რაციონალურ ფარგლებში მოექცეს. **დღეს ამერიკა ისევეა გადატვირთული სამხედრო ხარჯებით, როგორც საბჭოთა კავშირი იყო 1980-იან წლებში. ორი ათეული ტრილიონი დოლარის საგარეო ვალის მქონე შეერთებულ შტატებს აღარ ძალუძს ეკონომიკურ ეგოიზმზე უარის თქმა თუნდაც სამხედრო-სამოკავშირეო საქმეების მიმართ.** ტრანსატლანტიკური ბიუროკრატია ამ მიდგომას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და, ვინაიდან დოლარის ემისია ისევ და ისევ ვაშინგტონის პრეროგატივაა, სწორედ ამერიკისგან მოითხოვენ ძველი პოლიტიკის გაგრძელებას, თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს მცდელობები ჯერჯერობით წარუმატებელია.

მიუნხენის კონფერენციაზე ვიცეპრეზიდენტმა პენსმა კიდევ ერთი ისეთი ფრაზა ისროლა, რომელმაც იქ მყოფი ჟურნალისტები დააფიქრა. გერმანული „შპიგელი" აღნიშნავს, რომ პენსის სიტყვები შენიღბულ დიპლომატიურ მუქარას ჰგავს, კერძოდ: **„ჩვენ ისეთივე ერთგულნი ვიქნებით თქვენ მიმართ, როგორც თქვენ — ჩვენ მიმართ პრეზიდენტ ტრამპის პირობებში".** მართლაც, ამ სიტყვების აღქმა მუქარად სავსებით ლოგიკურია, მათი პერიფრაზირება ასე შეიძლება: **„ვინც აშშ ხელისუფლების ერთგული არ არის, იგი ნუ იქნება აშშ-ის ერთგულების იმედად".** არადა, ყველამ მშვენივრად იცის, როგორც „უყვართ" ევროპაში და, მათ შორის, ნატოს სტრუქტურებში პრეზიდენტი ტრამპი და მისი ადმინისტრაცია, ამიტომ ამერიკელთაგან ყველაზე მქუხარე ტაში მიუნხენში ისევ ახირებულმა ბერიკაცმა, ჩვენი ნაცების მარადიულმა იმედმა და გახარებამ, სენატორმა მაკეინმა დაიმსახურა. მისი შემართული სპიჩი მალამოსავით მოეცხო დამსწრე საზოგადოების გულს. მაგრამ ეს საზოგადოება. ქართული პოლიტელიტისა და მასმედიის დიდი ნაწილისგან განსხვავებით, არც ისეთი ბრიყვია, რომ მაკეინის იმედად დარჩეს. ევროპა, ნატო თავიანთ გზას, ასე თუ ისე, ალბათ, მოძებნის, მაგრამ საქართველო, ზევით ნახსენები „ელიტების" ხელში, მათი აკვიატებული იდეებისა და არაპროფესიონალიზმის გამო, აღელვებულ ზღვაში უნიჩბოდ დარჩენილ ნავს უფრო ჰგავს, ვიდრე პერსპექტიულ სახელმწიფოს.

**გულბაათ რცხილაძე**



### ელიზბარ ჯაველიძე:

# ვაი, შენს პატრონს, კვირიკაშვილო! ვიცეპრემიერობაღა აკლდა ჯეჯელავას

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა მესამე ვიცეპრემიერად დაინიშნა. ამის თაობაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ახლახან გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

მისი განმარტებით, ჯეჯელავას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის კუთხით კოორდინირების ფუნქცია ექნება. „სანდრო ჯეჯელავა მინდა წარმოგიდგინოთ, როგორც მესამე ვიცეპრემიერი. მინდა მივანიჭოთ ფუნქცია, რომ მან გაუწიოს კოორდინაცია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ახალგაზრდობის პოლიტიკას, ბუნებრივია, შესაბამის უწყებებთან ერთად. მინდა, წარმატება ვუსურვო სანდროს!" — განაცხადა კვირიკაშვილმა.

არის თუ არა სწორი და ადეკვატური ნაბიჯი აღნიშნულ თანამდებობაზე ჯეჯელავას დანიშვნა, რა კრიტერიუმებით შეიძლება არჩევდეს პრემიერი ამა თუ იმ პოსტზე წარდასგენ სუბიექტებს და, საზოგადოდ, რამდენად გამართულია ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა, „საქართველო და მსოფლიო" კომენტარისთვის პუბლიცისტსა და მეცნიერს — **ელიზბარ ჯაველიძეს** დაუკავშირდა.

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— ვაი, შენს პატრონს, კვირიკაშვილო! ვიცეპრემიერობაღა აკლდა ჯეჯელავას. საზოგადოება აღშფოთებულია მისი განცხადებებით და კიდევ თანამდებობაზე ნიშნავთ?! მაგის მინისტრობა არის საქართველოს სირცხვილი და ამას გადაყვებით ყველა.

ხანდახან მგონია, რომ ესენი ხალხს მასხრად იგდებენ, მაგრამ მათი პარპაში დიდხანს არ გაგრძელდება. ცოტა მაგათზე განათლებულებიც ვართ და ჭკუაც მეტი მოგვეკითხება. არაფერს ვამბობს სამშობლოსა და ხალხის სიყვარულზე, რომელიც მათ, საერთოდ, არ გააჩნიათ.

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბერლინში საოპერაციოდ ჩასული პატრიარქი ნაპრეზიდენტალმა მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა. იმ სააკაშვილმა, რომელსაც საქართველოს პროკურატურა, თურმე, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ეძებს და ხან უკრაინას საყვედურობს, რატომ არ იჭერთ და გადმოგვცემთო, და ხან ევროპაში გზავნის საპროტესტო წერილებს. ჰოდა, საინტერესოა, ინტერპოლის ხაზით ძებნილი სააკაშვილი რომ შევიდა პატრიარქთან, რა მოიმოქმედა ანზორ ჩუბინიძემ — უწმინდესის უსაფრთხოებაზეც დაიწყო ზრუნვა თუ გერმანიაში არსებულ ინტერპოლის ბიუროს დაუკავშირდა, — ჩვენი ძებნილი კაცი აგერ გვყავს, დაგვაკავებინეთ და საქართველოში ექსტრადირებაში დაგვეხმარეთო?!**

# ვინ უფრო სახიფათო იყო პატრიარქისთვის — თბილისის აეროპორტში დაკავებული მამა გიორგი (მამალაძე) თუ ბერლინში ჩასული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თვითონ არის მოარული ციანიდი?!

**დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში ნდობის სარეიტინგო სიაში ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი, გაჭირვებისა თუ დალხინების მიუხედავად, პირველ ადგილზე ეკლესია იყო. ამას კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია მეორის ავტორიტეტი განაპირობებდა; ავტორიტეტი, რომლის შელახვას არაერთხელ შეეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. და ეს იმის მიუხედავად, რომ რიგით ადამიანებს გულზე არ ეხატებოდათ რესტორანში მოქეიფე თუ ჯიპებით მოსიარულე სასულიერო პირები. მრევლი პატრიარქს მიჰყვებოდა, მიჰყვება და...**



ბოლო წლებია, პატრიარქის შემცვლელზე აქტიურად საუბრობენ. რა იქნება მერე? — კითხვა, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია და რომელზეც მრევლს რეალურად პასუხი არ აქვს. ეს მრევლს, თორემ კულუარებში ეგებ პასუხიც აქვთ და პასუხებიც.

სკანდალი, რომელიც გასულ კვირას აგორდა, წესითა და რიგით, კარგა ხანს იქნება სამსჯელო თემა. მოვისმინეთ ყველაფერი, რისი მოსმენაც და წარმოდგენაც შეიძლებოდა, მოვისმინეთ ურთიერთბრალდებები და შევიტყვეთ ის, რაზეც მრევლი აქამდე ჩუმად, მაგრამ მაინც საუბრობდა. და **რა ხდება რეალურად? ვინ ვის და რატომ ებრძვის? არის ეს ბრძოლა უშუალოდ პატრიარქის წინააღმდეგ თუ იკვეთება ნიშნები იმისა, რომ სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში აღება ადამიანების იმ ჯგუფს სურს, რომელიც ე.წ. ლიბერალების ფრთას წარმოადგენს?!**

აგორებულ სკანდალს საინტერესო ფაქტი დაემთხვა — **საკონსტიტუციო სასამართლომ არაკანონიერად სცნო მუხლი, რომლის მიხედვითაც პირებს, რომლებსაც პირადი მოხმარებისთვის 100 გრამი ნედლი, ანუ 50 გრამი მშრალი მარიხუანა ექნებათ, სისხლის სამართლის პასუხისგება არ დაეკისრებათ.** ამ გადაწყვეტილების უკეთ გასააზრებლად გეტყვით, რომ ასანთის კოლოფში ოთხი გრამი გამხმარი მარიხუანა ეტევა, ხოლო მოკრეფიდან მეორე დღეს მარიხუანა არც მშრალია და არც ნედლი, ნახევრადმშრალია და ეს რომელ კატეგორიაში გადის, საკონსტიტუციოს მოსამართლეებს არ დაუკონკრეტებიათ. **სასამართლომ, რეალურად, კაიფი დააკანონა და მომავალში, თუ რომელიმე საჯარო მოხელე ან კერძო კომპანიაში მომუშავე პირი სამსახურში ე.წ. პლანით დაკაიფებული მივა, ვერაფერს ეტყვიან. მიზეზი მარტივია: პრაქტიკულად არავის უწერია შინაგანაწესში, რომ სამსახურში კაიფში სიარული აკრძალულია. აქამდე ამას სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებდა, ახლა კი...**

უფრო ადრე, იმავე ლიბერალების მხარდაჭერითა და ლობირებით, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, განსხვავებული ორიენტაციის მქონე პირების მიმართ მცირე აგრესიის (თუნდაც გინების) გამოვლენა სისხლის სამართლის კოდექსით დაისჯება.

**ნარკოტიკები დავაკანონეთ, მამათმავლობა დავაკანონეთ და ახლა ისღა დაგვრჩენია, პატრიარქად ჭყონდიდის მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა) ავირჩიოთ და მან ქაშვეთის ეკლესიაში ჯვარი დასწეროს ჰომოსექსუალებს.**

თვეზე ცოტა მეტი დარჩა აღდგომის დღესასწაულამდე და მახსოვს, წინა აღდგომას, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის წინ, „რუსთავი 2“-ის გენდირექტორმა **ნიკა გვარამიამ** სოციალურ ქსელში რომ დაწერა: **„იმ მეგობრებმა, ვისაც ამ მსოფლიო აფერის და იდიოტიზმის გჯერათ, „ფრენდებიდან“ წამშალეთ...“** ახლა კი პირდაპირ ეთერში განაცხადა უტიფრად, ღვთის წყალობით, პატრიარქი კარგად არის და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებაო. **გვარამია, რომელიც ე.წ. ლიბერალების ფრთის მთავარი მხარდამჭერია, ტელევიზიას, რომლის შეფობაც არგუნეს, ხან ეკლესიის მხარდასაჭერად იყენებს, ხანაც მისი ავტორიტეტის შესაბღალავად; გააჩნია, პირადად მას და მის დამსაქმებლებს როგორ სჭირდებათ. მერე ასევე უტიფრად გამოდიან და ერსა და ბერს მხარში ამოდგომისკენ მოუწოდებენ, რათა ბოლმა, რომელიც მათი არხიდან ინთხევა, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდეს.**

ამ ყველაფერში კი სახელმწიფოს სადავეებთან მდგარი ადამიანების უნიათობა და, რბილად რომ ვთქვათ, მძიმე დანაშაული იკვეთება. როგორც კი ხმა გავარდა, მამა **გიორგი (მამალაძე)** დააკავეს, გერმანიაში ციანიდის ხსნარით მიდიოდაო, ბერლინში, სადაც პატრიარქს ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილი უფროსი, ამჟამად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი **ანზორ ჩუბინიძე** ჩაფრინდა თავის ბიჭებთან ერთად და პატრიარქის უსაფრთხოებაზე ზრუნვა საკუთარ თავზე დაიკისრა. ძალიან კარგია, როცა სახელმწიფო ასე ზრუნავს ეკლესიის საჭეთმპყრობელზე, მაგრამ...

ბერლინში საოპერაციოდ ჩასული პატრიარქი ნაპრეზიდენტალმა **მიხეილ სააკაშვილმა** მოინახულა, იმ სააკაშვილმა, რომელსაც საქართველოს პროკურატურა თურმე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ეძებს და ხან უკრაინას საყვედურობს, რატომ არ იჭერთ და გადმოგვცემთო, და ხან ევროპაში გზავნის საპროტესტო წერილებს. ჰოდა, საინტერესოა, ინტერპოლის ხაზით ძებნილი სააკაშვილი რომ შევიდა პატრიარქთან, რა მოიმოქმედა ანზორ ჩუბინიძემ? — უწმინდესის უსაფრთხოებაზეც დაიწყო ზრუნვა თუ გერმანიაში არსებულ ინტერპოლის ბიუროს დაუკავშირდა, ჩვენი ძებნილი კაცი აგერ გვყავს, დაგვაკავებინეთ და საქართველოში ექსტრადირებაში დაგვეხმარეთო?! ახლა თუ ვინმე მეტყვის, რომ ამის გამო ჩუბინიძის პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს, მაშინ მარტივ კითხვას დავსვამ: **ვინ უფრო სახიფათო იყო პატრიარქისთვის — თბილისის აეროპორტში დაკავებული მამა გიორგი მამალაძე თუ ბერლინში ჩასული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თვითონ არის მოარული ციანიდი?! აკი თქვა კიდეც მიშამ ორაზროვნად ჟურნალისტებთან, — პატრიარქს შემოვუარეთ მე და დედაჩემმაო. იმ მიშამ, რომლის გუნდსაც 2012 წელს იმ იმედით შემოუარა ერმა და გაუშვა პოლიტიკურ სამარეში, რომ სამართლიანობის აღდგენის იმედი ჰქონდა, რეალურად კი ლიბერალური ქვეყანა მიიღო. ქვეყანა, რომელშიც აღარც ნარკომანებს დასჯიან, აღარც მამათმავლებს და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებაც არ არის შორეული პერსპექტივა.**

ის, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება, აღარ არის კოაბიტაცია, ამას უფრო სექსი საკუთარ თავთან ჰქვია და ამით არის დაკავებული ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა და ახლა მისი დაცვის უფროსი, რომელიც არც კი ფიქრობს, რომ საქართველოს პატრიარქთან სააკაშვილის შეშვებით პატრიარქს ავტორიტეტი შეელახება, თვითონ ივანიშვილის ავტორიტეტსაც თელავს ფეხქვეშ, მიწასთან ასწორებს. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ხმამაღლა ამბობენ და ამტკიცებენ კიდეც, რომ ხელისუფლება უნიათოა, ხოლო დასაკონკრეტებლად **გიგი უგულავას** ფრაზას მოვიყვანთ: „ხელისუფლება ჩუკენობით არის დაკავებული“, იმ უგულავას სიტყვებს, რომელმაც, აღიარა, რომ სახელმწიფოს ფულს ჭამდა და... ციხიდან გაუშვეს.

**ის, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება, აღარ არის კოაბიტაცია, ამას უფრო სექსი საკუთარ თავთან ჰქვია და ამით არის დაკავებული ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა და ახლა მისი დაცვის უფროსი, რომელიც არც კი ფიქრობს, რომ საქართველოს პატრიარქთან სააკაშვილის შეშვებით პატრიარქს ავტორიტეტი შეელახება, თვითონ ივანიშვილის ავტორიტეტსაც თელავს ფეხქვეშ, მიწასთან ასწორებს. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ხმამაღლა ამბობენ და ამტკიცებენ კიდეც, რომ ხელისუფლება უნიათოა, ხოლო დასაკონკრეტებლად გიგი უგულავას ფრაზას მოვიყვანთ: „ხელისუფლება ჩუკენობით არის დაკავებული“, იმ უგულავას სიტყვებს, რომელმაც აღიარა, რომ სახელმწიფოს ფულს ჭამდა და... ციხიდან გაუშვეს**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ეკლესიურად ჩუკენობა მომაკვდინებელი ცოდვაა, სახელმწიფოებრივად კი — უკვე „გაპრავებული“!**

## როდის ექნებათ საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში უვიზოდ შესვლის უფლება

**რუსეთის ხელისუფლება კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას აპირებს საქართველოსთან 2008 წელს გაწყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე რამდენიმე დღის წინათ ისაუბრა.**

„ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ საქართველოსთან ურთიერთობა, ასე თუ ისე, ნორმალიზდება. იზრდება ტვირთბრუნვა. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, თუ არ ვცდები, მესამე ქვეყანა, რომელიც ქართულ საექსპორტო პროდუქციას ყიდულობს, რუსეთია. ფართოვდება საავიაციო მიმოსვლის არეალი. მნიშვნელოვნად ლიბერალიზებულია სავიზო პოლიტიკა. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ეს საკმაოდ რთული საკითხია... ეს დაკავშირებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან იმ პირობებში, როდესაც არა მხოლოდ ცენტრალური აზია, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ხდება ადგილი, რომლის გამოყენებასაც აქტიურად ცდილობენ „ბოევიკები“, ექსტრემისტები, ტერორისტები და ნარკომოვაჭრეები. როცა აღდგება სრულფასოვანი ურთიერთობა რუს და ქართველ სამართალდამცველ ორგანოებს შორის, რათა ამ რისკების მინიმალიზება მოვახდინოთ, ალბათ, შესაძლებელი იქნება საუბარი სავიზო რეჟიმის შემდგომ შემსუბუქებაზე“, — განაცხადა **სერგეი ლავროვმა.**

„რუსთავი 2"-ის საქმემ, რომელსაც, ერთი შეხედვით, დადებითი არაფერი უნდა ჰქონდეს, მაინც მოიტანა ის დადებითი შედეგი, რომ ქართველმა ხალხმა უკვე ზუსტად იცის, ვინ რა ნაგვობაზეა წამსვლელი და სინამდვილეში ვინ არის ნაციონალების ფარული სატელიტი. უფრო ზუსტად, ნაციონალები ფორს-მაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და იძულებული შეიქნენ, ყველა ფარული სატელიტი გამოეაშკარავებინათ.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ლუსტრავი 2», ანუ რეალურად რისი თავი აქვს «რუსთავი 2»-ს?

**როგორც მოსალოდნელი იყო, „ვარდების რევოლუცია 2", სავარაუდოდ, ჩაფლავდა. კვირას ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მიერ პანიკურად დაანონსებული და ქვეყნის სიდიდითა და გავლენით მეორე ადგილზე მყოფი პოლიტიკური პარტიის მიერ ორგანიზებული „საპროტესტო" აქცია სრულიად მოსალოდნელად ჩავარდა.**



რუსთაველზე მისულმა ხუთიოდე ათასმა ადამიანმა 1 საათსაც ვერ გაძლო და ისე დაიშალა, რომ მიტინგის „დამაგვირგვინებელ ფაზაში" ტრიბუნასთან მისულ პროკურორ გვარამიას ტაშის დამკვრელიც კი აღარ დარჩა, ამიტომ გაგენდირექტორებულ პროკურორს სარკესთან ნავარჯიშევმა მიმიკამ და ალაგ-ალაგ თავგანწირულმა ამოხავლება-შეყვირებებმა ფუჭად ჩაუარა. მოედანზე ალაგ-ალაგ შერჩენილი, ჭორაობაში გართული ხალხი ზარმაცად უკრავდა ტაშს და სტვენა-ბღავილიც მხოლოდ მათ აღმოხდებოდათ ხოლმე, ვისთანაც ახლოს იდგა 20-20 ლარის დამრიგებელი „ნაცკოორდინატორი".

**ჩანდა ასე ნაცნობი „ნაცური" სულისკვეთება — ბევრი დროშა, დარაზმული გატებივით მოარული ადამიანები, რომლებსაც სახეზე ეტყობოდათ, რომ ერთი სული ჰქონდათ, როდის დახარჯავდნენ აქციაზე მისვლაში აღებულ 20 ლარს.**

ამიტომ ამ ხალხს თავი დავანებოთ და ყურადღება იმ ადამიანებზე გადავიტანოთ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს ამუნათებდნენ, — აქ ვინც არ მოხვედით, თქვენ ევროპული გზის, დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების მტრები ხართ, ხოლო აქ მოსული ხალხი — გმირულად თავგანწირული ადამიანები იმისათვის, რომ ჩვენმა შვილებმა ჭეშმარიტად თავისუფალ და ევროპულ საქართველოში იცხოვრონო.

ერთი სიტყვით, მიტინგზე გამომსვლელებისა და იქ „დამოუკიდებელი ტელევიზიის" მხარდასაჭერად მისული „შემადგენლობის" გადახედვა უკვე საკმარისია იმისთვის, რომ დავინახოთ ლუსტრირების პროცესი — **„რუსთავი 2"-ის საქმემ, რომელსაც, ერთი შეხედვით, დადებითი არაფერი უნდა ჰქონდეს, მაინც მოიტანა ის დადებითი შედეგი, რომ ქართველმა ხალხმა უკვე ზუსტად იცის, ვინ რა ნაგვობაზეა წამსვლელი და სინამდვილეში ვინ არის ნაციონალების ფარული სატელიტი. უფრო ზუსტად, ნაციონალები ფორს-მაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და იძულებული შეიქნენ, ყველა ფარული სატელიტი გამოეაშკარავებინათ.**

მართალია, ეს სატელიტები შეძლებისდაგვარად ცდილობენ, ბოლომდე არ გაიშიშვლონ თავი და ასეთი მხარდაჭერა მანიაკებით სავსე ტელევიზიის მიმართ რაიმეთი გაამართლონ, მაგრამ მოყვანილი არგუმენტები კიდევ უფრო ამაზრზენს ხდის მათ.

ასეთი არგუმენტებია: „მე არ ვარ მიშასა და ნაცების მომხრე, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია მთავრობის მიმართ კრიტიკული არხის არსებობა". ანდა — „რუსთავი 2"-ის დახურვით უამრავი ადამიანი დარჩება უმუშევარი და, ვინაიდან ყველამ ვიცით უმუშევრობის სიმწარე, ამიტომ მხარს ვუჭერ ამ ტელევიზიას" და კიდევ სხვა ბევრი დემაგოგიურ-კომიკური თავის მართლება.

რა თქმა უნდა, ნორმალურ ადამიანს განმარტებაც არ უნდა სჭირდებოდეს, რომ სულ სხვა რამეა **„მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელეარხი"** და სულ სხვაა მიშა სააკაშვილის პირადი დაკვეთების შემსრულებელი მონების დაჯგუფება, რომლის თანამშრომლებსაც თავმოყვარეობა იმ დონეზე აქვთ დაცემული, რომ მიშას ოდესაშიც კი აკითხავენ და იქ „მწვადაობისას" მლიქვნელი სიფათებით შესციცინებენ თვალებში.

ვისაც ეს ჰგონია „მთავრობისადმი კრიტიკული განწყობა", ის ან ნამდვილი რეგვენია, ან, უბრალოდ, უტვინო დემაგოგი.

რაც შეეხება უმუშევრობას, **უბრალოდ, კომიკურია, ვიდარდოთ ნიკა გვარამიას ბანდის უმუშევრობაზე, მაშინ, როდესაც ისინი სხვების არათუ უმუშევრობას, არამედ წამებას, შეურაცხყოფას, დამცირებას უჭერდნენ მხარს და ტაშს უკრავდნენ.** ხოლო კონკრეტულად უმუშევრობაზე თუ ვიტყვით რამეს, უწინარესად, ის უნდა გავიხსენოთ, რომ, როდესაც სააკაშვილმა ლამის ნახევარი საქართველო გაყარა სამსახურებიდან, სწორედ ამ ტელევიზიის თანამშრომლები უწოდებდნენ ქუჩაში საპროტესტოდ გამოსულ ადამიანებს „წარუმატებლებსა" და „დაბოღმილებს", მათი სამსახურებიდან უაპელაციო გაგდების მიზეზად კი „არაპროფესიონალიზმს" ასახელებდნენ, თითქოს თითოეული მათგანის პროფესიონალიზმზე ტესტირება პირადად ჰქონდათ ჩატარებული.

ამ ადამიანებს ყოველთვის ფეხებზე ეკიდათ სხვების ბედი. **კლასიკური უტიფრობის ნიმუშია დიანა ჯოჯუა, რომელიც ისე გაჰკიოდა, — ყველას მოვალეობაა, დავიცვათ თავისუფალი სიტყვა და სირცხვილია, არ ამოვიღოთ ხმა დამოუკიდებელი ტელევიზიის განადგურების წინააღმდეგო, — გეგონებოდათ, ეს ის უსირცხვილო ადამიანი არ არის, რომელსაც 2007 წელს ტელეკომპანია „იმედში" მეგობრები და კოლეგები უცემეს, ოფისი დაურბიეს, თვითონ კი მესამე დღესვე არ გადაიპარა „რუსთავი 2"-ზე, ისე, რომ არც გახსენებია არც თავისუფალი მედია, არც დემოკრატია, არც ნაზევგვი კოლეგა-მეგობრები.**

ახალ სიმაღლეებს იპყრობს **ზაალ უდუმაშვილიც**, რომელიც ნამდვილად შესანიშნავად გამოიყურება გებელსის ამპლუაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ უდუმაშვილს „მეორე არხზე" გამოჩენიდან დღემდე, ანუ მთელი 25 წელიწადი, ერთი სიტყვაც არ უთქვამს არსად და არასოდეს, გარდა იმისა, რასაც ეთერისთვის უწერდნენ ხოლმე, ამჟამინდელი თავგამოდება და გაუგონარი აქტიურობა გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ ნაცებს მტკიცებულებები აქვთ ზალიკოს რაღაც ძალიან სერიოზული მიქარვის შესახებ და მას ამ მტკიცებულებების გამომზეურების ეშინია.

ვფიქრობ, ზედმეტი იქნება აქ **შალვა ნათელაშვილის, გიორგი თარგამაძისა** და ნაციონალებთან ფარულ თანამშრომლობაში ადრევე ეჭვმიტანილი და უკვე საბოლოოდ გაფარჩაკებამდე სახელგატეხილი სხვა მოპოლოტიკოსო ელემენტების ჩამოთვლა და მათი ცალ-ცალკე განხილვა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ „მისია შესრულებულია" და **ბიძინა ივანიშვილმა** თვალნათლივ დაგვანახვა მის მიერ ჯერ კიდევ პოლიტიკაში შემოსვლის პირველ დღეებში „ნაციონალებთან ფარულ თანამშრომლობაში" ბრალდებული პოლიტიკოსებისა და პარტიების ნამდვილი სახე, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ „დანახვების" პროცესში ლამის 5 სრული წელიწადი გავიდა. **ვიდრე „რუსთავი 2" ლუსტრირების მექანიზმად, ანუ „ლუსტრავი 2"-ად გადაიქცეოდა, მართლაც უამრავი უსამართლობა, „ოცნებაში" პორტირებული ნაცების ზეობა და იმედგაცურება გადაიტანა ჩვენმა მოსახლეობამ.**

ბიძინას მომხრეები ამბობენ, ამ კაცს „უდავს" (მახრჩობელა გველს) ეძახიან და იგი ნელ-ნელა „ახრჩობს" მოწინააღმდეგესო, მაგრამ, მოწინააღმდეგესაც ხომ გააჩნია და იმასაც, ამ შენს „უდავობაში" ქვეყანა რა დღეში ჩავარდება?! ეს ხომ რომელიმე ბიზნეს-ნიშის დაკავების ან კონკურენტის გაკოტრების ოპერაცია არ არის?! ეს სახელმწიფოა და სახელმწიფოს ბედი შეიძლება ძალიან მოკლე ხანში გადაწყდეს — ან კარგისკენ, ან საბოლოო დაღუპვისკენ!

**ბოლოს და ბოლოს, 4 წელიწადში სტალინმა ჰიტლერს მოუგო ომი, დასავლეთით ბერლინამდე ჩავიდა და აქეთ, აღმოსავლეთისკენ კიდევ, ტოკიოსაც აიღებდა დღე-დღეზე, ამერიკელებს ატომური ბომბი რომ არ გამოეყენებინათ. ჰოდა, ეს ნაციონალები რა გახდა, 5 წელია, რომ „ახრჩობთ" და ველარ „მოახრჩვეთ", ბიძინა-ბატონო?!**

თუ დააკვირდით, არსად არც ერთხელ არ მითქვამს „რუსთავი 2"-ის დამარცხება ან „რუსთავი 2"-ის მხარდასაჭერი აქცია-მეთქი. ამაზეც მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო და ყველა მოაზროვნე ადამიანს ვთხოვო, რომ ნუღარ მოიხსენიებენ ამ აქციებს „რუსთავი 2"-ის მხარდაჭერის" აქციებად, რადგან **ეს პროკურორი გვარამიას მხარდამჭერი აქციებია და არა „რუსთავი 2"-ის.**

ნუ დაგვავიწყდება, რომ „რუსთავი 2" არ არის მხოლოდ ის ჯგუფი, ის უნამუსო და შუბლის ძარღვგაწყვეტილი ადამიანები, რომლებიც ამ კონკრეტულ ეტაპზე მუშაობენ ამ ორგანიზაციაში და, ოღონდ მაღალი ანაზღაურება მიიღონ, „წარმატებულის" იმიჯი მოირგონ და ოჯახის წევრებსაც კი გაწირავენ და გაყიდიან!

ჩემთვის „რუსთავი 2" ის ღირსეული ჟურნალისტები, ის ღირსეული ადამიანები უფრო არიან, რომლებსაც იმ შავბნელი 9 წლის განმავლობაში ამ შერცხვენილი და დამონებული ტელევიზიიდან წასვლა მოუწიათ — ან საღი აზრის გამოთქმის გამო გააგდეს, ან თვითონ არ ისურვეს ამ ამაზრზენ მონებთან თანამშრომლობა და ნებაყოფლობით დატოვეს ეს სამარცხვინო ორგანიზაცია.

ასეთი რამ კი „რუსთავი 2"-ზე არაერთხელ მომხდარა. **ეს ის ტელევიზიაა, რომლის საინფორმაციო სამსახურის უფროსი პირდაპირ ეთერში გადადგა თანამდებობიდან სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო და განაცხადა, რომ პირდაპირ „ყურზე აზის" მთავრობის წარმომადგენელი და კარნახობს, რა თქვას და რა — არა! ეს ის ტელევიზიაა, რომლის გენერალური დირექტორი იძულებით გაუშვეს, რადგან ძველი მეპატრონეების კადრი იყო, ხოლო მასთან ერთად არხი თითქმის ყველა პროდიუსერმა და ცნობილი ჟურნალისტების 80 პროცენტმა დატოვა. ეს ის ტელევიზიაა, საიდანაც 2007 წლის 7 ნოემბერსაც გაისმა პროტესტის ხმა და რამდენიმე თანამშრომელი მაშინაც წამოვედით არხიდან.** თუმცა ამ პერიოდში „რუსთავი 2" უკვე „მაქსიმალურად გაფილტრული" იყო, როგორც ამას მისი ბატონ-პატრონები, ბოლოლა ნაციონალები ამბობდნენ ხოლმე. ანუ ტელევიზიაში უკვე აღარ მუშაობდნენ იმ ჟურნალისტებისა და პროდიუსერების, აგრეთვე, ტექნიკური პერსონალის უმრავლესობა, რომლებსაც მეტ-ნაკლებად ეტყობოდათ, რომ მიშასადმი მონურ მორჩილებას არ ეგუებოდნენ. **ასეთი „ფილტრები" ამ „თავისუფალი სიტყვის ფლაგმანში" ყოველთვის მუშაობდა.** ამიტომ 2007 წელს მხოლოდ გასართობი-მუსიკალური პროგრამების რამდენიმე თანამშრომელს მოგვიწია ტელევიზიის დატოვება, რადგან პოლიტიკურ გადაცემებზე არ ვმუშაობდით და მანამდე ჩვენთვის არ მოუქცევიათ ყურადღება. ახლა კი მიპასუხეთ: აი ეს, უკვე თავიდან ბოლომდე „გაფილტრული" და მხოლოდ სინდისგარეცხილი ადამიანებით დაკომპლექტებული „სტაფი" რატომ არის „რუსთავი 2"?

პირიქით — მგონია, რომ ნამდვილ „რუსთავი 2"-ს სწორედ ის ხალხი წარმოადგენს, რომელიც იქ დღეს აღარ მუშაობს. ნამდვილი „რუსთავი 2" სწორედ ის ხალხია, რომელიც შეეცადა, ამ ტელევიზიისთვის ღირსება შეენარჩუნებინა და სხვა კოლეგებიც აზრზე მოეყვანა. სწორედ ამიტომ „რუსთავი 2"-ის რეალური მხარდაჭერა ნიკა გვარამიასა და მისი ბანდის წინააღმდეგ გამოსვლაა და არა პირიქით — ყოფილი პროკურორისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებულ ავანტიურისტულ „საპროტესტო" აქციაზე მისვლა, რომელსაც რატომღაც „დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მხარდაჭერად" ასაღებენ.

რა შეუძლია იმ „რუსთავი 2"-ს, რომელიც ასეთი ნაგავი ადამიანების ხელშია დღეს ჩავარდნილი? უკვე კარგად გამოჩნდა გასულ კვირა დღეს, რომ მათ შანსი აღარ აქვთ, კვლავ მოატყუონ და გააბრიყვონ ხალხი, როგორც ეს „ვარდების რევოლუციისას" გააკეთეს.

ხოლო, **ვისაც ნამდვილ „რუსთავი 2"-ზე შესტკივა გული, ის მის კანონიერ მფლობელებს, მის ღირსეულ და თავმოყვარე ყოფილ თანამშრომლებს უნდა ამოუდგეს მხარში და არა ნაპროკურორალი ავანტიურისტი ნიკა გვარამიას ფულზე დახარბებულ და უთავმოყვარეო ბანდას.**

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამაოგნებელია ციფრები, რომლებიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა თავის ვებგვერდზე (WWW.NBG.GOV.GE): 2016 წლის 20 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 15 342 239 800 აშშ დოლარი შეადგინა, თხუთმეტი მილიარდ სამასორმოცდაორი მილიონ ორასოცდაცხრამეტი ათას რვაასი დოლარი! და ეს ვალი, ეროვნული ბანკის მიერ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წელს კიდევ 550 მლნ-ით შეიძლება გაიზარდოს.**

## ხელისუფლების «ნამოღვაწარი»:

# საქართველოს საგარეო ვალი 15,3 მილიარდია, თითოეული მოქალაქის კი — 4146 დოლარი

**საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ნათლად ასახავს იმ ვითარებას, რომელიც დღეს ქვეყანაშია შექმნილი. 2012 წელს „ქართული ოცნების“ თავკაცების რიხიანი დაპირების მიუხედავად, კეთილდღეობისა და აყვავების წლები (განსაკუთრებით კარგი უნდა ყოფილიყო მეოთხე წელიწადი), სამართლიანობის აღდგენა და მსოფლიოში საუკეთესო დემოკრატია გელოდებათო, ქვეყანა უკან მიდის — გაუფასურდა ლარი, გაძვირდა საწვავი, შესაბამისად — პროდუქტები და აუცილებელი სამომხმარებლო საგნები, ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილი მიხეილ სააკაშვილი და მისი „ნაცმოძრაობა“ კი იმის ნაცვლად, რომ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებისთვის (მოქალაქეების დახვრეტა ქუჩაში, ბიზნესის წართმევა და გადაფორმება, განათლების სისტემის ნგრევა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის — კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლა, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად სამაჩაბლოსა და კოდორის ხეობის დაკარგვა და ასობით დაღუპული ქართველი ჯარისკაცი) პასუხი ეგოთ, უტიფრად უტევენ „ქართულ ოცნებას“, — გაიძახით, რომ დანაშაულები გვაქვს ჩადენილი, ამიტომ, თუ ერთი ადგილი გაქვთ, გამოიძიეთ და დაგვიჭირეთო(?!). მაგრამ ეს მართლა უნიათო „ქართული ოცნება“, რომელიც ამერიკელი პატრონების მითითების გარეშე, დამნაშავე ნაციონალების დაპატიმრებას კი არა, კრინტსაც ვერ ძრავს.**



**დღეს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი 15,3 მლრდ დოლარია, დაახლოებით 40 მილიარდი ლარი, ანუ ქვეყნის თითქმის 4 წლის ბიუჯეტი, და ეს თანხა თითოეულმა ჩვენგანმა, ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა უნდა გადაიხადონ — თითოეულმა 4146 დოლარი. ეს — ჯერჯერობით, თუ მეტ ვალს აღარ აიღებს ხელისუფლება**

სამაგიეროდ, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები, „ქამრების შემოჭერის“ ნაცვლად, პრემიებსა და სახელფასო დანამატებს არ იკლებენ, არც — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ვიზიტებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. მაგალითად, 2016 წლის აგვისტოში რიო დე ჟანეიროში გამართულ ოლიმპიმპიურ თამაშებზე პრეზიდენტ **მარგველაშვილისა** და მისი მეუღლის, აგრეთვე, მათი თანმხლები პირების 4-დღიანი ვიზიტი **173 269** ლარი დაჯდა, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის მრჩეველმა **თენგიზ ფხალაძემ** მხოლოდ სასტუმროში **15 952** ლარი დახარჯა, სულ — **27,7 ათასი** ლარი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა (იმჟამად მოადგილემ) **სოფიო ჯაჯანაშვილმა** — სულ *12,4* ათასი ლარი. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა **გიორგი აბაშიშვილმა** — სულ **16,1** ათასი ლარი და ა.შ.

გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 23,1%, ანუ **854 700** კაცი, მათ შორის, პენსიონერების 15% და ბავშვების 21,7% ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (ზოგადი სიღარიბის ზღვარია თვეში 155,1 ლარი ერთ პირზე გაანგარიშებით), უკიდურეს სიღარიბეში კი (77,6 ლარი თვეში) — მოსახლეობის 2,1%. რაც შეეხება საარსებო მინიმუმს (166,3 ლ), ამ ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 13% ცხოვრობს.

**ამ მონაცემების გათვალისწინებით, გამაოგნებელია ციფრები, რომლებიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა თავის ვებგვერდზე (www.nbg.gov.ge): 2016 წლის 20 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 15 342 239 800 აშშ დოლარი შეადგინა, თხუთმეტი მილიარდ სამასორმოცდაორი მილიონ ორასოცდაცხრამეტი ათას რვაასი დოლარი! და ეს ვალი, ეროვნული ბანკის მიერ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წელს კიდევ 550 მლნ-ით შეიძლება გაიზარდოს.**

საქართველოს ხელისუფლებამ პირველი საგარეო სესხი 1999 წელს აიღო — 2,2 მლრდ. 2003 წლის დასაწყისში საქართველოს დაუგროვდა საგარეო ვალის საკმაოდ სოლიდური თანხა — 1774,64 მლნ დოლარი. 2003-2007 წლებში საქართველოს ვალების დაფარვის საშუალება არ ჰქონდა და კრედიტორებთან აწარმოა მოლაპარაკება ვალების რესტრუქტურიზაციაზე, შედეგად, მოკლევადიანი ვალები გრძელვადიან ვალებად იქცა. ამ პერიოდიდან ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ვალების პროცენტებს იხდიდა.

იმჟამინდელი ხელისუფლება — „ნაციონალურ მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, იმის მაგივრად, რომ ვალების დასაფარავად რადიკალური ზომები მიეღო, ახალ-ახალ ვალებს იღებდა. 2007 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ახალი სესხები აიღო გერმანიისგან, იაპონიისგან, ნიდერლანდებისგან, საფრანგეთისგან, ჩინეთისა და ქუვეითისგან, აგრეთვე, მსოფლიო ბანკისა (343 მლნ დოლარი) და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდისგან.

2008 წელს კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციამ ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე საქართველოს გამოუყვეს 4,5 მლრდ-ზე მეტი კრედიტი და გრანტი. საერთო ჯამში, 2009 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 7,667 მლრდ დოლარი შეადგინა, 2012 წლის სექტემბერში კი, „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის დასასრულს — 13,169 მლრდ. **2012 წლის ბოლოდან, ანუ ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის დღიდან საქართველოს არ შეუწყვეტია ვალის აღება, პირიქით — ძველ ვალს კიდევ 2,1 მლრდ დაუმატა და ახლა ჩვენი ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი 15,342 მლრდ დოლარს შეადგენს. და თუ ამ თანხას საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე (3,7 მლნ კაცი) გავყოფთ, გამოდის, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ჩვილ ბავშვსაც და ხანდაზმულსაც — 4146 დოლარის ოდენობის ვალი აქვს, უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების.**

დიახ, სწორედ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაისტუმრონ ეს თანხა — 15,3 მლრდ დოლარი, რომელიც, კაცმა არ იცის, რისთვის დაიხარჯა. ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას არაფერი დასტყობია. სამაგიეროდ, ხელისუფლებაში სხედან მილიონერები — წინა მოწვევის პარლამენტში 10 მილიონერი დეპუტატი იყო — **დავით ბეჟაშვილი, კობა ნაყოფია, გოგი თოფაძე, გოგი ლიპარტელიანი, ვალერი გელაშვილი, კახაბერ ოქრიაშვილი, გოდერძი ბუკია, ზურაბ ტყემალაძე, გოჩა ენუქიძე, ნაული ჯანაშია, გიორგი ფეიქრიშვილი, კახა კალაძე.** ამჟამინდელ ხელისუფლებაშიც საკმარისად არიან მდიდართა ფენის წარმომადგენლები — **კობა ნაყოფია, გოჩა ენუქიძე, კახაბერ ოქრიაშვილი, კახა კალაძე, ნატო ჩხეიძე, იოსებ მაკრახიძე, შოთა შალელაშვილი...**

ხელისუფლება მილიონერებით არის გაძეძგილი, ხალხის მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, რადგან ქართველ პოლიტიკოსებს ფეხებზე ჰკიდიათ მოსახლეობის პრობლემები. სახელისუფლო სკამებზე მოსაკალათებლად რას არ ჰპირდებიან მოსახლეობას, მაგრამ, როგორც კი თბილ სავარძლებში ჩასხდებიან, ყველაფერი ავიწყდებათ.

სამი თვის წინათ, როდესაც ლარმა გაუფასურება დაიწყო, ფინანსთა მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა**, რომელსაც ხალხმა „ბლუჯა მინისტრი“ შეარქვა, მოსახლეობას მოუწოდა, დანაზოგი ლარში შეენახათ (გახსოვთ, ალბათ, მისი ნათქვამი — სიამოვნებისგან ტანში გამაჟრჟოლა, როდესაც ქალბატონმა ჯიბიდან ბლუჯა-ბლუჯა ლარი ამოიღოო), არადა, როგორც მისი 2016 წლის ქონებრივი დეკლარაციიდან ჩანს, თვითონ დანაზოგი დოლარებსა და ევროებში აქვს. „ბლუჯა მინისტრი“ მევახშეობასაც ეწევა — მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესში“ აქვს თამასუქები, რომელთა მეშვეობითაც დივიდენდებს იღებს. ფინანსთა მინისტრს არ ჩამორჩნენ საქართველოს პარლამენტის წევრები „ქართული ოცნებიდან“: **რევაზ არველაძე**, რომელსაც „რიკოში“ 190 ათასისა და 127 ათასის ნომინალის თამასუქები აქვს; **დავით სონღულაშვილი**, რომელმაც 2016 წელს 56 300 დოლარი გაასესხა და უკვე მიიღო სარგებელი — 11 899 ლარი. **ბექა ოდიშარია**, რომელმაც 2016 წლის თებერვალში გაასესხა 170 ათასი დოლარი, სარგებელი კი 22 724 დოლარი მიიღო, ხოლო 2017 წლის იანვარში ორი წლის ვადით გაასესხა 270 ათასი დოლარი. ამას გარდა, აღსანიშნავია დეპუტატატ ბექა ოდიშარიას სიყვარული (როგორც „ქართული ოცნების“ თავკაც ბიძინა ივანიშვილს) ხელოვნების ნიმუშებისადმი — მის კოლექციაში ინახება 40-ზე მეტი ფერწერული ტილო, რომელთა ფასი (თითოეულის) 1000-დან 4200 ლარამდე მერყეობს. თუმცა რა გასაკვირია დეპუტატების მევახშეობა, როცა თვითონ პოლიტიკოსებს აქვთ „ქართული ოცნების“ თავკაცის, მილიარდერი **ბიძინა ივანიშვილის** ვალი და შესაბამისად, მათზე ზემოქმედების ბერკეტები. მაგალითად, საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილს** „ბანკი ქართუდან“ 173 500 დოლარის ოდენობის ჰიპოთეკური სესხი აქვს აღებული 2030 წლამდე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ **კახა კალაძეს** 2 სესხი: ერთი — 1,7 მლნ-ის, მეორე — 110 ათასი დოლარის ოდენობით (დიმიტრი ქუმსიშვილსაც ჰქონდა იპოთეკური სესხი „ბანკი ქართუში“ და დაფარა). „ბანკი ქართუდან“ სამომხმარებლო სესხი აქვს აღებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ **გიგლა აგულაშვილს** (30 ათასი), პარლამენტარებს ქართული ოცნებიდან — **ენძელა მაჭავარიანს** — 38 ათასი, **შალვა კი-**

| მთლიანი საგარეო ვალი (ათასი აშშ დოლარი) | 31.12.2014 | 31.03.2015 | 30.06.2015 | 30.09.2015 | 31.12.2015 | 31.03.2016 | 30.06.2016 | 30.09.2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მათ შორის სახელმწიფო კომპანიების | 578 719,0 | 588 083,6 | 605 542,0 | 615 709,4 | 650 318,4 | 655 642,5 | 684 309,8 | 697 161,4 |
| სავაჭრო კრედიტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა სასესხო ვალდებულებები[1] | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პირდაპირი ინვესტიციები: | | | | | | | | |
| კომპანიათაშორისი სესხები | 3 074 085,7 | 2 818 844,5 | 2 926 061,0 | 2 996 578,6 | 3 012 885,0 | 2 355 879,0 | 2 415 090,6 | 2 415 170,4 |
| სასესხო ვალდებულებები ფილიალებთან | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვადაგადაცილებული დავალიანება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სასესხო ვალდებულებები პირდაპირ ინვესტორებთან | 3 074 085,7 | 2 818 844,5 | 2 926 061,0 | 2 996 578,6 | 3 012 885,0 | 2 355 879,0 | 2 415 090,6 | 2 415 170,4 |
| ვადაგადაცილებული დავალიანება | 526 659,3 | 520 702,3 | 553 024,5 | 568 100,4 | 607 774,6 | 156 437,0 | 162 793,3 | 163 379,1 |
| სხვა | 2 547 426,4 | 2 298 142,2 | 2 373 036,6 | 2 428 478,2 | 2 405 110,4 | 2 199 442,0 | 2 252 297,3 | 2 251 791,3 |
| მთლიანი საგარეო ვალი | 13 845 607,8 | 13 766 551,5 | 14 357 950,7 | 14 601 617,6 | 15 089 633,9 | 14 669 684,8 | 15 169 071,8 | 15 342 239,8 |

„ქართული ოცნების“ ყოველი მესამე დეპუტატი არის დეკლარირებული მილიონერი, ანუ ამ დეპუტატების უძრავ-მოძრავი ქონების ჯამური ღირებულება მილიონ ლარს აღემატება... ამ დეპუტატების 90 პროცენტი სამეწარმეო საქმიანობითაა დაკავებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ გავაკეთეთ შეფასება, რომ რეალურად ისინი, დეპუტატები კი არა, მინიოლიგარქები არიან. ეს ადამიანები სინამდვილეში არანაირ კანონშემოქმედებით საქმიანობას არ ეწევიან და მათ „პულტის დეპუტატებად“ იყენებენ.

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **კნაველიძეს** — 68,9 ათასი.

15,3 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი — ეს არის საქართველოს ხალხზე „მზრუნველი“ ხელისუფლების „ნამოღვაწარი“, რომელიც მხრებზე აწევს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს და დააწვება მომავალ თაობებსაც, რადგან ხელისუფლება კიდევ აპირებს ვალის აღებას.

რა თქმა უნდა, თუ სახელმწიფოს სჭირდება, ხელისუფლებამ ვალიც უნდა აიღოს და ინვესტიციებიც მოიზიდოს, მთავარია, ეს თანხები ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოხმარდეს, მაგრამ, **კოლოსალური ვალის მიუხედავად, ქვეყანაში ეკონომიკის გაჯანსაღების ნიშანწყალი არ შეიმჩნევა — გაუფასურდა ლარი, გაძვირდა საწვავი, პროდუქტები, არ აშენებულა არც ერთი მნიშვნელოვანი საწარმო, რომლებშიც ადამიანები დასაქმდებოდნენ. მიუხედავად მცდელობისა, არაფერი ეშველა სოფლის მეურნეობას — ხახვი, ბადრიჯანი, პომიდორი, ვაშლი და ყურძენიც (!) კი უცხოეთიდან შემოგვაქვს, — 2016 წელს იმპორტსა და ექსპორტს შორის დაახლოებით 4-მილიარდიანი უარყოფითი სალდო აღინიშნა, — საშინელ დღეშია ქართული სპორტი, კულტურა, განათლების სისტემა, ნებისმიერი სფერო, რომელიც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ახლახან კი თავდაცვის სამინისტროდან ე.წ. ოპტიმიზაციის საბაბით 2250-მდე სამხედრო დაითხოვეს და ამ ადამიანების ოჯახები ულუკმაპუროდ დატოვეს...**

საქართველოში მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხარობენ და კიდევ — სახელმწიფოსა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან. ხალხი კი... **ხალხი პოლიტიკოსებს მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როდესაც არჩევნები მოახლოვდება, მერე კი ისევ იწყება დაპირებები, საგარეო ვალის აღება, რომელიც უკვე ძალიან მძიმედ აწევს ქვეყანას და, რომელიც არა ხელისუფლებამ, არამედ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის ცრუდაპირებებით პირში ჩალაგამოვლებულმა ბანკებისა და მევახშე ორგანიზაციების ვალებში ჩაფლულმა მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს.**

დღეს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი 15,3 მლრდ დოლარია, დაახლოებით 40 მილიარდი ლარი, ანუ ქვეყნის თითქმის 4 წლის ბიუჯეტი, და ეს თანხა თითოეულმა ჩვენგანმა, ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა უნდა გადაიხადონ — თითოეულმა 4146 დოლარი. ეს — ჯერჯერობით, თუ მეტ ვალს აღარ აიღებს ხელისუფლება...

**ნიკა კორინთელი**

**P.S. კონკრეტულად, რას მოხმარდა, რისთვის დაიხარჯა ეს უზარმაზარი თანხა — 15,3 მლრდ დოლარი? — ამ კითხვით მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს. პასუხს მიღებისთანავე გამოვაქვეყნებთ.**

# საქართველოს აქტიური მოსახლეობის 97 პროცენტს სესხი აქვს აღებული

**საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი ამჟამად 15,3 მილიარდი დოლარია და ეს თანხა ჩვენი, მოქალაქეების, ჯიბიდან არის გადასახდელი, ამას თუ დავუმატებთ ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან გამოტანილ სესხებს, რომლითაც მოქალაქეების დიდი უმრავლესობა სარგებლობს, ნათლად წარმოჩნდება, რა საშინელ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია ადამიანების უმრავლესობა...**



## 2016 წელს საქართველოს მოქალაქეების მიერ აღებული სესხების რაოდენობამ 5,6 მლნ ერთეულით მოიმატა — კრედიტს, ძირითადად, მიმდინარე დეფიციტის დასაფარავად იღებენ

საქართველოს მოსახლეობა, რაც დრო გადის, მით მეტად ხდება ბანკის სესხებზე დამოკიდებული. თუ განვითარებულ ქვეყნებში კრედიტს კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად იყენებენ, საქართველოში სესხს ადამიანები ყოველთვიური ხარჯების გასასტუმრებლად იღებენ. სპეციალისტები ამ პროცესს საგანგაშოს უწოდებენ და ამბობენ, რომ სესხების რაოდენობის სწრაფი მატება ეკონომიკის დაბალი ზრდით არის განპირობებული. ამის თაობაზე იუწყება ბიზნესისა და ეკონომიკის სიახლეების საინფორმაციო პორტალი commersant.ge.

**„კრედიტ-ინფოს“** აღმასრულებელი დირექტორის — **სანდრო გომიაშვილის** ინფორმაციით, მისი ორგანიზაციის ბაზაში საკრედიტო ჩანაწერების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2016 წლის იანვარში ბაზაში 12 500 000 ჩანაწერი იყო, 2017 წლის იანვრისთვის კი ამ მაჩვენებელმა 18 156 000-მდე მოიმატა. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი წლის განმავლობაში საფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების რაოდენობა **5 656 000** ერთეულით გაიზარდა. გომიაშვილის განცხადებით, ეს რეკორდული მაჩვენებელია.

„გაცემული სესხების ასეთი მაღალი ზრდა, პრაქტიკულად, არც ერთ წელს არ ყოფილა. 2016 წლის იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა დაახლოებით 4 მილიონი ერთეული იყო, 2017 წელს კი 5 655 000-ით გაიზარდა. მართალია, 18 მილიონში ზოგი სესხი უკვე დაფარულია, მაგრამ ფაქტია, რომ ზრდა დიდია. ასეთი მატება კი ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების გააქტიურებითა და საბანკო სესხების გაცემის გამარტივებით არის განპირობებული“, — განაცხადა გომიაშვილმა.

ამჟამად „კრედიტ-ინფოს“ ბაზაში 2 365 000 ფიზიკურ პირსა და 66 000 იურიდიულ პირზე არსებობს ჩანაწერი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის საკრედიტო ვალდებულება სწორედ ამდენ ადამიანს აქვს. ბოლო აღწერით საქართველოში სულ 3 720 400 ადამიანი ცხოვრობს, შესაბამისად, გამოდის, რომ სესხით მოსახლეობის დაახლოებით 63,5% სარგებლობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 20 წლამდე ადამიანებზე სესხს, პრაქტიკულად, არც ერთი საფინანსო სტრუქტურა არ გასცემს, 70 წლის ზემოთ მყოფები კი კრედიტს აღარ იღებენ, გამოვა, რომ აქტიური მოსახლეობის 97%-ს სესხი ამძიმებს. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 20-დან 70 წლამდე 2,428 მლნ ადამიანი ცხოვრობს. ექსპერტთა აზრით, გაცემული სესხების ასეთი რეკორდული მატება განპირობებულია ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკურ-სოციალური ფონის გაუარესებით. თუმცა მატება, შესაძლოა, კომერციული სტრუქტურები მიერ სესხების რესტრუქტურიზაციითაც იყოს განპირობებული.

პრობლემა არის ის, რომ გაცემული 5,6 მილიონი სესხიდან ნახევარზე მეტი შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც მოსახლეობის მიმდინარე საჭიროებებს ემსახურება და არა მათი კეთილდღეობის ზრდას. ეს სესხები იპოთეკასა და განვადებაზე რომ იხარჯებოდეს, კარგი იქნებოდა, რადგან მოსახლეობა გაიუმჯობესებდა პირობებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ამ სესხების დიდი ნაწილი მიდის მიმდინარე ხარჯების ანაზღაურებაზე, ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, კომუნალური გადასახადის გადახდაზე და ა.შ. ეს ძალიან ცუდია. სესხს იღებენ მიმდინარე დეფიციტის დასაფინანსებლად, რომელიც გამოწვეულია ლარის გაუფასურებით და იმით, რომ ეკონომიკა ნელი ტემპით ვითარდება.

# ლევან ხაბეიშვილი: «ქართული ოცნების» ყოველი მესამე დეპუტატი დეკლარირებული მილიონერია



ლევან ხაბეიშვილი

**პარტია „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში 36 დეკლარირებული მილიონერი დეპუტატი ჰყავს. ეს ინფორმაცია მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ გაავრცელა.**

სია დეპუტატებისა, რომელთა უძრავ-მოძრავი ქონებაც მილიონ ლარს აღემატება, ასე გამოიყურება: **შოთა შალელაშვილი** (34 907 760), **იოსებ მაკრახიძე** (12 733 919), **ბექა ოდიშარია** (12 414 270), **ლევან კობიაშვილი** (9 829 530), **კობა ნარჩემაშვილი** (7 672 000), **ელგუჯა გოცირიძე** (6 057 100), **ივლიანე წულაია** (5 940 000), **კახაბერ ოქრიაშვილი** (5 940 000), **გოჩა ენუქიძე** (5 181 800), **მახირ დარზიევი** (4 771 600), **დავით ჭიჭინაძე** (4 248 800), **თამაზ ნავერიანი** (3 982 500), **პაატა კვიჟინაძე** (3 696 300), **რევაზ არველაძე** (3 560 916), **გრიგოლ მიქელაძე** (3 175 940), **გოდერძი ჩანქსელიანი** (2 835 000), **ზაქარია ქუცნაშვილი** (2 762 100), **ლერი ხაბელოვი** (2 543 750), **ირაკლი კოვზანაძე** (2 491 190), **სიმონ ნოზაძე** (2 443 500), **ვიქტორ ჯაფარიძე** (2 296 700), **ირაკლი ხახუბია** (2 183 100), **ისკო დასენი** (2 150 060), **ნინო წილოსანი** (2 074 207), **კობა კობალაძე** (1 949 400), **დავით სონღულაშვილი** (1 922 400), **მერაბ ქვარაია** (1 903 716), **გიორგი კახიანი** (1 855 116), **ლევან კობერიძე** (1 709 900), **გელა სამხარაული** (1 550 680), **ირაკლი აბუსერიძე** (1 400 000), **ოთარ დანელია** (1 359 450), **ზაზა ხუციშვილი** (1 325 160), **სამველ მანუკიანი** (1 270 50), **აკაკი ზოიძე** (1 100 203) და **გიორგი ბეგაძე** (1 024 920).

კონკრეტულად რა შემოსავლები აქვთ ჩამოთვლილ დეპუტატებს, რა ბიზნესს ფლობენ ისინი და როგორ აისახა მათ ქონებრივ დეკლარაციაზე სამსახურებრივი მდგომარეობა?

„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელს — **ლევან ხაბეიშვილს** დაუკავშირდა.

**ლევან ხაბეიშვილი:**

— კვლევა 2016 წლის დეკემბერში დაიწყო და ორ თვენახევარს გაგრძელდა. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო იყო. ყველას არ ჰქონდა ქონებრივი დეკლარაცია შევსებული და ამან ცოტა გაგვირთულა საქმე.

რაც შეეხება უშუალოდ ციფრებს, კვლევამ, რომელიც ჩატარდა საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, აჩვენა, რომ „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ჰყავს 36 მილიონერი დეპუტატი, ანუ **„ქართული ოცნების“ ყოველი მესამე დეპუტატი არის დეკლარირებული მილიონერი, ამ დეპუტატების უძრავ-მოძრავი ქონების ჯამური ღირებულება მილიონ ლარს აღემატება...**

**— შემოსავლის რა წყაროებს ფლობენ ეს დეპუტატები, თუ არის ცნობილი?**

— **ამ დეპუტატების 90 პროცენტი სამეწარმეო საქმიანობითაა დაკავებული. აქედან გამომდინარე, გავაკეთეთ შეფასება, რომ რეალურად ისინი, დეპუტატები კი არა, მინიოლიგარქები არიან.** ეს ადამიანები სინამდვილეში არანაირ კანონშემოქმედებით საქმიანობას არ ეწევიან და მათ „პულტის დეპუტატებად“ იყენებენ. მაგალითად ავიღოთ **შალელაშვილი, ოდიშარია, წულაია, ოქრიაშვილი...** ეს იმ დეპუტატების გვარებია, რომლებიც, ფაქტობრივად, ჩრდილში დგანან და ფართო საზოგადოებისთვის უცნობი არიან. ეს ადამიანები რამე სახის პოლიტიკურ აქტივობას არ ეწევიან, ჩუმად, წყნარად სხედან პარლამენტში და მხოლოდ თავიანთ ბიზნესზე ფიქრობენ.

**— გინდათ თქვათ, რომ ისინი დეპუტატის მანდატს ბიზნესსაქმიანობისთვის იყენებენ?**

— ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩნდება მარტივი შეკითხვა: რატომ არ არის პარლამენტი ადეკვატური იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც რეალურად არსებობს ქვეყანაში? საკვები პროდუქტები ძვირდება, საწვავის ფასი იმატებს, ეროვნული ვალუტა უფასურდება და რატომ არ იღებენ სათანადო ზომებს? ამ ყველაფერს ძალიან მარტივი ახსნა აქვს: დღევანდელ პარლამენტში სხედან მილიონერები, რომლებსაც ყველაფერი აქვთ და ამ ადამიანებს არ ადარდებთ ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური ფონი. **ათი თეთრით გაძვირდება პური თუ თხუთმეტით, შოთა შალელაშვილისთვის, მაგალითად, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ არის, რომ ნებისმიერ არაადეკვატურ გადაწყვეტილებას, რომელსაც „ქართული ოცნება“ იღებს, მისი ყველა დეპუტატი ერთხმად უჭერს მხარს.**

რაც შეეხება კონკრეტულ სარგებელს, მაგალითად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ტარიელ ხეჩიკაშვილის** ორმა კომპანიამ, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, 7 მილიონი ლარი მიიღო ტენდერის გზით. აი, ასეთი პრობლემები და დამოკიდებულებები გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ესა თუ ის დეპუტატი ბოროტად იყენებს თანამდებობრივ მდგომარეობას ან მონურად ემორჩილება ოლიგარქ **ივანიშვილს**. ასე რომ, ჩვენ ამას არ ვლაპარაკობთ უმიზეზოდ და უარგუმენტოდ, ამის კონკრეტული ფაქტები არსებობს. ეს არის ციფრები და კონკრეტული მონაცემები, რომლებიც საჯაროა და ყველას შეუძლია ნახვა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლევინმა განაცხადა: — ერთხელ იაგოდამ პირდაპირ გვითხრა: „აუცილებელია მაქსიმ პეშკოვის მოკვლა. საქმე ის არის, რომ გორკის ძალიან უყვარს თავისი შვილი, მისი სიკვდილი მძიმე დარტყმა იქნება მამისათვის, იგი მას უწყინარ მოხუცად აქცევს... თქვენ უნდა მოკლათ მაქსი“. ჩვენი ერთობლივი, მავნებლური მოქმედების შედეგად 1934 წლის 10 მაისს გარდაიცვალა მენჟინსკი, ხოლო მეორე დღეს — მაქსიმ პეშკოვი. მომდევნო მსხვერპლად იაგოდამ კუიბიშევი დაასახელა“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-6 (377-382)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

**მკითხველს მინდა განვუმარტო, რომ 1936-37 წლების გახმაურებული მოვლენებისადმი მიძღვნილ წინა წერილებში მოყვანილი ძირითადი დებულებები და ფაქტობრივი მასალები ამოღებულია რუდოლფ ბალანდინისა და სერგეი მირონოვის საარქივო მასალებზე შექმნილი წიგნიდან „გორგალი“ სტალინის გარშემო“, ამერიკელი მკვლევარის — გროვერ ფერის წიგნიდან „ანტისტალინური სისაძაგლე“, სერგეი კრემლიოვის „დიადი სტალინიდან“, იური ჟუკოვის, ვადიმ კოჟინოვის, იური მუხინის საარქივო კვლევებიდან სათაურით „37 წლის გამოცანა“, გივი ბერძენიშვილის „სტალინიდან“ და სხვა წყაროებიდან, რომლებსაც ემატება ჩემი მასალები, ამოღებული სტალინის პირადი არქივიდან, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული უახლოესი ისტორიის არქივიდან.**
**ჩემ მიერ აწ უკვე გამოქვეყნებული წერილების გარდა, აღნიშნულ თემაზე მოგაწვდით სხვა მასალებსაც, რომლებიც მომავალ საგაზეთო ნომრებში გაგრძელდება.**

**რიკოვმა** სასამართლოს უთხრა, რომ 1932 წელს **ბუხარინმა** მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ესერებთან, კერძოდ, **სემიონოვთან** და მასთან ერთად დაგეგმა სტალინზე თავდასხმა ლიკვიდაციის მიზნით. ამასთანავე, ისიც განუცხადა, რომ **სტალინსა** და **კაგანოვიჩზე** თავდასხმას ამზადებდნენ ესერთა სხვა ჯგუფებიც.

**რიკოვმა** სასამართლოს განუცხადა:

— ენუქიძის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, 1933 წელს ვაპირებდით „სასახლის გადატრიალების მოწყობას“, ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იაგოდას და სამხედროების ჯგუფს **ტუხაჩევსკის** ხელმძღვანელობით, მასში შედიოდნენ: **უბორევიჩი, ეგოროვი** და **კორკი.** ამ გადატრიალების მოსაწყობად შეიქმნა ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ: **კამენევი, პიატაკოვი, ენუქიძე, ბუხარინი, ტროცკი** და **მე.** არსებული ვითარების გაანალიზებამ ქვეყნის განვითარების მზარდმა პოტენციალმა და სტალინის უდიდესმა პოპულარობამ ქვეყანაში ხელი აგვაღებინა ამ გადაწყვეტილებაზე.

**ვიშინსკი** (რიკოვს): — თვლით თუ არა ბუხარინს მოღალატედ?

**რიკოვი:** — ვთვლი, ისევე, როგორც საკუთარ თავს.

**ვიშინსკი** (კრესტინსკის): — გვითხარით, რა იცით ტუხაჩევსკის ჯგუფის მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკში მონაწილეობაზე?

**კრესტინსკი:** — 1933 წელს საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქ შეხვედრისას ტროცკიმ მითხრა, რომ სახელმწიფო გადატრიალებისას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ ჩვენს ძალებს — ტროცკისტებს, რადგან ეს ძალები არ არის საკმარისი. ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა მოველაპარაკოთ „მემარჯვენეებს“ და სამხედროებს. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ტუხაჩევსკის, ადამიანს, რომელიც, მისი თქმით, ავანტიურისტულად მიილტვის პირველობისკენ, არა მხოლოდ სამხედრო ხაზით... ტროცკიმ მთხოვა, მისი აზრი გადამეცა პიატაკოვისათვის, ხოლო ტუხაჩევსკის პირადად გავსაუბრებოდი. ტუხაჩევსკის ვესაუბრე 1934 წლის დასაწყისში, მანამდე ის უკვე ელაპარაკა პიატაკოვს. ტუხაჩევსკის გადავეცი ტროცკისთან ჩემი საუბრის შინაარსი. მან მითხრა, რომ მხარს უჭერს, როგორც ძალების გაერთიანებას, ასევე, მის წინაშე დასმულ ამოცანასაც, მაგრამ საკითხი მოითხოვს განხილვას, შესაძლებლობების გარკვევას, შემდეგ იგი პიატაკოვს დაელაპარაკება ამ თამაზე. მათი მოლაპარაკების შესახებ პიატაკოვისგან შევიტყვე 1935 წლის თებერვალში. ამის შემდეგ რამდენჯერმე ვესაუბრე ტუხაჩევსკის ამ თემაზე. ერთ-ერთი საუბრისას მან დამისახელა რამდენიმე პირი, რომლებსაც იგი ეყრდნობოდა — **იაკირი, უბორევიჩი, კორკი, ეიდემანი.**

ჩვენი შემდეგი საუბარი გაიმართა საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე. ტუხაჩევსკიმ ჩემ წინაშე დააყენა საკითხი გადატრიალების დაჩქარების შესახებ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ გადატრიალების გეგმას ვუკავშირებდით გერმანიის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, ის კი ჭიანურდებოდა. ამასთანავე, **დაიწყო კონტრევოლუციური ძალების თანდათანობით განადგურება. დააპატიმრეს პიატაკოვი, რადეკი, დაიწყო სხვა ტროცკისტების დაპატიმრებაც და ტუხაჩევსკი შეშინდა — შეთქმულებას ჩავარდნა დაემუქრა.** ამიტომაც მოითხოვა კონტრევოლუციური გამოსვლის დაჩქარება. ჩვენ ეს საკითხი განვიხილეთ **გამარნიკსა** და **რუძუტაკთან** ერთად და დავასკვენით, რომ ტუხაჩევსკი მართალია. ამის შემდეგ მე ბესონოვის საშუალებით წერილობით დავუკავშირდი ტროცკის, რომლისგანაც მივიღეთ დადებითი პასუხი.

**ვიშინსკი:** — განსასჯელო როზენგოლც, ამ ნაწილში თქვენ მხარს უჭერთ კრესტინსკის ჩვენებას?

**როზენგოლცი:** — დიახ, მხარს ვუჭერ.

ბუხარინის დაკითხვა ყველაზე ხანგრძლივი იყო. ამან სასამართლო კოლეგიის ოთხი სხდომა დაიკავა. ბოლოს ვიშინსკის შეკითხვას — ადასტურებს თუ არა სასამართლოზე მის მიერ წინასწარ ძიებაში მიცემულ ჩვენებებს, **ბუხარინმა** უპასუხა:

— ძიებაში მიცემულ ჩვენებებს მთლიანად ვადასტურებ. მე ვიყავი ანტისახელმწიფოებრივი ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი. ამ ბლოკის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და რუსეთში კაპიტალიზმის რესტავრაცია. ხელისუფლების დამხობას ჩვენ ვვარაუდობდით უცხო სახელმწიფოების სამხედრო დახმარების საშუალებით, რის საფასურადაც გერმანიის, იაპონიისა და, ნაწილობრივ, ინგლისის სასარგებლოდ ვთმობდით უკრაინას, ბელორუსიას, რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს.

ბუხარინმა თქვა, რომ მისი კონტრევოლუციური საქმიანობა სათავეს 1920 წლიდან იღებდა. თავდაპირველად დაუახლოვდა **ტომსკის, რიკოვსა** და **უგლანოვს.** განზე იდგა **იაგოდა**, თუმცა მათთან ურთიერთობას ინარჩუნებდა.

„საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობაზე ფიქრი 1932 წლიდან დავიწყეთ. თათბირზე, რომელსაც ვესწრებოდით რიკოვი, ტომსკი, უგლანოვი და მე, შევიმუშავეთ მოქმედების პლატფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ტერორის გზით „სასახლის გადატრიალების“ განხორციელებას. ეს იდეა მოდიოდა ენუქიძისგან, რომელიც იმხანად კრემლის დაცვას ხელმძღვანელობდა. მას მხარს უჭერდნენ პიატაკოვი, ტომსკი, რიკოვი, ზინოვიევი, კამენევი. ამავე პერიოდს განეკუთვნება წითელ არმიაში ჩამოყალიბება შეთქმულთა ჯგუფისა, რომლის სათავეში იყვნენ **ტუხაჩევსკი, პრიმაკოვი** და **პუტნა“.**

შეკითხვას სვამს ბრალდება:

**ვიშინსკი:** — თქვენს ბლოკს ჰქონდა თუ არა მითითება, ტერორის გზით დაეხოცა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები?

**ბუხარინი:** — ჰქონდა და, ვფიქრობ, ეს თარიღდება 1932 წლის შემოდგომით.

**ვიშინსკი:** — როგორია თქვენი დამოკიდებულება კიროვის მკვლელობასთან? ეს დანაშაული მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის მითითებით განხორციელდა?

**ბუხარინი:** — ეს ჩემთვის უცნობია.

**ვიშინსკი** (რიკოვს): — რა იცით კიროვის მკვლელობის შესახებ?

**რიკოვი:** — ჩემთვის უცნობია, მონაწილეობდნენ თუ არა ამ მკვლელობაში მემარჯვენეები.

**ვიშინსკი:** — მე გეკითხებით, დაკავშირებული იყო თუ არა „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკი“ კიროვის მკვლელობასთან?

**რიკოვი:** — დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ კიროვი „მემარჯვენეთა“ ჩაურევლად მოკლეს ტროცკისტებმა.

**ვიშინსკი:** — თქვენ ურთიერთობა გქონდათ ენუქიძესთან?

**რიკოვი:** — 1933 წლიდან.

**ვიშინსკი:** — ის ამ ბლოკში რომელ ფრთას განეკუთვნებოდა — ტროცკისტულს თუ მემარჯვენეს?

**რიკოვი:** — ალბათ, მემარჯვენეს.

**ვიშინსკი:** — განსასჯელო იაგოდა, ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ ენუქიძე ბლოკის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა და რომ მას უშუალო შეხება ჰქონდა კიროვის მკვლელობის ორგანიზებასთან?

**იაგოდა:** — რიკოვი და ბუხარინი ცრუობენ. რიკოვი და ენუქიძე მონაწილეობდნენ ბლოკის იმ სხდომაში, რომელზეც კიროვის მკვლელობის საკითხი იხილებოდა.

**ვიშინსკი:** — იყვნენ თუ არა გარეული ამ საქმეში მემარჯვენეები?

**იაგოდა:** — რა თქმა უნდა, ბლოკი ხომ „მემარჯვენე-ტროცკისტულია“.

**ვიშინსკი:** — ჰქონდათ თუ არა ამ მკვლელობასთან შეხება რიკოვსა და ბუხარინს?

**იაგოდა:** — პირდაპირი.

**ვიშინსკი:** — მართალს ამბობენ ახლა ბუხარინი და რიკოვი, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ?

**იაგოდა:** — ეს შეუძლებელია... ბლოკის სხდომაზე ეს საკითხი მათი მონაწილეობით გადაწყდა.

**ვიშინსკი:** — თქვენ ამის შემდეგ გაატარეთ რამე ღონისძიება, რომ კიროვის მკვლელობა განხორციელებულიყო?

**იაგოდა:** — მე მივეცი განკარგულება **ზაპოროჟეცს**, ლენინგრადში... როცა დააკავეს ნიკოლაევი... მას პორტფელში რევოლვერი და დღიური ჰქონდა... და მან იგი გაათავისუფლა.

**ვიშინსკი:** — და თქვენ ეს მოიწონეთ?

**იაგოდა:** — მე ეს ცნობად მივიღე.

**ვიშინსკი:** — შემდეგ კი მიეცით მითითება, დაბრკოლება არ შეექმნათ კიროვის მკვლელობისათვის.

**იაგოდა:** — დიახ, მივეცი. ვადასტურებ.

შემდეგ ბუხარინს ჰკითხეს, რა დამოკიდებულება ჰქონდა მას ტერორიზმთან. ბუხარინმა უპასუხა: — მიუხედავად იმისა, რომ ტროცკი ამას დაჟინებით მოითხოვდა, მე წინააღმდეგი ვიყავი.

მაშინ ვიშინსკიმ ჯიქურ დაუსვა კითხვა: — იყავით თუ არა თქვენ ტერორისტული აქტების მოწყობის მომხრე?

— ვიყავი, დაახლოებით 1931 წლიდან, — უპასუხა ბუხარინმა.

**ვიშინსკი:** — 1918 წელს თქვენ არ ყოფილხართ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მკვლელობის მომხრე?

**ბუხარინი:** — არა.

**ვიშინსკი:** — **ლენინის** დაპატიმრების მომხრე ხომ იყავით?

**ბუხარინი:** — იყო ორი ასეთი შემთხვევა, რომელთაგან პირველის შესახებ თვითონ ლენინს ვუთხარი; მეორეზე, კონსპირაციის თვალსაზრისით, დუმილი ვარჩიე.

**ვიშინსკი:** — ვლადიმერ ილიჩის მკვლელობის განზრახვაზე ლაპარაკობთ?

**ბუხარინი:** — 24 საათიით დაკავებაზე იყო ლაპარაკი.

**ვიშინსკი:** — და თუ ვლადიმერ ილიჩი არ დანებდებოდა?

**ბუხარინი:** — მაგრამ, ვლადიმერ ილიჩი, როგორც ცნობილია, არ ებმებოდა შეიარაღებულ ბრძოლაში.

**ვიშინსკი:** — იმედოვნებდით, რომ ლენინი დაპატიმრების მცდელობი- ▶



სტალინი, რიკოვი, კამენევი და ზინოვიევი



მაქსიმ გორკი და იაგოდა

# ბრალდებულმა იაგოდამ სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ კიროვის მკვლელობა მოაწყვეს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ გადაწყვეტილებით. მანვე აღიარა, რომ ბუხარინი, რიკოვი და ენუქიძე მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში. ამ ბლოკის დავალებით დახოცეს მაქსიმ გორკი, მისი შვილი მაქსიმ პეშკოვი, მენჟინსკი.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სას წინააღმდეგობას არ გაგიწევდათ?

**ბუხარინი:** — სამაგალითოდ **ძერჟინსკი** გამოდგება. დაპატიმრებისას მას ესერებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობა არ გაუწევია.

**ვიშინსკი:** — ამხანაგი სტალინის დაპატიმრება 1918-ში არ გიცდიათ?

**ბუხარინი:** — იყო გეგმა ლენინის, სტალინის, სვერდლოვის დაპატიმრებისა.

**ვიშინსკი:** — სამივესი?

**ბუხარინი:** — ნამდვილად.

**ვიშინსკი:** — რაც შეეხება ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის მკვლელობას?..

**ბუხარინი:** — ამას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებდით.

**ვიშინსკი:** — მე შუამდგომლობა შემაქვს სასამართლო კოლეგიაში, გამოიძახონ დღევანდელ სასამართლო სხდომაზე განსახილველი საქმის მოწმეები — „მემარცხენე კომუნისტების“ ჯგუფის აქტიური მონაწილენი: **იაკოვლევა, ოსინსკი, მანცევი, კარელინი, კამკოვი.**

სასამართლომ დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალდების შუამდგომლობა.

ჩვენების მიცემა პირველმა იაკოვლევამ დაიწყო. მან თქვა, რომ 1918 წელს „მემარცხენე კომუნისტებს“ იდეურად ხელმძღვანელობდა ბუხარინი. ის და მისი ჯგუფი ბრესტის ზავის წინააღმდეგი იყო. ერთ-ერთ სხდომაზე, 1918 წლის თებერვალში, ბიუროს წევრმა **სტუკოვმა** ბუხარინის დავალებით შემოიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, ისინი ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის არათუ დაპატიმრებას, მათ ფიზიკურად განადგურებასაც არ მოერიდებოდნენ.**

**ვიშინსკი** (ბუხარინს): — კარელინთან და კამკოვთან გქონდათ საუბარი ლენინის დაპატიმრების შესახებ?

**ბუხარინი:** — ვადასტურებ, მქონდა... და იმ სამეულის შესახებაც, რომლებზეც იაკოვლევამ ისაუბრა.

**ვიშინსკი:** — როგორ უნდა დაგეპატიმრებინათ, რის გამო?

**ბუხარინი:** — ახალი მთავრობის შექმნის მიზნით.

**ვიშინსკი:** — ვინ იყო ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის დაპატიმრების ინიციატორი?

**ბუხარინი:** — ინიციატორი იყო ტროცკი.

**ვიშინსკი:** — თქვენ დაეთანხმეთ, მხარი დაუჭირეთ?

**ბუხარინი:** — დიახ. მხარი აქტიურად დავუჭირე.

იაკოვლევას ჩვენება დაადასტურეს მანცევმა, ოსინსკიმ და კამკოვმა. მანცევმა დასძინა, რომ გადაწყვეტილი იყო პარტიის ბელადების ფიზიკური განადგურება.

**ვიშინსკი:** — წინასწარი გამოძიებისას თქვით, რომ 20 წლის განმავლობაში საბჭოთა


პროკურორი ვიშინსკი


რიკოვი


ბუხარინი

ხალხისგან დამალული იყო ის, რომ ბუხარინისგან დავალებული გქონდათ ლენინის მკვლელობა. ადასტურებთ ამას?

**კარელინი:** — ვადასტურებ.

სასამართლო გადავიდა მკვლელი ექიმების დაკითხვაზე, რომლებმაც განზრახ, არასწორი მკურნალობის შედეგად, სიცოცხლეს გამოასალმეს **მაქსიმ გორკი**, მისი შვილი — **მაქსიმ პეშკოვი, კუიბიშევი, მენჟინსკი.**

ექიმმა ლევინმა განაცხადა, იაგოდა მეუბნებოდა, მაქსიმ გორკის შვილი მაქსიმ პეშკოვი უვარგისი ადამიანია, იგი ცუდ ზეგავლენას ახდენს მასაზე და მისი მოცილებაა საჭიროო.

**ვიშინსკი:** — ანუ?

**ლევინი:** — უნდა მომეხერხებინა და მომეკლა.

**ვიშინსკი:** — უნდა მოგეკლათ?

**ლევინი:** — რა თქმა უნდა.

**ვიშინსკი:** — მაშასადამე, იაგოდამ თქვენ დაგავალათ ეს საქმე?

**ლევინი:** — მან მითხრა, თქვენ ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენც და თქვენს ოჯახსაც დაღუპვა გელითო. და მეც ჩავთვალე, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა დავმორჩილებოდი.

**ვიშინსკი:** — პროტესტის გამოთქმა არ გიცდიათ ან ვინმესთვის გამხელა?

**ლევინი:** — არა. იაგოდასთან ჭიდილი შეუძლებელი იყო. მოგვიანებით, ეს უკვე 1933-ში, შემეკითხა მენჟინსკის ჯანმრთელობის შესახებ და, როცა ვუთხარი, რომ იგი მძიმე ავადმყოფია, მითხრა, რა საჭიროა გაჭიანურება, დავაჩქაროთ, ის მაინც განწირულიაო.

**ვიშინსკი:** — თქვენ არ უთხარით იაგოდას, რომ მენჟინსკი კიდევ იცოცხლებდა?

**ლევინი:** — რა თქმა უნდა, ვუთხარი.

**ვიშინსკი:** — რა გიპასუხათ?

**ლევინი:** — მითხრა: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ იგი ცოცხალი ლეშია“.

**ვიშინსკი:** — გითხრათ იაგოდამ, რომ მენჟინსკის მოკვლა აუცილებელია?

**ლევინი:** — მითხრა.

**ვიშინსკი:** — და თქვენ უთხარით, რომ საჭირო იყო, ამ საქმეში ჩაერთოთ...

**ლევინი:** — ექიმი **კაზაკოვი.**

**ვიშინსკი:** — თქვენ მოიწვიეთ კაზაკოვი მენჟინსკის სამკურნალოდ? თუ მოსაკლავად?

**ლევინი:** — მოსაკლავად.

**ვიშინსკი:** — ბრალდებულო კაზაკოვ, ადასტურებთ ლევინის ჩვენებას?

**კაზაკოვი:** — ძირითადად, ვადასტურებ.

**ლევინმა** განაცხადა: — ერთხელ იაგოდამ პირდაპირ გვითხრა: **„აუცილებელია მაქსიმ პეშკოვის მოკვლა. საქმე ის არის, რომ გორკის ძალიან უყვარს თავისი შვილი, მისი სიკვდილი მძიმე დარტყმა იქნება მამისთვის, იგი მას უწყინარ მოხუცად აქცევს... თქვენ უნდა მოკლათ მაქსი“. ჩვენი ერთობლივი, მავნებლური მოქმედების შედეგად 1934 წლის 10 მაისს გარდაიცვალა მენჟინსკი, ხოლო მეორე დღეს — მაქსიმ პეშკოვი. მომდევნო მსხვერპლად იაგოდამ კუიბიშევი დაასახელა“.**

**ვიშინსკი:** — განსასჯელო იაგოდა, ადასტურებთ ლევინის ჩვენებებს?

**იაგოდა:** — დიახ, ვადასტურებ.

**ვიშინსკი:** — ასეთ დავალებებს აძლევდით?

**იაგოდა:** — კი, ვაძლევდი.

ექიმმა ლევინმა ილაპარაკა იმაზეც, როგორ გამოასალმეს სიცოცხლეს კუიბიშევი და გორკი: „ეს იყო უაღრესად არასწორი, მავნებლური „მკურნალობის“ შედეგი“, — დაასკვნა მან.

**ვიშინსკი:** — რა როლი ითამაშეს რიკოვმა და ბუხარინმა გორკის მოკვდინებაში?

**იაგოდა:** — ენუქიძისგან ვიცოდი, რომ ისინი მონაწილეობდნენ აღნიშნული საკითხის განხილვაში.

**ვიშინსკი** (ბუხარინს): — თქვენთვის ცნობილი იყო, რომ გორკის მიმართ მტრულად იყო განწყობილი არა მხოლოდ ტროცკი, არამედ მისი მიმდევრებიც?

**ბუხარინი:** — 1935 წელს ტომსკიმ მითხრა, რომ ტროცკი გორკის წინააღმდეგ მტრულ აქციას ამზადებდა.

**ვიშინსკი:** — მაშასადამე, თქვენ იცოდით, რომ გორკის მიმართ მზადდებოდა მტრული აქცია?

**ბუხარინი:** — ვიცოდი.

შემდეგ ჩვენება მისცა **კრიუჩკოვმა**, რომელმაც განაცხადა, რომ მაქსიმ გორკისა და მისი შვილის, მაქსიმ პეშკოვის, სიკვდილი მის სინდისზეა, და რომ ეს მან ჩაიდინა იაგოდას დავალებით და მისი მუქარის საპასუხოდ.

სამედიცინო ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაღუპულთა გარდაცვალების მიზეზი ექიმების მხრიდან დანაშაულებრივი, არასწორი მეთოდებით მკურნალობის შედეგი იყო.

ვიშინსკიმ თავის საბოლოო საბრალდებო სიტყვაში აღნიშნა, რომ პროცესმა ბოლომდე გამოააშკარავა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმიანობის ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი; დაასაბუთა, რომ ამ ბლოკში იყო ფაშისტური დაზვერვის აგენტი და ბლოკის წევრები მოქმედებდნენ მისი დავალებით.

**ბუხარინები და რიკოვები, იაგოდები და ბულანოვები, კრესტინსკები და როზენგოლცები... ეს იგივე „მეხუთე კოლონაა“, ეს ერთ-ერთი რაზმი იყო საერთაშორისო არენაზე მოქმედი პროვოკატორებისა და ომის გამჩაღებლებისა.**

**ბრალდებულმა იაგოდამ სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ კიროვის მკვლელობა მოაწყვეს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ გადაწყვეტილებით. მანვე აღიარა, რომ ბუხარინი, რიკოვი და ენუქიძე მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში. ამ ბლოკის დავალებით დახოცეს მაქსიმ გორკი, მისი შვილი მაქსიმ პეშკოვი, მენჟინსკი და კუიბიშევი.** საბოლოო სიტყვას განსასჯელები წარმოთქვამდნენ იმავე მიმდევრობით, როგორითაც ჩვენებებს იძლეოდნენ. ყველა მათგანმა აღიარა დანაშაული, მათმა უმრავლესობამ დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით ითხოვა პატიება და სიცოცხლის შენარჩუნება.

**რიკოვმა** საბოლოო სიტყვაში თქვა: **„მე ვუღალატე სამშობლოს, რაც გამოიხატა ჩემს ურთიერთობაში საბჭოეთის მოსისხლე მტრებთან, რომლებთანაც ვგეგმავდით საკუთარი ქვეყნის დამარცხებას მომავალ ომში. ჩვენ ვამზადებდით სახელმწიფო გადატრიალებას, კულაკთა აჯანყებას, ვიყენებდით ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებს... ჩემი ბოლო სიტყვა მინდა გამოვიყენო იმისათვის, რომ გავლენა ვიქონიო ჩემს ყოფილ მომხრეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დაპატიმრებულნი და განიარაღებულნი... მინდა, მათ იცოდნენ, რომ ყველანი, ვინც კი შემორჩა ჩემს მეხსიერებას, გავეცი და გამოვააშკარავე. მე მსურს, რომ ყველამ, ვინც ჯერ კიდევ არ არის დაპატიმრებული და გამოაშკარავებული, სასწრაფოდ და ღიად გააკეთონ ეს... შეიგნონ, რომ განიარაღება იძლევა რაღაცნაირ შემსუბუქებას, გათავისუფლებას იმ საზარელი სიმძიმისაგან, რომელიც ამ პროცესმა გამოააშკარავა. განიარაღებაშია მათი ერთადერთი შველა“.**

**ბუხარინმა** განაცხადა:

— მე თავს ვცნობ დამნაშავედ სოციალისტური სამშობლოს ღალატში, კულაკთა აჯანყებების ორგანიზებაში, ტერორისტული აქტების მომზადებაში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში... **მე კონტრრევოლუციური საქმის ხელმძღვანელი ვიყავი და არა მეისრე. აქედან გამომდინარე, ბევრი კონკრეტული საქმე შეიძლება არ მცოდნოდა, და სინამდვილეშიც არ ვიცოდი, მაგრამ ეს პასუხისმგებლობისგან არ მათავისუფლებს. მე ვაღიარებ ჩემს დანაშაულს საბჭოთა კავშირის დანაწევრების ავაზაკურ მცდელობაში, რადგან ტროცკი მოლაპარაკებას აწარმოებდა ტერიტორიულ დათმობებზე, მე და ის კი ერთ ბლოკში ვიყავით.**

ხშირად მონანიებას ხსნიან სხვადასხვა სრულიად უაზრო რაღაცებით, თუნდაც ტიბეტური ფხვნილებით და ა.შ. მე ჩემს შესახებ ვიტყვი, რომ ციხეში, სადაც ვიჯექი, თითქმის ერთ წელს ვმუშაობდი, ვმეცადინეობდი, შევინარჩუნე აზროვნება. ეს კი არის ფაქტობრივი უარყოფა ყველა არარსებული და უაზრო კონტრრევოლუციური თქმულებისა, რომლებსაც ამ საკითხზე ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება ავრცელებს. საუბრობენ ჰიპნოზზე, მაგრამ მე ხომ პროცესზე ჩემი თავის იურიდიული დაცვაც მიმყავდა, ე.ი. ვაზროვნებდი; ვებმებოდი პოლემიკაში. მოსამართლეებთან, პროკურორებთან, მოწმეებთან, განსასჯელებთან. Aაქედან გამომდინარე, გამოუცდელი მედიცინის მუშაკისათვისაც კი ნათელია, რომ აქ ჰიპნოზი გამორიცხულია.

ახლა ვისაუბრებ ჩემ შესახებ, მონანიების მიზეზებზე, სამი თვის განმავლობაში უარზე ვიყავი, არ ვტყდებოდი. შემდეგ დავიწყე ჩვენების მიცემა. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ციხეში ჩემი წარსული გადავაფასე... ახლა ჩვენ უკვე განადგურებული ვართ. სინანული გამოვთქვით ჩვენს საზიზღარ დანაშაულზე... და უნდა იყო ტროცკი, რომ არ განიარაღდე. ტროცკი მოძრაობის მთავარი ძრავა იყო, ყველა სასტიკი მითითება — ტერორი, დაზვერვა, ქვეყნის დანაწევრება, მავნებლობა — მისგან მომდინარეობდა.

შემიძლია ვივარაუდო, რომ ტროცკი და სხვა ჩემი მოკავშირეები, აგრეთვე, IV ინტერნაციონალი, შეეცდებიან ჩვენს დაცვას, კერძოდ, ჩემს დაცვას. მე ამ დაცვას უარვყოფ, რადგან მუხლმოდრეკილი ვდგავარ ქვეყნის, პარტიის, მთელი ხალხის წინაშე. ჩემი საზარელი დანაშაული უსაზღვროა. ამ შეგნებით ველოდები განაჩენს, აქ საქმე მონანიებული მტრის გრძნობებთან კი არ გვაქვს, არამედ აყვავებულ სსრ კავშირთან, მის საერთაშორისო მნიშვნელობასთან“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ბუხარინი: — მე ვიყავი ანტისახელმწიფოებრივი ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი. ამ ბლოკის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და რუსეთში კაპიტალიზმის რესტავრაცია. ხელისუფლების დამხობას ჩვენ ვვარაუდობდით უცხო სახელმწიფოების სამხედრო დახმარების საშუალებით, რის საფასურადაც გერმანიის, იაპონიისა და, ნაწილობრივ, ინგლისის სასარგებლოდ ვთმობდით უკრაინას, ბელორუსიას, რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2014 წლის მაისში აღმოსავლეთ უკრაინაში ჩატარებული რეფერენდუმის კომენტირებისას ფსაკიმ განაცხადა, რომ აშშ არ ცნობს ამ რეფერენდუმის შედეგებს, რადგან ის ჩატარდა „სერიოზული დარღვევებით“. დარღვევებს შორის ფსაკიმ დაასახელა „კარუსელები“. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა არის „კარუსელი“, შეცბუნებულმა ფსაკიმ თქვა: „არ ვიცი, ასე წერია ფურცელზე“.

# ფსაკიმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო




**ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი დიდი ინტელექტით რომ არ გამოირჩევა, არახალი ამბავია. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი და ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი 2005 წელს მსოფლიოს ყველაზე გონებაჩლუნგი ადამიანის კონკურსში იყვნენ ნომინირებულნი და პრემიებიც დაიმსახურეს ბრიყვული გამონათქვამებისთვის, ჯორჯ ბუში-უმცროსმა კი ამ კონკურსის გამარჯვებულის ტიტულიც დაიმსახურა. ცოტა ხნის წინათ კი აშშ-ის კონგრესის წევრმა მაქსინ უოტერსმა სამარცხვინო არაინფორმირებულობა გამოავლინა და რუსეთი ჯერ კორეაზე „შეტევაში“ დაადანაშაულა, შემდეგ კი რუს პრანკერებთან საუბარში რუსეთის მხრიდან ლიმპოპოს (მდინარეა აფრიკაში) პრეზიდენტის — ბარმალეის დამხობისა და მის ნაცვლად აიბოლიტის დანიშვნის გამო აღშფოთება ვერ დამალა.**

ახლახან კი კვლავ წამოყო თავი და რჩევა-დარიგებებით გამოვიდა აშშ-ის 44-ე პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი ოფიციალური წარმომადგენელი — **ჯენიფერ ფსაკი**, რომელმაც სახელი არაკომპეტენტურობითა და ბრიყვული გამონათქვამებით გაითქვა, განსაკუთრებით თვალში საცემია მისი უცოდინარობა გეოგრაფიაში.

ტელეარხ „სი-ენ-ენ“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას ყოფილმა მრჩეველმა ჯენიფერ ფსაკიმ ურჩია თეთრი სახლის ახალ პრესმდივანს — **შონ სპაისერსა** და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მრჩეველს — **კელიენ კონუეის**, არ იცრუონ, გულმოდგინედ შეამოწმონ ფაქტები და არ გაიმეორონ დონალდ ტრამპის ნათქვამი.

ფსაკიმ, ზემოჩამოთვლილ პირებს, აგრეთვე, ურჩია, რომ ბევრი იმოგზაურონ ამერიკის შტატებში, რათა „ტრამპი შეხვდეს ადამიანებს, რომლებსაც სჯერათ, რომ ის ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის“. ამას გარდა, ფსაკის აზრით, უნდა შეიცვალოს ტელეეთერში გამოსვლების სტრატეგია, საჭიროა უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლები, მეტი ყურადღების დათმობა მემარცხენე თვალსაზრისის მქონე პრესისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კი დილაობით მიიღონ.

**ჟურნალისტებმა არაერთხელ დასცინეს ფსაკის არაკომპეტენტურობის, ფაქტების შეუმოწმებლობისა და ბრიყვული გამონათქვამების გამო და ახლა აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, ალბათ, ძალიან სასაცილოა, მისი რჩევების მოსმენა, რომ არ იცრუონ და ფაქტები გულდასმით შეამოწმონ.**

აი მისი რამდენიმე ფრთიანი ფრაზა:

* **„თუ ბელარუსი შეიჭრება უკრაინაში, აშშ-ის მე-6 საზღვაო ფლოტს გადავისვრით ბელარუსის ნაპირებთან“** (მათთვის, ვინც საქმის კურსში არ არის: ბელარუსს საზღვაო საზღვარი არ აქვს).

* 2014 წლის მაისში აღმოსავლეთ უკრაინაში ჩატარებული რეფერენდუმის კომენტირებისას ფსაკიმ განაცხადა, რომ აშშ არ ცნობს ამ რეფერენდუმის შედეგებს, რადგან ის „სერიოზული დარღვევებით“ ჩატარდა. დარღვევებს შორის ფსაკიმ დაასახელა „კარუსელები“. **ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა არის „კარუსელი“, შეცბუნებულმა ფსაკიმ თქვა: „არ ვიცი, ასე წერია ფურცელზე“.**

* რუსული ბუნებრივი აირის მიწოდებაზე ფსაკიმ გამოთქვა სურვილი: „ჩვენ გვინდა, რომ უკრაინისთვის ხელმისაწვდომი იყოს ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობა, თუკი ის დასჭირდება. როგორც ყველამ ვიცით, **ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება ხდება დასავ-** ▶

# «დემოკრატიის სპონსორს» ახლა თვითონ ამერიკელებმა დაარტყეს

## ამერიკელები ქვეყნიდან ჯორჯ სოროსის გაძევებას მოითხოვენ

**თვე-ნახევარიც არ გასულა, რაც უნგრეთის მმართველი პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ზილარდ ნემეტმა განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას განზრახული აქვს, ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რომლებსაც მილიარდერი ჯორჯ სოროსი აფინანსებს.**




„სოროსის იმპერიის ყალბი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფულს იღებენ იმისთვის, რომ ემსახურონ გლობალურ კაპიტალიზმს და მხარს უჭერენ პოლიტკორექტულობის პრინციპის უპირატესობას ეროვნულ ინტერესებზე. აშშ-ის ხელისუფლების სათავეში დონალდ ტრამპის მოსვლის შემდეგ შეიქმნება სათანადო პირობები იმისთვის, რომ უნგრეთი ამერიკელი ფინანსისტის არასამთავრობო ორგანიზაციებისგან გათავისუფლდეს“, — განაცხადა ნემეტმა.

არც უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს დაუშურებია კრიტიკა სოროსის ორგანიზაციების მიმართ. ორბანის განცხადებით, **„ყველაფერი ცხადი შეიქნება — საიდან იღებენ ისინი ფულს, რომელ საიდუმლო სამსახურთან არიან დაკავშირებულნი და ვის ინტერესებს ემსახურებიან ეს არასამთავრობო ორგანიზაციები. 2017 წელს დაიწყება ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძევება ევროპიდან“.**

რამდენიმე დღის წინათ კი სოროსის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ათასობით ამერიკელმა თხოვნით მიმართა პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, მოქალაქეობა ჩამოართვას და ქვეყნიდან გააძევოს მსოფლიოში „დემოკრატიის სპონსორი“, მილიარდერი ჯორჯ სოროსი. შესაბამისი პეტიცია, რომელსაც ხელს ჯერჯერობით 16,3 ათასი ადამიანი აწერს, ვებგვერდ Change.org-ზე გამოქვეყნდა. პეტიციის ავტორი, კომპოზიტორი **ვანესა ფელტნერი** იმედოვნებს, რომ ტრამპი, აგრეთვე, აუკრძალავს სოროსსა და მისი ოჯახის წევრებს ამერიკაში ბიზნესის წარმოებასა და პოლიტიკოსების მოსყიდვას. ფელტნერი ამბობს, რომ სოროსი ფულს უხდის საპროტესტო აქციების, მათ შორის, „ქალების მარშის“ მონაწილეებს, რათა გახლიჩოს საზოგადოება, როგორც ეს უკრაინაში გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ **ჯორჯ სოროსის მიერ შექმნილი ფონდები მხარს უჭერდნენ საპროტესტო გამოსვლებს უკრაინაში, აქციებს სერბეთში, ყაზახეთში, პოლონეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, უნგრეთში და, რა თქმა უნდა, საქართველოში. სოროსი თავისი ფონდის — „ღია საზოგადოების“ მეშვეობით მრავალი წლის განმავლობაში აფინანსებდა და ახლაც აფინანსებს მილიონობით დოლარით მისთვის სასურველ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან.**

„ჩვენ, ადამიანები, აღარ მოვითმენთ სოროსის მავნებლობას და აქტიურ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი ტრადიციების განადგურებისკენ. ის ქვეყნის დანგრევას ცდილობს. ჩვენ არ გვსურს ღია საზღვრები და ღია საზოგადოება. ჩვენ გვინდა, ამერიკამ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და ქრისტიანული ფასეულობები. პრეზიდენტო, გთხოვთ, გააძევოთ ჯორჯ სოროსი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ჩვენ მოვითხოვთ, აუკრძალოთ მას და მისი ოჯახის წევრებს ბიზნესის წარმოება აშშ-ში და ინვესტირება კორუფციაში ჩაფლული პოლიტიკოსებისა, რომლებითაც ის მანიპულირებს“, — ნათქვამია პეტიციაში.

მსოფლიოში ჯორჯ სოროსის მოღვაწეობის საწინააღმდეგო აქციების ფონზე სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ საქართველოში, სადაც უცხოური გრანტებით გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები დაუფარავად მოქმედებენ სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის, საერთოდ, ქართული ფასეულობების წინააღმდეგ.

**ნიკა კორინთელი**



# თურქეთის საზღვარზე ჩემოდანში დამალული საქართველოს მოქალაქე დააკავეს

**თურქეთის პოლიციამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან, ართვინის პროვინციაში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა. მამაკაცს 28 წლის ქალბატონი საზღვარზე ჩემოდნით გადაჰყავდა.**

პოლიციის თანამშრომლებმა ბარგი საეჭვოდ მიიჩნიეს და მფლობელს მისი გახსნა მოსთხოვეს. გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასში ქალბატონი იჯდა.

ექვმიტანილებმა საზღვარი სარფში გადალახეს, თუმცა ისინი ჰოფაში აიყვანეს. დაკითხვისას გაირკვა, რომ ქალბატონი სამი თვის წინათ თურქეთიდან დეპორტირებული იყო.

# 2016 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 581 ადამიანი დაიღუპა

**2015 წელს 6 432 ავტოსაგზაო შემთხვევა აღირიცხა, რომელთა შედეგად 602 ადამიანი გარდაიცვალა და 9 189 ადამიანი დაშავდა; 2014 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 511 ადამიანი დაიღუპა და 8 536 დაშავდა.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული, შარშან საქართველოს მასშტაბით 6 939 ავტოსაგზაო შემთხვევა აღირიცხა, რომელთა შედეგად 581 ადამიანი გარდაიცვალა, 9 951 — დაშავდა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა 500-ით გაიზარდა.



2010-2015 წლებში ავღანეთში დაიღუპა 31 ქართველი სამხედრო მოსამსახურე, 200-მდე კი — დაიჭრა. ერაყში დაიღუპა 5 ქართველი ჯარისკაცი. რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით კი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში ორმა შვეულმფრენმა კატასტროფა განიცადა და ეკიპაჟის წევრები, რომელთა შორის იყვნენ ქართველებიც, დაიღუპნენ.

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ლეთ ევროპიდან უკრაინის გავლით რუსეთში".

* 2014 წლის ივნისში სოციალურ ქსელ „ტვიტერში" ფსაკიმ უარყო ინფორმაცია თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და დასძინა, რომ ის **„ჯერ კიდევ რჩება იქ, როგორც ძლიერი, დემოკრატიული უკრაინა".**

* 2014 წლის ივლისში საგარეო პოლიტიკური უწყების რეგულარულ ბრიფინგზე **ფსაკი ცალი ფეხსაცმლით გამოცხადდა.**

ბრიფინგის შემდეგ ფსაკიმ აღიარა: „მინდოდა შემეთხზა ისტორია, მაგრამ კარგი ვერაფერი მოვიფიქრე. ბრიფინგის მსვლელობისას, რომელიც ეგვიპტეში შექმნილ სიტუაციას ეძღვნებოდა, ფსაკის კომენტარი სთხოვეს ექსპრეზიდენტ **ჰოსნი მუბარაქისთვის** ბრალდების მოხსნაზე, მან კი ჟურნალისტს ზოგადი ფრაზებით უპასუხა. ბრიფინგის დასრულების შემდეგ, ეგონა რა, რომ მიკროფონი გათიშული იყო, ფსაკიმ თქვა: **„ეს ნაწილი ეგვიპტეზე, აბდაუბდა გამოვიდა".**

* 2014 წლის 5 აგვისტოს **ჯენიფერ ფსაკიმ რუსეთის სამხრეთში მდებარე ასტრახანის ოლქი უკრაინის მოსაზღვრე ტერიტორიად მოიხსენია** და განაცხადა, რომ, ღრმად არის შეშფოთებული „რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მანევრებით ასტრახანის ოლქში, რადგან ეს ემსახურება მხოლოდ დაძაბულობის შეტანას რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში".

* 2015 წლის თებერვალში, კითხვაზე უკრაინაში 2014 წლის სახელმწიფო გადატრიალების შესახებ ფსაკიმ ასე უპასუხა: **„მე არ ვაპირებდი ისტორიაში ჩაღრმავებას, მაგრამ, რადგან თქვენ ამის შესაძლებლობა მომეცით, გეტყვით — უკრაინის ყოფილი ლიდერი თავისი ნებით წავიდა".**

აი ასეთ „ბრძნულ აზრებს" აფრქვევდა ჯენიფერ ფსაკი, როცა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლად და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის პოსტზე მუშაობდა და არაერთხელ გაუოგნებია ჟურნალისტები და საზოგადოება თავისი არაკომპეტენტურობით. ახლა კი ეს ქალბატონი დონალდ ტრამპის მრჩეველსა და თეთრი სახლის ადმინისტრაციის პრესმდივანს რჩევა-დარიგებას აძლევს.

ამაზე ითქმის, ფსაკიმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო.

**ნიკა კორინთელი**

# ქართველები, როგორც «საზარბაზნე ხორცი» — კონტრიბუცია ამერიკელებისთვის

**სასულიერო პირების გარშემო ატეხილმა სკანდალმა გადაფარა ნატოსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელიც ბრიუსელში გაიმართა. სწორედ ბრიუსელში იყო პირველი კომუნიკაცია საქართველოს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასა და მის ამერიკელ კოლეგა ჯეიმს მატისს შორის. ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრები ერთმანეთს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა წარუდგინა.**



აშშ-ის თავდაცვის მინისტრი და ლევან იზორია

„ჩვენ შევხვდით ნატოს უახლოეს პარტნიორს — საქართველოს. მე გამოვხატე ჩემი აღფრთოვანება და პატივისცემა საქართველოს კონტრიბუციისა (?! — ნ.კ.) და გაღებული მსხვერპლის მიმართ, რომელიც ამ ქვეყანამ გაიღო ნატოს ბრძოლის ველზე, ავღანეთში", — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა **ჯეიმს მატისმა** ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ. **იენს სტოლტენბერგმა** კი აღნიშნა, რომ „ნატო განაგრძობს საქართველოს დახმარებას ნატოში გაერთიანების გზაზე"...

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის განცხადებაში (და, საერთოდ, დასავლელი სახელმწიფო მოღვაწეების) ნათლად გამოსჭვივის საქართველოსა და ქართველი ჯარისკაცებისადმი დამოკიდებულება, რომელიც ძალიან ჰგავს ეგვიპტელი და ერაყელი მმართველების დამოკიდებულებას არამუსლიმანი თეთრკანიანი მონების — მამელუქების მიმართ. მამელუქებს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ და მათ შორის ბევრი ქართველი იყო, მაგალითად, **დაუდ-ფაშა გურჯი, სულეიმან აბუ ლაილი, სულეიმან ქუჩუქი** და სხვ. ოღონდ ახლა ამერიკელები ქართველ ჯარისკაცებს სწორედ ერაყელებისა და ავღანელების წინააღმდეგ იყენებენ საზარბაზნე ხორცად.

**ქართველი სამხედროები 1999 წლიდან მონაწილეობენ ე.წ. საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში კოსოვოში, ავღანეთში, ერაყში, მალიში, რესპუბლიკა ცენტრალურ აფრიკაში. ამჟამად ქართული სამხედრო კონტინგენტი ჩართულია ორ სამშვიდობო მისიაში: ნატოს ეგიდით — ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის" მისიასა და ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში.**

ამ მისიებში საკმაოდ დიდი იყო ქართველების დანაკარგი: **2010-2015 წლებში ავღანეთში დაიღუპა 31 ქართველი სამხედრო მოსამსახურე, 200-მდე კი დაიჭრა. ერაყში დაიღუპა 5 ქართველი ჯარისკაცი. რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით კი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში ორმა შვეულმფრენმა კატასტროფა განიცადა და ეკიპაჟის წევრები, რომელთა შორისაც იყვნენ ქართველებიც, დაიღუპნენ (ცნობილი არ არის, რა მისიით იყვნენ იქ ქართველი სამხედროები).**

აშშ-ის თავდაცვის 26-ე მინისტრის — ჯეიმს ნორმან მატისის განცხადებაში აღსანიშნავია სიტყვა **„კონტრიბუცია"**, რომელიც ლათინური Contribucio-სგან წარმოდგება და ნიშნავს **„ომის დროს ფულად თუ ნატურალურ გადასახადს, რომელსაც ახდევინებს მტერი მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობას".**

და მართლაც, აშშ-ს, უკვე კარგა ხანია, დაპყრობილი აქვს საქართველო — ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი ხომ ამერიკის შეერთებული შტატებია მისი ელჩის სახით, რომელიც, ვინც მოესურვება, იმას ნიშნავს მინისტრად. გაიხსენეთ, როგორ დანიშნეს თავდაცვის მინისტრად **თინა ხიდაშელი** აშშ-ის ელჩ **რიჩარდ ნორლანდის ბიძინა ივანიშვილთან** „ყავის დასალევად" მისვლის შემდეგ. ან ის რად ღირს, თბილისში ე.წ. ლუგარის სახელობის ბიოლოგიური ლაბორატორია რომ გახსნეს და ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათო ცდებს ატარებენ?

მაგრამ **სუზერენი ისე ეპყრობა ვასალს, როგორც საჭიროდ ჩათვლის, მერე კი „გაღებული კონტრიბუციისთვის" ფარისევლურ მადლობასაც არ დააყვედრის.**

„ჩვენთან შეხვედრისას აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა ხაზგასმით გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და სტრატეგიული თანამშრომლობის გაგრძელების მკაფიო სურვილი გამოთქვა, რომელიც შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის წლების განმავლობაში არსებობს. ორ ქვეყანას შორის არსებული სამართლებრივი საფუძველი, გაფორმებული მემორანდუმით, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში გაფორმებული **სამწლიანი ჩარჩო ხელშეკრულება, საფუძველს გვაძლევს, განვახორციელოთ ძალიან ამბიციური პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში იგეგმება ვაზიანში ერთობლივი ძალისხმევით საწვრთნელი ცენტრის მშენებლობა. ეს იქნება საუკეთესო შესაძლებლობა იმ მთავარი პრაქტიკული მიზნის განსახორციელებლად, რომელსაც ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და მდგრადობის განმტკიცება ჰქვია**", — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამ**, რომელიც თვალებში შესციცინებდა თავის ამერიკელ კოლეგას.

ისე, საკითხავია — ლუგარის ბიოლოგიური ლაბორატორია და ქართულ-ამერიკული საწვრთნელი ცენტრის აშენება გაზრდის საქართველოს თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებას და თავიდან აგვაცილებს რუსული რაკეტების დამიზნებას, როცა ქართულ არმიაში ჯარისკაცების რაოდენობა განუხრელად მცირდება? თავდაცვის მინისტრმა ე.წ. ოპტიმიზაციის საბაბით ჯარიდან ახლახან 2250 სამხედრო დაითხოვა და მათი ოჯახები ულუკმაპუროდ დატოვა.

ან რა ნატოში საქართველოს შესვლაზე გველაპარაკება ამ ალიანსის გენერალური მდივანი, რომელსაც თავისი გასჭირვებია აშშ-ის ახალი პრეზიდენტის — **დონალდ ტრამპის** მუქარის გამო, — ნატო მოძველებული ორგანიზაციაა და უნდა დაიშალოსო. სტოლტენბერგის განცხადება ხომ ნაცარის მორიგი ულუფაა, რომელსაც, უკვე მერამდენე წელიწადია, თვალში აყრიან საქართველოს მოსახლეობას.

**ნიკა კორინთელი**

**P.S. მოლდოვის პრეზიდენტმა იგორ დოდანმა 17 თებერვალს განაცხადა, რომ, თუ ქვეყნის დედაქალაქ კიშინიოვში გაიხსნება ნატოს ბიურო, მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ, მას აუცილებლად დახურავს.**

**ბოლო სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, მოლდოვის მოქალაქეთა უმრავლესობა ნატოში ქვეყნის შესვლის წინააღმდეგია.**



# მერამდენედ უნდა გვითხრან, რომ დიალოგის დაწყება აუცილებელია?

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ თბილისზეა დამოკიდებული, საქართველოს ხელისუფლება კი ყურს არ იბერტყავს.**



„რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, რომელიც 2008 წელს შეწყდა, მხოლოდ თბილისზეა დამოკიდებული. ჩვენ არ გაგვიწყვეტია ეს ურთიერთობები", — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გრიგორი კარასინმა.**

**ეს უკვე მერამდენედ — რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები დაუფარავად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ამბობენ, რომ მზად არიან, დაიწყონ საქართველოსთან დიალოგი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენის შესახებ.**

ამ საკითხზე ჯერ კიდევ 2015 წლის დეკემბერში ყოველწლიურ კონფერენციაზე ილაპარაკა რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა:**

**„საქართველოსთან ურთიერთობის გაწყვეტის ინიციატორები ჩვენ არ ვყოფილვართ, მაგრამ მზად ვართ ამ ურთიერთობის აღსადგენად, რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს, პირველ რიგში, ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების საქმეა. საჭიროა მათთან მუშაობა, ჩვენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ".**

მეტი რაღა უნდა თქვან რუსეთის ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა? მაგრამ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში მოსვლის წინ, 2012 წელს, საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ასახელებდა, ყურსაც არ იბერტყავს, ამერიკელი პატრონების მითითებას უსიტყვოდ ასრულებს და გაუსაძლის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ მოსახლეობას ე.წ. ვიზალიბერალიზაციითა და კვლავ ნატო-ევროკავშირში შესვლის დაპირებით კვებავს. ამასთანავე, თბილისში ე.წ. ლუგარის ბიოლაბორატორიის ამოქმედების შემდეგ ვაზიანში ქართულ-ამერიკული სასწავლო ცენტრის გახსნით, რუსეთს დამატებით საბაბს აძლევს, ჩვენი ქვეყანა სამიზნეში ამოიღოს და ამით რუსულ-ქართული დაპირისპირების პოლიგონად აქციოს.

**რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს — სხვანაირად საქართველო ვერ დაიბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს, მით უმეტეს — იარაღით, მაგრამ ამის გაგონება არაფრის დიდებით არ სურს ამერიკის მარიონეტ ხელისუფლებას.**

**ლუკა მაისურაძე**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია ტერორისტული აქტების მომწყობთა წინააღმდეგ 2001 წლიდან დღემდე, გვიჩვენებს, რომ მსჯავრდადებულთა უმრავლესობა (138 ადამიანი) აშშ-ის მოქალაქეები არიან, მაგრამ არც თუ ცოტანი გახლავან სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეები.**

# ევროპელები იმიგრაციული პოლიტიკის გამკაცრებას უჭერენ მხარს

**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ბრძანებულებამ „უცხოელი ტერორისტების შემოსვლისგან ქვეყნის დაცვის შესახებ“ და მის კვალზე განვითარებულმა მოვლენებმა ბიძგი მისცა მოვლენების მთელ რიგს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ევროპული პროცესების განვითარებას. იმ დროს, როცა აშშ-ის ახალი პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები ამ ბრძანებულების საწინააღმდეგოდ საპროტესტო აქციებს აწყობენ, ხოლო პოლიტიკური ელიტა ცდილობს, დაბლოკოს მისი განხორციელება, ევროპის ქვეყნებში სულ სხვა განწყობილებები იჩენს თავს და თანდათან ძლიერდება.**

რამდენიმე მუსლიმური ქვეყნის მოქალაქეების აშშ-ში შესვლა ტრამპმა წლეულს, 27 იანვარს აკრძალა. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ეს ქვეყნებია ერაყი, ირანი, სუდანი, ლიბია, სომალი, იემენი, რომელთა მოქალაქეებისთვის აკრძალვა 90 დღეს გაგრძელდება, ხოლო სირიელი ლტოლვილების მიმართ აღნიშნული ღონისძიება უვადოა.

დიპლომატებს აკრძალვა არ შეეხო.

**ვაშინგტონის შტატის გენერალურმა პროკურორმა** სარჩელი შეიტანა ფედერალურ სასამართლოში აშშ-ის პრეზიდენტის, უშიშროების სამინისტროსა და ადმინისტრაციის მოხელეთა წინააღმდეგ და მოითხოვა ბრძანებულების ძირითადი დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობა. სიეტლის ფედერალურმა მოსამართლე **ჯეიმს რობარტმა** აღნიშნული აქტის მოქმედება შეაჩერა ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

ანალოგიური სარჩელები შეიტანეს მინესოტას შტატის პროკურორმა და უფლებადამცველთა ორგანიზაცია „მოქალაქეობრივ თავისუფლებათა დაცვის ამერიკულმა კავშირმა“.

მოგვიანებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა თეთრი სახლის საჩივარი ფედერალურ მოსამართლეთა წინააღმდეგ. თავისი გადაწყვეტილება მან დაასაბუთა იმით, რომ იმ 7 ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც აკრძალვა შეეხო, სხვადასხვა დროს გეგმავდნენ ტერაქტების მოწყობას აშშ-ის ტერიტორიაზე.

პრეზიდენტმა ტრამპმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ფედერალური მოსამართლის გადაწყვეტილება კარს უხსნის არასასურველ ელემენტებს. „იმის გამო, რომ მოსამართლემ აკრძალვა გააუქმა, ბევრი ძალიან ცუდი და საშიში ადამიანი შეძლებს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლას. საშინელი გადაწყვეტილებაა“, — დაწერა მან „ტვიტერის“ თავის ექაუნთში (გვერდში).

ტრამპის ხასიათიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ მისი ადმინისტრაცია გააგრძელებს ბრძოლას იმ აკრძალვის ასამოქმედებლად, რომელზეც ვლაპარაკობთ.

„შევხვდებით სასამართლოში, ფსონად ჩვენი ქვეყნის უშიშროებაა დადებული!“ — დაგვპირდა აშშ-ის პრეზიდენტი და დაამატა, რომ „მოსამართლეებმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს“.

იუსტიციის სამინისტრო სწავლობს აშშ-ის უმაღლესი სასამართლოსთვის მიმართვის პერსპექტივას. ამას გარდა, სახელმწიფო დეპარტამენტმა და უშიშროების საბჭომ დაიწყეს კონკრეტული ღონისძიებების განხილვა, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს, დაუყოვნებლივ გააკონტროლონ იმიგრაციის პროცესი.

პრეზიდენტ ტრამპის მოთხოვნა რომ დროული და სამართლიანია, მტკიცდება ობიექტური მონაცემებით. **სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია ტერორისტული აქტების მომწყობთა წინააღმდეგ 2001 წლიდან დღემდე, გვიჩვენებს, რომ მსჯავრდადებულთა უმრავლესობა (138 ადამიანი) აშშ-ის მოქალაქეები არიან, მაგრამ არც თუ ცოტანი გახლავან სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეები.**

ტერორიზმისთვის მსჯავრდადებული 16 ადამიანის მოქალაქეობა გაურკვეველია; ორმაგი — პაკისტანისა და ამერიკის მოქალაქეობა — აქვს 8 ადამიანს, სომალის მოქალაქეა 7, პაკისტანის, უზბეკეთისა და იემენის — ოთხოთხი, იორდანიის — 3, ეგვიპტის, საუდის არაბეთის, მაროკოს, ბანგლადეშის, დიდი ბრიტანეთის, სომალისა და ამერიკის ორმაგი მოქალაქეობა აქვთ ორ-ორ მსჯავრდადებულს. დანარჩენი 17-ის მოქალაქეობა რეალობას ვერ დაემთხვა. მათ შორის იყვნენ ირანის, ერაყისა და სირიის მოქალაქეები.

## რომელი ქვეყნების მოქალაქეებს დაედოთ სასჯელი ტერაქტების მოწყობის ბრალდებით

ტერაქტების რაოდენობა. სულ: 213

| მოქალაქეობა | | ტერაქტის მოწყობის მიზეზი |
|---|---|---|
| აშშ-ის | 138 | ჯიჰადი: 118 |
| უცნობია 16 | 16 | ჯიჰადი: 15 |
| ორმაგი: პაკისტანი-აშშ | 8 | ჯიჰადი: 8 |
| სომალი | 7 | ჯიჰადი: 7 |
| პაკისტანი | 4 | ჯიჰადი: 4 |
| უზბეკეთი | 4 | ჯიჰადი: 4 |
| იემენი | 4 | ჯიჰადი: 4 |
| იორდაია | 3 | ჯიჰადი: 3 |
| ეგვიპტე | 2 | ჯიჰადი: 2 |
| საუდის არაბეთი | 2 | ჯიჰადი: 2 |
| მაროკო | 2 | ჯიჰადი: 2 |
| ბანგლადეში | 2 | ჯიჰადი: 2 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | ჯიჰადი: 2 |
| ორმაგი: სომალი-აშშ | 2 | ჯიჰადი: 2 |
| ინდოეთი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ალჟირი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ავღანეთი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ორმაგი: სირია-აშშ | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ორმაგი: ალბანეთი-აშშ | 1 | ჯიჰადი: 1 |
| თურქეთი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ერაყი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ალბანეთი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ირანი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ორმაგი: ისრაელი-აშშ | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ესპანეთი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| უგანდა | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ფილიპინები | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ნიგერია | 1 | ჯიჰადი: 1 |
| კანადა | 1 | ჯიჰადი: 1 |
| ყატარი | 1 | ჯიჰადი: 1 |
| საფრანგეთი | 1 | ჯიჰადი: 1 |

წყარო: NEW AMERICA, РБК

თეთრი სახლის ადმინისტრაციამ 9 თებერვალს გამოაქვეყნა სია, რომელშიც ჩამოთვლილია ტერორიზმის ბრალდებით აშშ-ში დაპატიმრებული 24 ადამიანის გვარები. ათი მათგანი ჩასული იყო სომალიდან, ექვსი — ერაყიდან, ორორი — სუდანიდან, ირანიდან და ლიბიიდან, თითო — იემენიდან და სირიიდან.

დონალდ ტრამპის ბრძანებულებამ საერთაშორისო ასპარეზზე საგრძნობი განხეთქილება გამოიწვია. ერთმანეთს დაუპირისპირდა როგორც გარკვეული ქვეყნები და რეგიონები, ასევე, ქვეყნებში მოქმედი ძალები — მმართველი ელიტები და მოსახლეობა. აშშ-ის პრეზიდენტის ბრძანებულება დაუყოვნებლივ დაგმეს გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, პაკისტანის, საუდის არაბეთის, ირანის ლიდერებმა, ხოლო კანადის პრემიერმინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მიიღებს იმათ, ვისაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩასვლაზე უარი უთხრა.

ინგლისის კვლევითმა ცენტრმა **Chatam Houise**-მა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, პოლონეთში, საბერძნეთში, უნგრეთსა და დიდ ბრიტანეთში.

თემის — რას ფიქრობენ მუსლიმური ქვეყნებიდან შემდგომი იმიგრაციის შეწყვეტის შესახებ — გამოკითხვის შედეგები ასეთია:

**გამოკითხულთა 55 პროცენტი ამ იდეას მხარს უჭერს. პოლონეთში ამ აზრზე დგას გამოკითხულთა 71 პროცენტი, ავსტრიაში — 65 პროცენტი, ბელგიასა და უნგრეთში — 64-64 პროცენტი, საფრანგეთში — 61 პროცენტი, საბერძნეთში — 58 პროცენტი, გერმანიაში — 53 პროცენტი, იტალიაში — 51 პროცენტი, ოდნავ ნაკლებია დიდ ბრიტანეთში — 47 პროცენტი და ესპანეთში — 41 პროცენტი.** მაგრამ ეს მაჩვენებლებიც ბევრის მთქმელია, მით უფრო იმიტომ, რომ სწორედ ეს სახელმწიფოები იდგნენ ევროკავშირის სათავეებთან.

ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად აღრმავებს და ართულებს ბებერ კონტინენტზე არსებულ ნეგატიურ პროცესებს, — მიიჩნევს ევროპული პრესა. ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ ტერორიზმის საშიშროება და ლტოლვილთა პრობლემა, გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენს ნიდერლანდებში, საფრანგეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში წლეულს ჩასატარებელი არჩევნების დროს, შედეგი შეიძლება ბრიუსელისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდეს.

**პეტრე ისკანდეროვი**

# ტერორისტების სპონსორს ტერორიზმთან ბრძოლისთვის ამერიკული მედლით აჯილდოებენ

**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალდანიშნულმა დირექტორმა მაიკ პომპეომ საუდის არაბეთის პრინცი ბინ ნაიეფი დააჯილდოვა მედლით.**

ეს პატივდება ასეთი ფორმულითაა არგუმენტირებული: „ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში დაზვერვის ღონისძიებათა ეფექტიანი უზრუნველყოფისთვის და გლობალური მასშტაბით უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის“.

პრინცმა 2003 და 2007 წლებში შეიმუშავა ოპერაციის გეგმა „ალ ქაიდას“ წინააღმდეგ, 2009 წელს კი ბედად გადაურჩა თავდასხმას, რომელიც მის წინააღმდეგ განახორციელეს ისლამისტებმა.

მედალიც ამიტომ ჩამოჰკიდეს, მაგრამ, როგორც ამ მედალს, ისე პრინცის მოღვაწეობასაც ორი მხარე აქვს. მეორე მხარე საუდის მმართველთა და მათ შორის პრინც ბინ ნაიეფის მონაწილეობაა ისლამური ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსებაში მსოფლიოს მასშტაბით. ამერიკელი ჟურნალისტი **სეიმურ ჰერში** ამტკიცებს, რომ ახლო აღმოსავლეთში ირანის გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ ფარული ბრძოლის პროცესში საუდელები ფულით ამარაგებდნენ სუნიტურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებს, რომლებიც „ალ ქაიდასადმი“ სიმპათიურად იყვნენ განწყობილნი.

სირიაში ელ-რიადი აფინანსებდა ისლამისტების ისეთ ოდიოზურ ბანდებს, როგორიც იყო „ჯებჰათ-ან-ნურსა“ და ე.წ. ისლამური სახელმწიფოს სტრუქტურაში შემავალი სხვა რაზმები.

ამერიკულ ჟურნალ The Atlantic-ის თანამშრომელი **სტივ კლემონსი** ერთ-ერთ ინტერვიუში წერდა, ერთმა ყატარელმა ოფიცერმა აღიარა, ე.წ. ისლამური სახელმწიფო საუდის არაბეთის პროექტი რომ იყო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საუდის არაბეთის ოფიციალური რელიგია ვაჰაბიზმია — ისლამის ექსტრემისტული ვერსია, რომლის მიმდევარი უამრავია ავღანელ თალიბებსა და იჩქერიის ტერორისტებს შორის.

ცნობილია ისიც, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფინანსებდა და ყოველმხრივ მხარს უჭერდა ისლამურ ექსტრემისტებს. ბევრი დაწერლა იმაზეც, რომ „ალ ქაიდა“ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მიერაა შობილი. 2011 წელს ლიბანისა და ეგვიპტის პრესა მიგვანიშნებდა ცსბ-სა და „ძმებმუსლიმთა“ შორის დადებულ საიდუმლო შეთანხმებებზე ახლო აღმოსავლეთში ერთობლივი მოქმედების შესახებ.

ამერიკელმა მკვლევარმა **სიბელა ედმონდსმა** განაცხადა, რომ ცსბ-სა და „ალ ქაიდას“ ამჟამინდელ ლიდერ **აიმან ალ-ზავაჰირს** შორის მჭიდრო ურთიერთობა არის დამყარებული.

ლიბიასა და სირიაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და თალიბები აქტიურად თანამშრომლობენ. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ამ კონტექსტში მაიკ პომპეოს მიერ პრინცი ალ საუდის დაჯილდოება ძალიან ჰგავს ერთი ტერორისტის მიერ მეორე ტერორისტის დაჯილდოებას ტერორიზმთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის.

## ჰერბსტი ტეხასის ისტორიაში პირველი აშკარა ტრანსგენდერი მერია. საინტერესოა, რომ ეს მოხდა ამერიკის ყველაზე კონსერვატიულ შტატში, ქალაქში, რომელიც 40 კმ-ით არის დაშორებულ დალასს.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## 11 წლის ბიჭმა მეზობელი გოგონა პედოფილის ძალადობისგან იხსნა

**11 წლის ტეხასელმა ბიჭუნა თი ჯეიმ არაბავშვური სიფრთხილე გამოავლინა და შეძლო, ნაცნობ გოგონას გამტაცებლისგან თავის დახსნაში დახმარებოდა. შერიფმა ბიჭი სიფრთხილის გამოჩენისთვის დააჯილდოვა. — იუწყება Fox Clevland-ი.**



ბავშვების სათამაშო მოედანზე ბიჭი მეგობრებთან ერთად თამაშობდა, 7 წლის გოგონა კი იქვე, ახლოს გორგოლაჭებიანი თვითმავალით სეირნობდა. უცებ გოგონას მიუახლოვდა მამაკაცი და რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ სადღაც წაიყვანა.

თიჯეის საუბარი არ მოუსმენია, მაგრამ გადაწყვიტა, ყოველი შემთხვევისთვის მამაკაცსა და გოგონას უკან გაჰყოლოდა.

როდესაც მამაკაცმა გოგონა შორს წაიყვანა, თი ჯეიმ რაღაც იეჭვა და იფიქრა რომ სასწრაფოდ უფროსებისთვის უნდა მიემართა. პირველი, ვინც ქუჩაში შეხვდა იყო მეზობელი **ჯეიმს უერი.** ბიჭმა მას სასწრაფოდ უამბო ყველაფერი, რაც დაინახა და კვლავ გოგონას და მის გამტაცებელს დაედევნა. მეზობელ ჯეიმს უერთან კი სატელეფონო კავშირი ჰქონდა. გამტაცებელი მეზობელ ქუჩაში მიტოვებულ სახლთან წააქცია ჯეიმს უერმა და გაკავებული ჰყავდა პოლიციელების მოსვლამდე.

ბოროტმოქმედი აღმოჩნდა კლივლენდელი მამაკაცი, რომელიც ადრე პედოფილიის საქმეში ფიგურირებდა. დაკითხვაზე მან აღიარა, რომ გოგონა სექსუალური ძალადობის მიზნით გაიტაცა.




## ანგელა მერკელი მოჭრილი თავით ხელში

**გამოცემა Charlie Hebdo-ს გერმანული ვერსიის ახალი ნომრის ყდაზე გამოსახულია გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რომელსაც ხელში პოლიტიკური კონკურენტის — მარტინ შულცის თავი უჭირავს.**

„შარლი ებდოს“ გარეკანზე მერკელს ერთ ხელში მოჭრილი თავი უჭირავს, მეორეში — დანა. იქვეა ჟურნალ Der Spiegel-ის ნომრის გარეკანიც, რომელზეც გამოსახული იყო აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ხელში თავისუფლების ქანდაკების თავით, მარჯვნივ წარწერაა — Spiegel-ის მკითხველები გაოგნებულნი არიან“. როგორც გაზეთი „ბილდი“ წერს „შარლი ებდოს“ გერმანულ ვერსიაზე დაყრდნობით, ეს ციტატა არის „პატივისცემის ჟესტი ჰამბურგელი კოლეგების მიმართ“.

გერმანული ყოველკვირეული ჟურნალის — Der Spiegel-ის ნომერი დონალდ ტრამპის კარიკატურით 4 თებერვალს გამოვიდა. გამოცემა Die Welt-ის მიმომხილველმა **კლემენტ ვერგინმა** თავის წერილში „შპიგელის“ გარეკანი აუფასურებს ჟურნალისტიკას“ ეს კარიკატურა გააკრიტიკა.

## ბუდისტ ბერს 4,8 მლნ აბი მეტამფეტამინი უპოვეს



**მიანმაში დააპატიმრეს ბუდისტი ბერი, რომელსაც ბრალი ედება დიდი რაოდენობის მეტამფეტამინის შენახვაში. მამაკაცს მონასტერსა და მანქანაში 4,8 მილიონი აბი ნარკოტიკი უპოვეს.**

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, ანტინარკოტიკული კამპანიის მიმდინარეობისას დააკავეს ბერი, რომელიც თავისი ავტომობილით მიანმის ჩრდილოეთში მიდიოდა. მის ავტომობილში მეტამფეტამინის 400 ათასი აბი იპოვეს. მოგვიანებით იმ მონასტერშიც ჩაატარეს ჩხრეკა, რომელშიც ბერი ცხოვრობდა, და კიდევ 4,4 მლნ აბი ამოიღეს, აგრეთვე, ხელყუმბარები და ვაზნები.

აღსანიშნავია, რომ მიანმა მეტამფეტამინის მთავარი გამავრცელებელია მსოფლიოში.

## ტეხასის შტატის ერთ-ერთი ქალაქის მერი: «მე ტრანსგენდერი ქალი ვარ»



**ტეხასის შტატის ქალაქ ნიუ ჰოუპის მერმა თანამდებობის დაკავებიდან 8 თვის შემდეგ აღიარა, რომ ტრანსგენდერია.**

„როგორც მერმა, უნდა ვაღიარო ის, რაც ყოველთვის იყო ჩემში, რაც თავი მახსოვს, მე ტრანსგენდერი ვარ“, — ეს ღია წერილი ნიუ ჰოუპის მერმა **ჯესი ჰერბსტმა** ქალაქის ვებგვერდზე გამოაქვეყნა.

ჰერბსტი ტეხასის ისტორიაში პირველი აშკარა ტრანსგენდერი მერია. საინტერესოა, რომ ეს მოხდა ამერიკის ყველაზე კონსერვატიულ შტატში, ქალაქში, რომელიც 40 კმ-ით არის დაშორებულ დალასს.

ნიუ ჰოუპის მცხოვრებთათვის გაგზავნილ ღია წერილში ჰერბსტი თანაქალაქელებს უხსნის, რომ ლაპარაკია გენდერულ იდენტობაზე და არა — სექსუალურ ორიენტაციაზე, რომ ძველებურად უყვარს თავისი ცოლი, ისიც საპასუხო გრძნობით პასუხობს და განქორწინებას არ აპირებენ.

**„ჩემი ქალიშვილები ყოველთვის მხარს მიჭერდნენ და სიამაყით ყვებიან, რომ მათი მამა ტრანსგენდერია. ახლა მე ვცხოვრობ როგორც ქალი და კვლავ განვაგრძობ ქალაქის მერის მოვალეობის შესრულებას“,** — წერს აწ უკვე ყოფილი მამაკაცი-მერი.

ჰერბსტი მერის პოსტზე 2016 წელს აირჩიეს, იმხანად მისი ტრანსსექსუალობის შესახებ ბევრმა არ იცოდა.

„ორი წლის წინათ ცოლის, ქალიშვილებისა და სიძის მხარდაჭერით დავიწყე ჰორმონული პრეპარატების მიღება. იმხანად არც კი ვფიქრობდი მერობაზე, მაგრამ ახლა აქ ვარ. ამჟამად მქვია ჯესი, რომელიც წარმოიშვა ჩემი ძველი სახელიდან — ჯეფი“, — წერს ნიუ ჰოუპის ახლა უკვე ქალი მერი.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკოსები თავიანთ არჩევას განმეორებით იმიტომ ახერხებენ, რომ პრაქტიკულად თვითონ ადგენენ საარჩევნო რაიონების საზღვრებს, „თვითონ ხატავენ“. მისი აზრით, შექმნილია აბსურდული მდგომარეობა, რომელშიც „პოლიტიკოსები ირჩევენ ამომრჩევლებს, ნაცვლად იმისა, რომ ამომრჩევლებმა აირჩიონ პოლიტიკოსები“.**



WSJ:

# პუტინის მეგობრებმა გერმანიაში გავლენიანი თანამდებობები დაიკავეს

**გერმანიაში ახალი ფედერალური პრეზიდენტი აირჩიეს. ამ პიროვნებას წელიწად-ნახევრის წინ ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკეინმა „ნევილ ჩემბერლენის დიპლომატიის სკოლის“ ერთგული მიმდევარი უწოდა. ამის შესახებ წერს გაზეთი WALL STREET JOURNAL-ის მიმომხილველი ჯონ ვინოკური. იგი აღნიშნავს, რომ ახალი პრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი არჩევამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს ედგა სათავეში. გასული საუკუნის 30-იან წლებში იმავე თანამდებობაზე დიდ ბრიტანეთში მუშაობდა ნევილ ჩემბერლენი, რომლის სახელი აგრესორების მომადლიერების პოლიტიკასთან ასოცირდება. 1938 წელს ბრიტანელმა დიპლომატმა ნაცისტების მიერ ჩეხოსლოვაკიის ნაწილის ოკუპაცია დასაშვებად მიიჩნია.**

მიმომხილველი ხაზს უსვამს, რომ შტაინმაიერი ასევე გამოირჩევა რუსეთთან ურთიერთობის დამყარების სურვილით. მისი შემცვლელი **ზიგმარ გაბრიელიც** სოციალ-დემოკრატია, რომელიც იზიარებს წინამორბედის პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში.

„ეს ორი, მთავრობასთან ერთად, მოითხოვდა, ევროკავშირს დაეწყო უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის გამო მოსკოვისთვის დაწესებული სანქციების შერბილება, ხოლო **ანგელა მერკელი** კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მათ პოზიციას. მისი აზრით, რუსეთის ჯარები ჯერ უნდა გასულიყვნენ უკრაინის ტერიტორიიდან. შარშან, ზაფხულში შტაინმაიერს არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ, რომ ეჭვი ეპარება ტრანსატლანტიკური კავშირის სარგებლიანობაში და სასაცილოდ აუგდია ნატოს მანევრები აღმოსავლეთ ევროპაში, უწოდებდა მათ უაზრო აღლუმს, რომელიც მხოლოდ აღიზიანებს რუსეთს და სხვა არავითარი სარგებელი არ მოაქვს“, — ნათქვამია სტატიაში.

გაბრიელი დაეთანხმა მაშინ შტაინმაიერს და განაცხადა, რომ „თეორიულადაც არ ღირს შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს შეიძლება პოზიტიური შედეგი მოჰყვეს „იარაღის გამოყენებას“ რუსეთის წინააღმდეგ.

ამა წლის საპარლამენტო არჩევნებში კანცლერის თანამდებობისთვის იბრძოლებს კიდევ ერთი სოციალ-დემოკრატი **მარტინ შულცი,** ევროპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელსაც „ცვლილებების კანდიდატად“ მიიჩნევენ.

The Los Angeles Times:

# «ბუასილი აშშ-ის კონგრესზე უფრო პოპულარულია»

**ეს განაცხადა კალიფორნიის ყოფილმა გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა, რომელმაც სხვა დაავადებებიც შეადარა აშშ-ის კონგრესს.**

წაგებული აღმოჩნდა აშშ-ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

არნოლდი მხარს უჭერს კალიფორნიაში საარჩევნო ოლქების რეფორმირების იდეას; ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკოსები განმეორებით თავიანთ არჩევას ახერხებენ იმიტომ, რომ პრაქტიკულად თვითონ ადგენენ საარჩევნო რაიონების საზღვრებს, „თვითონ ხატავენ“. მისი აზრით, შექმნილია აბსურდული მდგომარეობა, რომელშიც „პოლიტიკოსები ირჩევენ ამომრჩევლებს, ნაცვლად იმისა, რომ ამომრჩევლებმა აირჩიონ პოლიტიკოსები“.

2002-2010 წლებში კალიფორნიაში 265-ჯერ გაიმართა აშშ-ის კონგრესის წევრების არჩევნები და მხოლოდ ერთ რაიონში შეიცვალა კონგრესში ადგილობრივი წარმომადგენლის პარტიული კუთვნილება. როცა 2012 წელს დამოუკიდებელმა კომისიამ გადახედა საარჩევნო ოლქების დემარკაციას, ოთხ რაიონში დაუყოვნებ-



ლივ შეიცვალა კონგრესში ასარჩევი მათი წარმომადგენლების პარტიული კუთვნილება. 14 მოქმედმა კანონმდებელმა გადაწყვიტა, არ არჩეულიყო ან წაეგო არჩევნები.



BBC:

# შვედმა მინისტრებმა და მოხელეებმა ჰიჯაბი დაიმშვენეს

**შვედეთის სამთავრობო დელეგაციის წევრები ირანში ვიზიტის დროს ჰიჯაბში გამოეწყვნენ, რითაც უცხოეთის პრესის მკვეთრი კრიტიკა დაიმსახურეს. შვედეთის მთავრობა კი აცხადებს, რომ „მსოფლიოში პირველი ფემინისტური მთავრობაა“, — ირონიულად შენიშნავს ბი-ბი-სი.**

ორი კვირის წინათ თეირანში ვიზიტით იმყოფებოდა დელეგაცია შვედეთის ვაჭრობის მინისტრის, ქალბატონ **ან ლინდეს** მეთაურობით. ირანის ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკების დროს ამ ქალბატონს ჰიჯაბი ეხურა. ცნობილმა ირანელმა უფლებადამცველებმა და შვედეთის პოლიტიკოსებმა დაგმეს მისი ამგვარი ჟესტი.

ლიბერალური პარტიის მეთაურმა **იან ბერკლუნდმა** განაცხადა, რომ მაშინ, როცა ირანში გათელილია ქალთა უფლებები, გასაოცარი და გაუგებარია, რომ შვედეთის მთავრობა, რომელსაც თავი მოაქვს ფემინისტურ მთავრობად, ხელს უწყობს ამგვარი პოლიტიკის განხორციელებას“.

ირანელმა ჟურნალისტმა ქალმა **მასიჰ ალინეჟადმა** გამოაქვეყნა შვედეთის პრემიერმინისტრის მოადგილის — **იზაბელა ლევინის** ფოტო კლიმატის შესახებ კანონზე ხელმოწერის დროს კოლეგა ქალების თანდასწრებით იმ ფოტოსურათთან ერთად, რომელზეც აღბეჭდილი არიან ჰიჯაბებშემოხვეული შვედეთის დელეგაციის წევრი ქალბატონები პრეზიდენტ **ჰასან რუჰანისთან** შეხვედრის დროს.

ჟურნალისტმა მოუწოდა ირანელ ქალებს, გამოაქვეყნონ თავიანთი ფოტოსურათები, რომლებზეც ისინი უჰიჯაბოდ არიან გამოსახულნი.

„თუ თქვენ ფემინისტებად მიიჩნევთ თავს, — მიმართა მან შვედ ქალებს, — და თანასწორობის მომხრენი ხართ, უთანასწორობას ყოველთვის და ყველგან წინ უნდა აღუდგეთ“.




CNN:

# კონგრესმენი უტევს

**ტელეარხ CNN-ის ეთერში რესპუბლიკელმა კონგრესმენმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ტრამპის ოდინდელ განცხადებას, რომ ეს არხი „ნაყალბევი ახალი ამბების“ შექმნის ადგილია: „ვფიქრობ, იმის მტკიცება, რომ თითქოს რუსები ცდილობდნენ, გავლენა მოეხდინათ აშშ-ში ტრამპსა და ჰილარი კლინტონს შორის არჩევის შედეგებზე, CNN-ის მოგონილია“, — განაცხადა კონგრესმენმა სტივ კინგმა, რომელიც აიოვას შტატის წარმომადგენელია აშშ-ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.**

გადაცემის წამყვანის — **ელისონ კემეროტის** რეპლიკაზე, რომ CNN-ს არ შეუთხზავს ინფორმაცია ამერიკულ არჩევნებში რუსეთის ჩარევის მცდელობაზე, კერძოდ, კიბერშელწევის მეშვეობით, და რომ ასეთი იყო 17 სადაზვერვო სააგენტოს შეფასება, რესპუბლიკელმა პოლიტიკოსმა მიუთითა: აშშ-ის დაზვერვის სამსახურების ანგარიშები **„ეფუძნება საზოგადოებრივ მოსაზრებებს ფაქტობრივი მტკიცებულების გარეშე“.**

**„მოდით გავარკვიოთ: კონგრესმენო, თქვენ არ გჯერათ, რომ რუსეთი ერეოდა?“** — ჰკითხა კემეროტმა.

**„მე არ ვიცი, ერეოდა თუ არა,** — უპასუხა კინგმა, — **მე მსურს, ვიხილო მტკიცებულებანი, წავიკითხო გაშიფრული ტექსტი, მოვისმინო აუდიო ჩანაწერი“.**

**„ბრექსიტის“ წარმატებამ თითქოს ძალა შეჰმატა ტრამპის მომხრეებს, ხოლო ამ უკანასკნელის წარმატებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ევროპულ არჩევნებზე. „ბრექსიტიც“ და ტრამპიც ახალ იმპულსს აძლევენ ევროპული ნაციონალისტური მოძრაობის იმედსა და მისწრაფებას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Life:

# როგორ გააბითურეს პრანკერებმა სენატორი მაკეინი

**მაკეინმა დაიჩივლა, რომ ამერიკის სენატში არნახულად ძნელი დრო დადგა. რუსმა პრანკერებმა — ვლადიმირ კუზნეცოვმა (ვოვანმა) და ალექსეი სტოლიაროვმა (ლექსუსმა) გაამჟღავნეს პატივცემული სენატორის გამასხარავების დეტალები. მხიარულმა ბიჭებმა, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გააფრთხილეს“ მაკეინი, რომ მისი პირადი სერვერები შეიძლება გატეხონ, რომ მის წინააღმდეგ ამზადებენ „მაკომპრომენტირებელ მასალებს“ იმის დასამტკიცებლად, რომ იგი მუშაობს რუსეთის სპეცსამსახურებისთვის, რომლებმაც ის ვიეტნამის ომის დროს გადაიბირეს.**



**Life** იტყობინება, რომ პრანკერებმა ამერიკელს უკრაინის პრემიერმინისტრ **ვლადიმერ გროისმანის** სახელით დაურეკეს. პასუხად მაკეინი დაჰპირდა, რომ მოერიდებოდა რუს ჰაკერებს — **აბირვალგსა** და **სლავიკს**, რომლებსაც სხვებთან ერთად შეეხო ბარაკ ობამას მიერ დეკემბერში დაწესებული სანქციები.

პრანკერებმა რესპუბლიკელ სენატორს ასევე აცნობეს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ დაგეშა „თავად ლექსუსი და ვოვანი“.

„დიდად მადლობელი ვარ ამ ინფორმაციისთვის. მე, რა თქმა უნდა, ფრთხილად მოვეკიდები ჩემი საუბრების შინაარსს, რომლებიც ეროვნულ უსაფრთხოებას შეეხება. გმადლობთ, სერ, ველოდები თქვენთან შეხვედრას. ჩვენ მოვიგებთ ამ ბრძოლას“, — განუცხადა გაბითურებულმა მაკეინმა ხულიგნებს. ხოლო იმ ინფორმაციის თაობაზე, რომელიც „უკრაინის პრემიერმა“ გაანდო, თითქოს მოსკოვი მის წინააღმდეგ მაკომპრომენტირებელ მასალებს ამზადებს, თქვა: „დაველოდები ამას. გმადლობთ, პრემიერმინისტრო, დაველოდები პუბლიკაციას იმის შესახებ, თუ როგორ გამომირეცხეს ტვინი ჩვენმა ჩრდილოვიეტნამელმა მეგობრებმა. ჰა-ჰა! გმადლობთ, პრემიერმინისტრო. მართალი რომ გითხრათ, ძალიან მაინტერესებს ამის (დაწვრილებით) გაგება. შეიძლება თქვენმა ელჩმა უფრო მეტი დეტალი გამაცნოს?“

საუბრის დროს რესპუბლიკელმა ასევე აღიარა, რომ ყველაფერს აკეთებს ანტირუსეთული სანქციების შესანარჩუნებლად. ხაზი გაუსვა, რომ მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, სენატში ძნელი დროება დადგა. „გამხნევებული ვარ იმით, რომ პუტინთან საუბრის შემდეგ ამ სანქციებზე კომენტარი არ ყოფილა“, — გაახარა ცრუგროისმანი სააკაშვილის მეგობარმა.

სენატორი ვარაუდობს, რომ ამერიკის ახალი სახელმწიფო მდივანი **რექს ტილერსონი,** რომელიც პუტინის მეგობრად მიიჩნეოდა, ძალიან ფრთხილად იქნება. „მე, აგრეთვე, ვიცი, რომ გენერალი **მეტისი** (პენტაგონის თავკაცი) სანქციების მომხრეა და იგი, როგორც მოგეხსენებათ, ფრიად გავლენიანია“, — აღნიშნა მან.

**TopNews-ი** წერდა, რომ ამ კურიოზამდე ვოვანსა და ლექსუსს გამასხარავებული ჰყავდათ სენატორები: **ლინდსი გრემი** და კონგრესში უმრავლესობის ლიდერი **მიტჩ მაკონელი.**

ჰოდა, ჩამოდიან ეს ბითურები თბილისში და ჭკუას გვარიგებენ!




Le Monde:

# მარინ ლე პენი პირველობს

**ფრანგული გაზეთის — „ლე მონდის“ ცნობით, საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის ლიდერობს მარინ ლე პენი. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, მას მხარს უჭერს 26 პროცენტი, ფრანსუა ფიიონს კი — მხოლოდ 18 პროცენტი.**

ფრანგი ობივატელი გაოგნებულია, მიაჩნია, რომ ასეთი რეალობა ფრიად სამწუხაროა, მაგრამ იძულებულია, მიიღოს ის, რაც არის, რადგან ამას არაფერი ეშველება.

ამ პოზიციაზე მდგარი ფრანგები თავს იმით იმშვიდებენ, რომ წინასაარჩევნო გამოკითხვები „არაფერს ნიშნავს“.

თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, მეხუთე რესპუბლიკაში დიდი ცვლილებები მოხდება, რაღაც მსგავსი „ტრამპი 2“-ისა.

დაველოდოთ. ალილო და ხვალეო, ნათქვამია.



The Week:

# ევროპული გაზაფხული — 2017 კარსაა მომდგარი

**„ეგებ დადგა კიდეც“, — წერს THE WEEK, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ევროპელების ნაციონალისტური მისწრაფებების ზრდის ტენდენციას და მათ მზადყოფნას, წერტილი დაუსვან მულტიკულტურიზმის თანამედროვე ეპოქას.**

საქონლისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, რომელიც ხორციელდება ბრიუსელის განათლებული პოლიტიკური ინტეგრატორების მიერ, უახლოეს მომავალში ხელი უნდა შეეწყო მარქსიზმის მიერ ოდესღაც დაპირებული სახელმწიფოებრიობის შესუსტებისთვის და კერძო კულტურული ფორმების, რომლებსაც ახასიათებს ეროვნული და დაემთავრებინა რელიგიური განსხვავებულობის საშიშროება, სრული ნიველირებისთვის. მაგრამ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: „ისტორიის დასასრულის“ ნაცვლად სცენაზე „ევროპული გაზაფხული-2017“ გამოჩნდა. ამპარტავან დასავლურ ელიტებს ამ მოულოდნელობამ თავზარი დასცა.

რამდენიმე კვირაში ჰოლანდიელები არჩევნებს ჩაატარებენ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ პირწავარდნილი ნაციონალისტი **ჰერტ ვილდერსი** და მისი „თავისუფლების პარტია“ აპირებენ 15 მარტის არჩევნების შედეგად პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებას. ვილდერსი თანამემამულეებს დაჰპირდა, რომ მოახდენს ნიდერლანდების „დეისლამიზაციას“, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ იგი ვერ შეძლებს ჩანაფიქრის განხორციელებას, რადგან სხვა პარტიებმა დაიფიცეს, არ შეუერთდნენ მისი პარტიის კოალიციას.

**ტერეზა მეის** დაჰპირდა, რომ დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ ირლანდია აამოქმედებენ 50-ე სტატიას და მარტის ბოლოსთვის დაიწყებენ მოლაპარაკებას „ბრექსიტის“ თაობაზე. ყველა მიიჩნევს, რომ ეს პროცესი რთული იქნება, მაგრამ რამდენად, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**მარინ ლე პენმა** ერთი წლის წინათ განაცხადა, რომ საფრანგეთი იღვიძებს. ბევრი მიიჩნევს, რომ მისი პარტია „ეროვნული ფრონტი“ დამარცხდება მემარჯვენე ცენტრისტებისა და მემარცხენე ცენტრისტების გაერთიანების შემდეგ. ნუ იქნებით დარწმუნებული, რომ ასე მოხდება! მისი მთავარი მოწინააღმდეგე **ფრანსუა ფიიონი** კორუფციულ სკანდალშია გახვეული.

მარინ ლე პენი ფრანგებს ჰპირდება, რომ მისი არჩევის შემთხვევაში იგი სტარტს მისცემს ევროკავშირიდან საფრანგეთის გამოსვლას, რომელიც დაუყოვნებლივ კრახის ზღვარზე დააყენებს ამ ევროპულ გაერთიანებას. თუ საფრანგეთი გავა, გერმანიას მოუწევს, გადახედოს თავის შესაძლებლობებს და არა მხოლოდ დაიბრუნოს თავისი ძველი ვალუტა, არამედ გააკეთოს ის, რაზეც ადრე ბერლინში არასოდეს დათანხმდებოდნენ: შესთავაზონ ევროკავშირის მცირე სახელმწიფოებს არა მხოლოდ მათი ვალების ჩამოწერა, არამედ ცხოვრების დონის გათანაბრებაც.

„ბრექსიტის“ წარმატებამ თითქოს ძალა შეჰმატა ტრამპის მომხრეებს, ხოლო ამ უკანასკნელის წარმატებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ევროპულ არჩევნებზე. „ბრექსიტიც“ და ტრამპიც ახალ იმპულსს აძლევენ ევროპული ნაციონალისტური მოძრაობის იმედსა და მისწრაფებას. ახლახან ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ ევროპის უმეტეს ქვეყანაში რესპონდენტების 25 პროცენტზე ნაკლები არ ეთანხმება მუსლიმური ქვეყნებიდან იმიგრაციის შეწყვეტის აუცილებლობას.

როგორც ჩანს, ადამიანებმა გაწყვიტეს ურთიერთობა იმ ეპოქასთან, რომელშიც ვცხოვრობთ, და მზად არიან, მომავალში მიიღონ და აღიარონ ახალი ერა.

მაგრამ ნაციონალისტების გამარჯვებას ევროპაში ჯერჯერობით გარდაუვალად არ მიიჩნევენ, მაგრამ რატომ უნდა ვენდოთ მშრალი ამინდის პროგნოზს იმ ადამიანებისგან, რომლებიც გაილუმპნენ ბოლო თავსხმა წვიმაში?!

დრო გვიჩვენებს.

РИА Новости:

# ვის დააქვს «ბირთვული ჩემოდანი»?

**საინფორმაციო პორტალმა TMZ-მა გამოაქვეყნა აშშ-ის პრეზიდენტ დონალ ტრამპის თანაშემწის ფოტოსურათი, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ქვეყნის პირველ პირს და თან დაატარებს „ბირთვულ ჩემოდანს“ — მოწყობილობას, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ამერიკის ბირთვული არსენალის ამოქმედება.**

ფოტოზე აღბეჭდილია სამხედრო აკადემიის, ვესტ პოინტის კურსდამთავრებული რიკარდო ტერნერი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სამხედრო თანაშემწედ მუშაობს. მას ფოტოსურათი გადაუღეს მაშინ, როცა პრეზიდენტის გუნდთან ერთად ფლორიდაში, პრეზიდენტის მამულში — მარ-ა-ლაგოში იაპონიის პრემიერმინისტრ სინძო აბეს ვიზიტისას იმყოფებოდა.



გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე მავნე სასმელი

**ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვებისა და ბევრი ზრდასრული ადამიანისთვის საყვარელი რძის კოქტეილი ორგანიზმზე ნეგატიური ზემოქმედებით ჰგავს ნარკოტიკს.**

სპეციალისტების აზრით, ეს სასმელი სახიფათოა იმით, რომ ხელს უწყობს ე.წ. ბედნიერების ჰორმონის წარმოქმნას, რომელიც ადამიანს უბიძგებს, კვლავ მიირთვას ეს სასმელი. ამასთანავე, რძის კოქტეილი შეიცავს შაქარს, რომლის ხშირად მიღებით ადამიანი წონას იმატებს და არ არის გამორიცხული, დიაბეტით დაავადდეს.



# როგორ ვიცოცხლოთ 90 წელზე მეტხანს

## მეცნიერების მიერ დამტკიცებული ხუთი საიდუმლო

**არსებობს შეკითხვები, რომლებზე პასუხიც მაქსიმალურად გაახანგრძლივებს ჩვენი გონებისა და სხეულის ახალგაზრდობას. მაგალითად, რატომ არ არის სასარგებლო რძის დალევა? რომელი ვიტამინების მიღება არ შეიძლება? როგორ მივაგნოთ დაავადებას, რომელიც ჯერ არ გვაწუხებს?.. მეცნიერებამ ხანგრძლივი სიცოცხლის 5 საიდუმლოს მიაგნო:**



**პირველი. ნაკლები — რძე და წითელი ხორცი, მეტი — სასარგებლო სანელებლები**

ჩვენი აქტიურობა, სიჯანსაღე ძალიანაა დაკავშირებული მეტაბოლიზმთან, ანუ ჩვენს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლასთან. დაახლოებით 25 წლამდე ეს პროცესები ორგანიზმში სწრაფად მიმდინარეობს და ორგანიზმიც საკმაოდ ბრძოლისუნარიანია და წარმატებით გვიცავს დაავადებებისგან. 30-ის შემდეგ კი ფიზიოლოგიური მეტაბოლიზმი იწყებს შენელებას.

დამტკიცეულია, რომ წლების მატებასთან ერთად ჩვენს ორგანიზმს ცხოველური ცილების გათავისება უძნელდება და ნივთიერებები, რომლებსაც შეიცავს წითელი ხორცი (საქონლის, ცხვრისა და ღორის) მუშაობას იწყებს არა ენერგიის გამოსამუშავებლად, არამედ ჟანგვით პროცესებზე, ხოლო დაჟანგული უჯრედები სხვადასხვა დაავადებას იწვევს — როგორც გულ-სისხლძარღვთა, ასევე ონკოლოგიურს. ამიტომ ექსპერტები 35-40 წელს გადაცილებულ ადამიანებს ურჩევენ, რომ ხორცი კვირაში მხოლოდ 1-2-ჯერ მიირთვან, თანაც არა შემწვარი. ორგანიზმისათვის აუცილებელ ცილას ადამიანის ორგანიზმი კარგად ითვისებს ქათმისა და ინდაურის ხორცისგან, ასევე კვერცხისგან.

ასაკის მატებასთან ერთად ორგანიზმს უჭირს რძის შეთვისებაც, რადგან არ ხდება ფერმენტის გამომუშავება, რომელიც დაშლის ლაქტოზას. ასე რომ, უმჯობესია რძის პროდუქტებზე გადასვლა.

ძალიან მნიშვნელოვანია რაციონში მწვანილის წილის გაზრდაც, როგორიცაა ოხრახუში, ქინძი, სალათის ფურცლები, კამა. იმ ქვეყნებში, რომლებშიც ტრადიციულად ბევრ სანელებლებს მოიხმარენ, ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო დიდია.

იმუნიტეტისთვის განსაკუთრებით სასარგებლოდ ითვლება: შავი პილპილი, კურკუმა და დარიჩინი.

**მეორე. ყველა ასაკს თავისი ვიტამინები სჭირდება**

წლების მატებასთან ერთად ჩვენს ორგანიზმს ნაკლებად აქვს A ვიტამინის მოთხოვნილება (ის გროვდება ორგანიზმში და 40 წლის ზევით მისი დამატებით მიღება არ ღირს). სამაგიეროდ იზრდება მოთხოვნილება B ჯგუფის ვიტამინებზე.

**რა სჭირდებათ ქალებს 40 წლის ზევით:**

* **ვიტამინები** $B_6$, C და ბიოფლავონოიდები, რომლებიც აუმჯობესებს ქალის ორგანიზმის იმუნიტეტს სტრესისა და დიდი დატვირთვის პირობებში.

* ვიტამინი D ხელს უწყობს კალციუმის შეწოვას ორგანიზმში.

* მაგნიუმი იცავს გულს დაავადებებისგან, დიაბეტისა და მსხვილი ნაწლავის კიბოსგან.

* არსებობს ვიტამინები, რომლებიც ქალის სექსუალური ფუნქციას ახანგრძლივებს. ქალური სქესობრივი ჰორმონების — ესტეროგენების — გამომუშავების სტიმულირებისთვის საჭიროა ვიტამინი K (რომელიც უხვადაა ისპანახში, გოგრაში, მწვანე ბარდაში, საქონლის ღვიძლში), ასევე, ფოლიუმის მჟავა (ბევრია ოხრახუშში, ყვავილოვან და თეთრთავიან კომბოსტოში).

— ფიტოესტეროგენებს შეიცავს ლობიო, ფინიკი, ბროწეული, წიწიბურა, ოსპი. ხოლო ამ ასაკისათვის სასარგებლო ნივთიერება **ლეგნანით** მდიდარია ლიმონი, ბრინჯი, ალუბალი და ვაშლი.

**რა სჭირდებათ მამაკაცებს:**

* ვიტამინი-ანტიოქსიდანტები (K, C და $B_6$). ისინი იცავს მამაკაცის ორგანიზმს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან და ანელებს დაბერების პროცესს.

* B ჯგუფის ვიტამინები ($B_6$, $B_{12}$ და ფოლიუმის მჟავა Bc) ჰომოცისტეინის მეტაბოლიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს ამინომჟავა ზემოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, იცავს გულს ინფარქტისგან. თუთია კი მამაკაცურ იმუნიტეტს ამაღლებს.



**მესამე. კბილებისთვის ყურადღების მიქცევა**

როგორც ჩანს, კბილების დღეში ორჯერ ჯაგრისით გაწმენდამ და რეგულარულად სტომატოლოგთან ვიზიტმა, შესაძლოა, სიცოცხლე 10 წლით გაგიხანგრძლოვოთ.

ექსპერტები ამას ასე ხსნიან: პირის ღრუში 350-ზე მეტი სახეობის ბაქტერიაა. ღრძილების დაავადებისას კი ეს ბაქტერიები სისხლში ხვდება და სხვადასხვა სერიოზულ დაავადებას იწვევს.

**მეოთხე. მივაგნოთ დაავადებას, რომელიც ჯერ არ გვაწუხებს**

ამჟამად ყველაზე მეტი ადამიანი, რომლებმაც 100-ს გადააბიჯეს, იაპონიაში ცხოვრობს. ეს იმის დამსახურებაა, რომ ჰიროსიმას ტრაგედიის შემდეგ იქ ჩამოყალიბდა პოლიკლინიკური მომსახურების საუკეთესო სისტემა. ჩვენთან კი ადამიანი ხშირად იმ შემთხვევაში მიმართავს ექიმს, როცა უკვე სერიოზულადაა ავად.

**მეხუთე. ნებისმიერ ასაკში შეისწავლეთ უცხო ენები**

ეს ხელს უწყობს გონების ვარჯიშს, მეხსიერების გაუმჯობესებას. მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ რთული ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრა, გაჯეტების გამოყენების ცოდნა, ორიენტირება ინტერნეტსივრცეში რეალურად იძლევა გამაახალგაზრდავებელ ეფექტს: ნაწილობრივ — ფსიქოლოგიურს, ნაწილობრივ — ფიზიკურს. გონებრივი მობილობა „ტვინში სისხლსააქტიურებს“, აუმჯობესებს რა მის ცირკულაციას უწვრილეს კაპილარებშიც კი.



# ვიტამინი $B_3$ მხედველობის პრობლემებისგან დაგვიცავს

**ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვიტამინი $B_3$, ასევე ცნობილი, როგორც ნიკოტინამიდი, ნიაცინი, ალკვეთს გლაუკომის განვითარებას ლაბორატორიულ თაგვებში.**

გლაუკომა თვალის ერთ-ერთი გავრცელებული დაავადებაა, რომელიც მსოფლიოში 80 მლნ ადამიანს აწუხებს.

ჩრდილოეთ კალიფორნიის მედიკოსები ცდებს ატარებდნენ თაგვებზე და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ვიტამინი **$B_3$** ხელს უშლის გლაუკომით დაავადებული ცხოველების თვალის ნეირონების დეგენერაციას.

მედიკოსებმა დაინახეს, რომ ახალგაზრდა თაგვების რაციონში ვიტამინ **$B_3$**-ის დამატება ალკვეთდა გლაუკომის ადრეულ სიპტომებს. ვიტამინ **$B_3$**-ის მიღება ასევე ხელს უშლიდა გლაუკომის განვითარებას შედარებით ასაკოვან თაგვებშიც, რომლებსაც დაავადების სიმპტომები უკვე გამოუვლინდათ. მეცნიერებმა იმის დემონსტრირებაც მოახდინეს, თუ როგორ აჩერებს დაავადებას გენური თერაპია.

ასე რომ, **ვიტამინ $B_3$-ის ადეკვატური მიღება მხედველობის პრობლემებისგან კარგი თავდაცვაა.** მედიკოსთა აზრით, **ნიაცინი** კარგ სამსახურს გაგიწევთ სხვა ნეიროდეგენერატიული დაავადებების დროსაც.



# რატომაა ალუმინის ჭურჭელი სასიკვდილოდ საშიში?

**ყველაზე საშიში ადამიანის ჯანმრთელობისთვის ალუმინის ჭურჭელია, — ასეთია ამერიკელი მეცნიერების აზრი. მათ დაადგინეს, რომ ალუმინის ქვაბები და სხვა სახის ჭურჭელი მზადდება ჯართისგან და, როცა მათში საჭმელი მზადდება, ის გამოყოფს მავნე ელემენტებს, როგორიცაა დარიშხანი და კადმიუმი.**

კვლევის პროცესში მეცნიერთა მიერ შესწავლილი ნიმუშების მესამედზე მეტი ორგანიზმისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა მათში შემავალი ტყვიის გამო. მსგავს „ქიმიურ სიურპრიზებს“ გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის განვითარებამდე მივყავართ.

ამას გარდა, აღინიშნა, რომ ალუმინის ჭურჭელთან ბავშვების რეგულარული კონტაქტი უარყოფით გავლენას ახდენს სკოლაში მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

უფრო ადრე კი დაადგინეს, რომ ალუმინი, შესაძლოა, სენილური დემენციის განვითარების მიზეზიც გახდეს.





# მეცნიერთა აზრით, ადამიანს შეუძლია 500 წელიწადს იცოცხლოს

**მსოფლიოს მეცნიერები ატარებენ კვლევებს, რათა შექმნან „უკვდავების ელექსირი“. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ დაახლოებით 30 წლის შემდეგ ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება.**

ამჟამად კი ჯანსაღი ცხოვრების წესის წყალობით ადამიანს შეუძლია 120 წელიწადს იცოცხლოს, ხოლო თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს მისი გაზრდა შეუძლია. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ კორპორაცია Google ასტრონომიულ თანხებს დებს გენეტიკურ კვლევებსა და სასიკვდილო დაავადებების დიაგნოსტიკაში. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სპეციალური მანქანები შეძლებენ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის პროცესისთვის ხელის შეწყობას და 500 წლამდე მის გახანგრძლივებას.



## მეცნიერებმა აშშ-ში დამანგრეველი მიწისძვრა და ცუნამი იწინასწარმეტყველეს



**კალიფორნიის შტატის ცნობილ ქალაქ სანტა ბარბარაში მეცნიერები მიწისძვრასა და ცუნამის პროგნოზირებენ.** აშშ-ის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გეოლოგიური რღვევის გამო ქალაქს კატასტროფა ემუქრება. ადრე მიიჩნევდნენ, რომ ეს სახიფათო არ იქნებოდა და აღნიშნულ ტერიტორიას ცუდი არაფერი დაემუქრებოდა. მაგრამ ახლახან კომპიუტერული მოდელირების საშუალებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასკილომეტრიან რღვევის ხაზს, რომელიც სანტა ბარბარას ქვეშ გადის და წყნარი ოკეანისკენ მიემართება, აქვს ეტაპობრივი სტრუქტურა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლია ის მიწისძვრის მიზეზი გახდეს. სეისმოლოგები უკვე პროგნოზირებენ, რომ პლიტების ტექტონიკა ბუნებრივ კატასტროფამდე მიგვიყვანს. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ კალიფორნიაში 8-ბალიანი მიწისძვრა მოხდება, რომელსაც ცუნამი მოჰყვება.

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავტომობილი Lucid Air, შესაძლოა, Tesla-ს ახალი კონკურენტი გახდეს





**კომპანია Atieva საკმაოდ დიდხანს აკეთებდა აკუმულატორებს ელექტრომობილებისთვის, შემდეგ კი მოულოდნელად მსოფლიოს საკუთარი ელექტროფურგონი წარმოუდგინა.**

Edna — ასე უწოდეს გამომგონებლებმა თავიანთ პირმშოს, რომელმაც დემონსტრირებისას ავტომობილი Tesla Model S და რამდენიმე სხვა მარკის მანქანა უკან ჩამოიტოვა. სწორედ ამან შთააგონა ფურგონის შემქმნელებს, სასწრაფოდ სახელი გამოეცვალათ და დაიწყეს თავიანთ ახალ ელექტრომობილზე — Lucid Motors-ზე მუშაობა, რომელიც ახლახან ლოს აჯელესში აჩვენეს.

მანქანას Lucid Air უწოდეს. **ის 2,5 წამში 100 კმ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო ერთი დამუხტვით შეუძლია 650 კმ გაიაროს. ეს მართლაც საამაყოა, რადგან მის კონკურენტ Tesla Model S-ს 100 კმ სიჩქარის ასაკრეფად 4 წამი სჭირდება, ერთი დამუხტვით კი მხოლოდ 540 კმ-ს გადის.**

გაიყიდება 2019 წლიდან და დაახლოებით 160 ათასი დოლარი ეღირება.





# კომპანია PAL-V შეკვეთებს იღებს მფრინავ ავტომობილებზე



**ამერიკულმა კომპანია PAL-V-მ მომხმარებელს აუწყა, რომ მსოფლიოში მფრინავი ავტომობილების პირველი სერიული მწარმოებელი იქნებოდა და, როგორც ჩანს, ის თავის სიტყვას ასრულებს.**

კომპანიის სპეციალისტებს რამდენიმე წელი დასჭირდათ მომავალი ავტომობილის კონსტრუქციის გულდაგულ ტესტირებისთვის. ახლა კი, როცა ძირითადი მოსამზადებელი ეტაპები უკან დარჩა, ავტომობილი PAL-V Liberty მზადაა. ეს ავტომობილი მსურველს 600 ათასი დოლარი დაუჯდება. სულ მალე კი ბაზარზე გამოჩნდება სპორტული მოდელი, რომელიც 400 ათასი ეღირება.

ავტომობილი PAL-V Liberty აღჭურვილია ავსტრიული კომპანია Rotax-ის 100-ცხენისძალიანი ძრავით. მას შეუძლია ავტომობილის როგორც გზებზე გადაადგილების უზრუნველყოფა, ასევე — ჰაერში ვერტმფრენის მსგავსად. ვერტმფრენიდან მანქანად მისი ტრანსფორმაციისთვის საკმარისია 10 წუთი. გზებზე ის 160კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო 100 კმ სიჩქარის ასაკრეფად 9 წამი სჭირდება. ჰაერში ეს სატრანსპორტო საშუალება 180 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს, მისი ფრენის მაქსიმალური სიმაღლე კი 3500 მეტრია. სავსე საწვავის ავზით მას 500 კმ მანძილის გაფრენა შეუძლია.





## მამაკაცმა, რომელმაც ფინანსური პრობლემის გამო, გარდაცვალების ყალბი ცნობა აიღო, თავი ციხეში ამოჰყო

**ბიზნესმენი სადაზღვევო კომპანიის მოტყუებას შეეცადა, მაგრამ სულელურად ჩაფლავდა.**

63 წლის ფლორიდელმა **ხოსე ლანტიგუამ**, რომელიც ავეჯის ბიზნესით არის დაკავებული, ფინანსური პრობლემების მოგვარება სადაძღვევო კომპანიის მოტყუებით სცადა. მან სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით მიიღო ფული. ამისთვის კი თაღლითობის ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა, მაგრამ ჩიტი ბრდღვნად ღირდა — ფსონზე 6,5 მილიონი დოლარი იდო.

საქმე ისე რომ წარმართულიყო, როგორც სურდა, ხოსემ თაღლითურ სქემაში ჩართო თავისი ცოლი. მან ქალს უამბო ზღაპარი, თითქოს ადრე არმიის სპეცდანიშნულების ოპერაციაში მონაწილეობისას გავლენიანი ნარკობარონი მოკლა, ახლა კი ამ ბანდის წევრები მოსაკლავად დასდევენ. ამიტომ თავისი და ცოლის უსაფრთხოების მიზნით გარდაცვალების სცენა უნდა გაეთამაშებინა და ცოტა ხნით გაუჩინარებულიყო.

ცოლმაც დაუჯერა ქმარს. მალე მამაკაცი ვენესუელაში გაფრინდა, ვითომ კრეიტცფელდ-იაკობის დაავადებისგან (ძროხის ცოფი) განსაკურნებლად. ხოსე ლანტიგუამ ვენესუელაში ადგილობრივი მოხელეები მოისყიდა და გარდაცვალების ყალბი მოწმობა მიიღო. ამის შემდეგ ის აშშ-ში დაბრუნდა. ერთგულმა ცოლმა კი, რომელიც ცდილობდა, თავისი ქმარი თავზეხელაღებული ნარკომოვაჭრეებისგან გადაერჩინა, სახლი იქირავა ჩრდილოეთ კაროლინაში, სადაც წყვილი 2 წლის განმავლობაში უზრუნველად ცხოვრობდა, სანამ ფედერალურმა აგენტებმა სიმართლე არ გამოააშკარავეს.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ნათელი მომავლის შექმნა ტელევიზიაში აყბედებულ, სასაცილო, მოდას აყოლილ, უცხოეთის ლაქია, მანჭვა-გრეხვაში დაოსტატებულ ქარაფშუტებს არ ხელეწიფებათ. საქართველოს ნათელი მომავალი ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლით მამულის უსაზღვრო სიყვარულის ქურაში ნაწრთობმა ერის საამაყო ახალგაზრდობამ უნდა გამოჭედოს!**

**ადამიანისთვის, რომელიც სატანის სამსახურშია და ნებიერი ცხოვრება საკუთარი სულის ეშმაკისთვის მიყიდვით მოუპოვებია, აღარც ისტორიის გაკვეთილები არსებობს და აღარც სამშობლოს სიყვარული. ამგვარი არსება უბედურებაა ერისთვის. საშინელმა გაჭირვებამ ადამიანებს ბრძოლის უნარი დაუქვეითა, მაგრამ წუთითაც არ უნდა შენელდეს საქართველოს გამთლიანებისთვის ბრძოლა და უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ერთიანობას მხოლოდ სუფთა ხელებისა და სპეტაკი სინდისის მამულიშვილები აღადგენენ.**

# ღამურა-ევროპელები

## «დამოუკიდებელი» საქართველო დღეს იმაზე უფრო სავალალო ყოფაშია, ვიდრე კოლონიის სტატუსით იქნებოდა




**დაუსჯელობის სინდრომის ტყვეობაში გაპაპაჯორებული «რუსთავი 2» თავს სახელმწიფოდ თვალის სახელმწიფოში და ქვეყნის სასიკეთოდ ამოძრავებას თვალში ჯოხივით ეჩხირება. ღვარძლის, შურის, მტრობისა და თვითნებობის ბუდე გაწბილებული კარიერისტებისა და ძალაუფლებადაკარგული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაგროვილი ბოღმის დანთხევის ადგილად იქცა**

რაც დღეს საქართველოში ხდება, ქვეყნისა და ერის ღალატია მათი მხრიდან, ვინც ესოდენ მორჩილად ასრულებს უცხოეთის დამამცირებელ მოთხოვნებს ყოველივე ქართულის საზიანოდ და საკუთარი თანამდებობის შესანარჩუნებლად.

**ვის ეკუთვნის საქართველო?**

იქნებ იმ ფულიან ბღენძთა კასტას, მამა-პაპათა სისხლით გაპოხილ მიწას მფარველთა საამებლად უცხოელებზე რომ არიგებს?!

როდემდე გაუძლებს ერი ამ პარაზიტთა გაუმაძღრობას?!

**დღეს „დამოუკიდებელი" საქართველო იმაზე უფრო სავალალო ყოფაშია, ვიდრე ოფიციალურად აღიარებული კოლონიის სტატუსით იქნებოდა.**

ჩვენი ღამურა „ევროპელების" გარდა, სხვა ვინ იკადრებდა ასე სამარცხვინოდეროვნული სიამაყით ვაჭრობას?!

**რისთვის გვინდოდა დამოუკიდებლობა?** ღამურა-ევროპელების ხუშტურების ზეგავლენით დასავლეთთან სამათხოვროდ?

დასავლელებმაც სწორედ მათხოვრად და თეთრკანიან პაპუასებად მიგვიღეს.

**ღამურა-ევროპელების დროშაზე წარწერას: „მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ ევროპელი", ქართველთა სულიერ და ზნეობრივ სისპეტაკესთან საერთო არაფერი აქვს, მეხსიერებას კი სამარცხვინოდ შემორჩა; ისევე, როგორც ნაციონალების მიერ ქართველი ხალხის დასაკნინებლად და გასაუბედურებლად წამოწყებული ცხინვალის ავანტიურა, რომელსაც ვერაფრით გაასაღებენ საქართველო-რუსეთის ომად, რადგან ქართველ და რუს ხალხს საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში ერთად დაღვრილი სისხლით ნაკურთხი ძმობა აკავშირებს.**

მათი მუხთლობა სამარცხვინოდ შემორჩება შთამომავლობას, ისევე, როგორც ბუმბერაზი სტალინის ძეგლთან აწრიპინებული ამ პარაზიტების მიერ დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისიდან გატანა და რეიგანის კი — რიყეზე წამოსკუპება.

ყველა ერს აქვს თავისი წილი სილამაზე კაცობრიობის დიდ თაიგულში. სხვა სხვის მიწაზე მხოლოდ ნარ-ეკალს ამრავლებს და ცდილობს, კაცობრიობის ეს საამაყო სილამაზე საფრთხობელად აქციოს. დღეს ჩვენ სწორედ ეს უბედურება გვჭირს — **საქართველოში ქართველების გადაგვარება-გადაჯიშების დემონი მძვინვარებს.** მაშ, რა შეიძლება ეწოდოს ტელევიზიის შოუმენთა უზნეო მასხრობას, რა ქნან, რაზე ისაუბრონ, როდესაც ქვეყანაში ყველაფერი წმინდა და სპეტაკის ტალახში ამოსათხვრელად ბილწთა და არამზადათა მარათონია გამართული?!

**მსოფლიოში აღიარებული, ნიჭიერი რეჟისორების სამჭედლო, მძლავრი კინოსტუდია დაწვეს. მეოთხედ საუკუნეზე მეტია, ერთი ნორმალური ფილმი არ გადაუღიათ. რა ქნან ამჟამინდელმა მსახიობებმა, სად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი? ტელეშოუებზე ატლინკებენ ახალგაზრდებს პოლიტიკური ღვარძლით, შურითა და ადამიანთა შეურაცხმყოფელი დიალოგებით.**

ამგვარ მოდას აყოლილთაგან რომელიმე ახალგაზრდა სცენაზე გამოდის და ინგლისურად მღერით იჭაჭება ისე, ინგლისელებს დამცინავ ღიმილს რომ მოჰგვრის. დარბაზში შეყრილნი აღფრთოვანებული ღრიალით ჭერს აზანზარებენ; „კომპეტენტური" ჟიურის წევრები ამ „გამაოგნებელი" მომღერლისთვის დაფნის გვირგვინის საძებნელად ქების ისეთ ლაბირინთში იბლანდებიან, სირცხვილისგან გაწითლებული ტელევიზორი გათიშვას ითხოვს.

გასართობი არც სხვა მხრივ გვაკლია: პირდაპირ ეთერში გამოიყვანენ ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკური თვალსაზრისის მქონე წარმომადგენლებს, სიტყვიერი ურთიერთშეურაცხყოფის შემდეგ ერთმანეთს დაერევიან და გალიერაში (მამლების ჩხუბი) მონაწილე მამლებივით აბდღვნიან ცხვირ-პირს. რა გაეწყობა, ასეთია დასავლეთის მიერ ჩვენთვის მოწონებული დემოკრატია.

ასეთი ყალბი დამოუკიდებლობა, ოქროსად შემოტყუებული, ლაყე კვერცხს ჰგავს, რომლითაც ევროატლანტიკური საკვებით დანაყრებული ილუზიონისტი ქოცმენი პარტიები ჟონგლიორობენ. არადა, ამ ლაყე კვერცხს ბზარები გაუჩნდა, მალე ხელში შემოემსხვრევათ და სიმყრალისგან ველარაფერი გარეცხავთ.

ისე, პრეზიდენტიც გვყავს, პარლამენტიც, მთავრობაც, დამოუკიდებელი სასამართლოც, ორასზე მეტი პოლიტიკური პარტიაც. დამოუკიდებლებს ვგავართ, აბა, რა! თუ ამერიკის ელჩს კადრების შერჩევისას იალღიში მოსდის, არ უნდა გვეწყინოს. მათაც ხომ ჰყავდათ პრეზიდენტად **ბუში**, ავსტრიას ავსტრალიისგან რომ ვერ არჩევდა?! **ობამას** კიდევ ეგონა, რომ ამერიკას 57 შტატი ჰქონდა (50-ის ნაცვლად), თავისი პრეზიდენტობის დიდ წარმატებად კი ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებას თვლიდა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მათი მოწონებული საქართველოს პრეზიდენტი მდიდარი სექსით იწონებს თავს?!

**დამისახელეთ საქართველოს გამთლიანებისთვის თავდადებული, უცხოეთის მიერ შემოსაღებული, გამთლიანებისთვის ფუჭი ყბედობის მამხილებელი, ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ სანთელივით ანთებული ერთი სკამოსანი მამულიშვილი მაინც, საქართველოს დამოუკიდებლობის მითი რომ დავიჯერო.**

საქართველოს დამაქუცმაცებელი, ხალხის გამლატაკებელი „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ცოდვიან პარლამენტში გუგულებივით სხედან. თბილისში პარლამენტის სხდომათა დარბაზის ამაოხრებელი და რუსთის არმიასთან დანა-ჩანგლით შებრძოლების მოწოდებით მეურმის მამალივით აყივლებული **დავით ბაქრაძე** (თვითონ წითელი ხიდისკენ რომ გარბოდა), იმის ნაცვლად, რომ პასუხი ეგო, დაცვით დაბრძანდება. **რისგან ან ვისგან იცავენ ამ ცოდვიანებს?**

იმის მაგიერ, რომ ქუჩაში გამოსულებს ხალხი აღფრთოვანებული შეძახილებით ეგებებოდეს, დაცვის ნაჭუჭში შემძვრალები დაძვრებიან, რათა ტელევიზიის ეკრანიდან ღვარძლისა და ბოღმის კორიანტელი დააყენონ. აბა, რა, დაცვა სჭირდება **სააკაშვილს, ადეიშვილს,** მოსამართლე **კუბლაშვილს; მერაბიშვილი** ისედაც „დაცულია"; **უსუფაშვილს** კი ნამდვილად სჭირდება დაცვა, სანამ საქართველოში მისი მოთხოვნით ამერიკის ბაზები არ აჯაგრულა, თორემ მერე აქეთ დაგვჭირდება მისგან დაცვა. **ამერიკის ელჩი კი ბაზების გარეშეც შეუფერხებლად ატრიალებს ქართველთა ბედის ბორბალს წაღმაუკუღმა.**

ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ენაგალესილმა წარმომადგენლებმა, თავაწყვეტით რომ უსრულებენ მფარველებს სურვილებს, იქნებ ხალხს აუწყონ, ვის, რომელ პოლიტიკოსს დაენიშნა დაცვა, რათა არავინ გამორჩეთ და ქუჩაში ფეხქვეშ არ გაიგდონ. თანხაზე ნუ დაღონდებიან: თუ ბიუჯეტიდან არ ეყოფათ, აგერ არიან პენსიონერები. რა მნიშვნელობა აქვს, შიმშილით ორ თვეში გასძვრებათ სული თუ ორ კვირაში?! ჰოდა, ის ვაიპენსია გაუნახევრეთ ან სულ მოუსპეთ. სწორედ ასე დაუნიშნავთ დაცვას ყველა ავსა და ბოროტს, რათა „შარდენბარში" განცხრომისას ვინმემ არ გატყიპოს.

**ევროატლანტიკელ მფარველებს ნაციონალებზე ფიქრი არ ასვენებთ და საქართველოს ხელისუფლებას ყველანაირი მეთოდით უშლიან ხელს, სააკაშვილის რეჟიმის სისხლიანი ნაკვალევი რომ არ გამოჩნდეს.** ამას ხალხი ძალიან კარგად ხვდება და მწარე ღიმილით აკვირდება ნაციონალთა ამ ჭირისუფლების დემოკრატიისნილბიან ვოიაჟს. ესენიც იმის მაგიერ, რომ ყოველდღე ეკლესიაში ლოცვით მოინანიონ ჩადენილი ცოდვები, უსირცხვილოდ იბრალებენ იმის დამცველობას, რასაც თვითონვე სპობდნენ და ანადგურებდნენ. **ევროპული დემოკრატია, ადრე ნაციონალების ძალადობაზე ყურსაც რომ არ აპარტყუნებდა, ახლა ცდილობს ამ ყვავების გათეთრებას, მაგრამ ავიწყდება, რომ ყველა ყვავი ყრანტალებს, შავია თუ თეთრი.**

**შედეგად, დაუსჯელობის სინდრომის ტყვეობაში გაპაპაჯორებული „რუსთავი 2" თავს სახელმწიფოდ თვლის სახელმწიფოში და ქვეყნის სასიკეთოდ ამოძრავებას თვალში ჯოხივით ეჩხირება.** ღვარძლის, შურის, მტრობისა და თვითნებობის ბუდე გაწბილებული კარიერისტებისა და ძალაუფლებადაკარგული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაგროვილი ბოღმის დანთხევის ადგილად იქცა. ქვეყანა შეწუხდა მათი თავხედობით. უცხოეთის წნეხის მიუხედავად, მათ მიმართ ხელისუფლების მხრიდან მართალი, პრინციპული და შეუპოვარი პოზიციის დაკავება ხალხის ინტერესების დაცვის ტოლფასია.

დრო კი არ ჩერდება, წუთისოფლის ბორბალიც შეუფერხებლად ბრუნავს. დღევანდელობაც ხვალინდელობას შერჩება მისი ყველა ავ-კარგისთვის კუთვნილი ადგილის მისაჩენად.

დღეს კი სასოწარკვეთამდე მისულ ადამიანებში ნევროზი, ფსიქოზი და უამრავი სულიერი დაავადება მძვინვარებს. გაუსაძლისი ყოფა ადამიანებს სულს უხუთავს, საშინელი სტრესით ტანჯავს... შველა სჭირდება ხალხს და არა მუქარა, მუშტი და სასჯელი. ამაზე უარესი უბედურებისთვის დაუღწევია თავი ქართულ ჯიშსა და ჯილაგს, რადგან გადაგვარებულ უძღებ შვილებზე ასჯერ და ათასჯერ მეტი ჰყოლია სამშობლოსთვის თავდადებული ერისშვილი, ხალხის მწუხარებითა და სიხარულით რომ ცხოვრობენ. მათ არ სჭირდებათ დაცვა, რადგან სიყვარული, ადამიანთა ბედნიერებისთვის ბრძოლა, ერისკაცობა ამშვენებთ.

დღეს შვებად და იმედად ჩანს ფსიქოთერაპევტი **გივი მაზმიშვილი**, კაცი ქველმოქმედი, სიტყვით რომ კურნავს სნეულ ადამიანებს. ამ გაჭირვებული ცხოვრების ჟამს უცხოეთში მდიდარი, პატივითა და აღიარებით გაჯერებული საქმიანობა რომ მიატოვა და საქართველოში დაბრუნდა ხალხისთვის ამ მძიმე ყოფის თავისი შესაძლებლობით შესამსუბუქებლად. ასეთი ადამიანი უნდა ლაპარაკობდეს ტელევიზიის ეკრანიდან, დამშეული ხალხისთვის კერძების მზადების ჩვენების ნაცვლად.

საქართველოს ნათელი მომავლის შექმნა ტელევიზიაში აყბედებულ, სასაცილო, მოდას აყოლილ, უცხოეთის ლაქია, მანჭვა-გრეხვაში დაოსტატებულ ქარაფშუტებს არ ხელეწიფებათ. საქართველოს ნათელი მომავალი ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლით მამულის უსაზღვრო სიყვარულის ქურაში ნაწრთობმა ერის საამაყო ახალგაზრდობამ უნდა გამოჭედოს!

**გივი სომხიშვილი**,
მწერალი

**ბაღსაცავ ზოლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ზონებში, რეკომენდებულია ხისა და ბუჩქნარი მცენარეების შემდეგი ჯიშები: ალვის ხე, კანადური ვერხვი, შავი ფიჭვი, ევროპული ნაძვი. დამატებით შეიძლება გამოყენებული იყოს ტყემალი, თუთა, კომში, შინდი. წიწვიანი მცენარეები უნდა დაირგოს გაზაფხულზე, ხოლო ფოთლოვანის დარგვა შეიძლება შემოდგომითაც.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.



**ხეხილის ბაღის გაშენებისას მთავარი საბაღე ადგილის შერჩევა და გაშენების წესების დაცვაა. სწორად შერჩეული საბაღე ადგილი, შესაბამისად, შერჩეული ხეხილოვან კულტურათა ჯიშების სორტიმენტი, გაშენების დროისა და წესების დაცვა განაპირობებს მცენარეთა დროულ განვითარებას, რაც მაღალხარისხოვანი და სტაბილური მოსავლის წინაპირობაა.**

# როგორ გავაშენოთ ხეხილის ბაღი

## საბაღე ადგილის შერჩევა

ბაღის გასაშენებლად უნდა შეირჩეს ადგილი, რომელზეც წყალი არ გუბდება და კარგად იწრიტება. გასათვალისწინებელია რელიეფი და მისი ექსპოზიცია. საქართველოს მეხილეობის ცენტრალურ რაიონებში ხეხილის გასაშენებლად საუკეთესოა მდინარისპირა ტერასები და მთის კალთები 3-50-ის, აგრეთვე, 10-120-იანი დაქანების ფერდობები. 120-ზე მეტი დაქანების ფერდობები ათვისებული უნდა იქნეს დატერასებით, რაც ხელს შეუწყობს ნიადაგში ეროზიული პროცესების შეჩერებას.

სიმაღლე დიდ გავლენას ახდენს ხეხილოვან მცენარეთა გავრცელებაზე. ხშირად ნაყოფის მომცემი კულტურული მცენარეები 2000 მეტრ სიმაღლემდეც ხარობს. მეხილეობის კლასიკურ ზონად მიღებულია ზღვის დონიდან 400-დან 800 მეტრამდე სიმაღლე, თუმცა სამრეწველო მიზნით ბაღების გაშენება შესაძლებელია ზღვის დონიდან 1200 მეტრამდეც.

რელიეფური განსხვავების გათვალისწინებით საქართველოს მეხილეობის სხვადასხვა ზონაში ხეხილის გასაშენებლად რეკომენდებულია:

* **აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური მეხილეობის ზონებში ბაღის განლაგება მცირე დაქანების (3-50) ფერდობებზე. სამხრეთ-აღმოსავლეთისა და დასავლეთის კალთები უფრო ტენიანია და საუკეთესოდ ითვლება. ასევე უპირატესობა ეძლევა მთის კალთების შუა ნაწილს.**

* დასავლეთ საქართველოში, სადაც ტენისა და სითბოს დეფიციტი არ შეინიშნება, გასაშენებლად გამოდგება ყველა მიმართულების დაქანება, თუმცა, უფრო ხელსაყრელია დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის დაქანებები.

* **მთიან რაიონებში, სადაც ხეხილისთვის სითბოს რეჟიმი არასაკმარისია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამხრეთის დაქანების მთის კალთებს. ამასთანავე, ნიადაგის ჭარბტენიანობის პირობებში, ყველაზე ხელსაყრელია ფერდობის შუა და ზედა მესამედი ნაწილი.**

საბაღე ადგილის შერჩევისას მნიშვნელოვანია რეგიონში გავრცელებული ქარების მიმართულებისა და სიძლიერის გათვალისწინება, რადგან მათი მოქმედება შეიძლება უარყოფითად აისახოს ნიადაგში ტენის დაგროვება-შენარჩუნებაზე, ნარგავების დგომის სისწორეზე, ინტენსივობაზე და ა.შ. ამიტომ საბაღე ფართობი უმჯობესია, შეირჩეს ქარებისგან შედარებით დაცულ ადგილებზე. ასეთი ადგილების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში აუცილებელია ბაღის გასაშენებლად გამოყოფილ ნაკვეთზე 4-5 წლით ადრე ან უკიდურეს შემთხვევაში ბაღის გაშენებისთანავე საცავი ზოლების მოწყობა, რაც მაღალი და ხარისხიანი მოსავლის რეგულარულად მიღების საწინდარია.

საბაღე ფართობის შერჩევისას აუცილებელია **სარწყავი წყლით უზრუნველყოფის** საკითხის მოგვარება. ბაღის გაშენებამდე ნაკვეთი უნდა გასარწყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაღის გაშენება მიზანშეუწონელია. უნდა მოეწყოს სპეციალური სარწყავი სისტემა მორწყვის თანამედროვე წესების გათვალისწინებით.

საბაღე ნაკვეთის შერჩევისას უნდა **შემოწმდეს როგორც ნიადაგი, ისე ქვენიადაგი და გრუნტის წყლის დგომის დონე** ყველაზე უფრო ჭარბტენიან პერიოდში. საბაღედ შერჩეულ ნაკვეთზე გრუნტის წყლის დონის დასადგენად რამდენიმე ადგილას უნდა გაითხაროს დაახლოებით 1,5 მ სიღრმის ორმოები. თუ ამ სიღრმეზე გრუნტის წყალი არ აღმოჩნდა და, ამასთანავე, ნიადაგისა და ქვენიადაგის პირობები საერთო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ ასეთი ნაკვეთი გამოდგება ხეხილის ბაღის გასაშენებლად.

ბაღის გაშენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს **ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები** ხეხილის სხვადასხვა კულტურის მოთხოვნების შესაბამისად. საბაღე ნიადაგის სწორად შესარჩევად აუცილებელია ნიადაგის საველე და ლაბორატორიული გამოკვლევა. ხეხილის ბაღის გასაშენებლად საუკეთესოა სტრუქტურიანი, ღრმა, კარგი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და აერაციის მქონე ნიადაგი, რომელიც წყალგამტარ ქვენიადაგებზე მდებარეობს და ტენიანობის შთანთქმის დიდი უნარით ხასიათდება. ხეხილოვანი კულტურების გაშენება უმჯობესია ალუვიურ, მდელოს ყავისფერ, ტყის ყავისფერ, ტყის ყომრალ, რუხ ყავისფერ, შავმიწისებრ და შავმიწა ნიადაგებზე.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ზამთარში ნიადაგი არ იყინება და წლის განმავლობაში ნალექების დიდი რაოდენობაა (ბათუმის, ქობულეთის, სენაკის, აბაშის, ზუგდიდის, ხობის, ფოთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, სამტრედიის და სხვა რაიონებში) გრუნტის წყლის სიუხვის გამო აუცილებელია სადრენაჟო ქსელის მოწყობა.

ფერმერულ მეურნეობებში ბაღების გაშენება და რეკონსტრუქცია უნდა ჩატარდეს წინასწარ შედგენილი და მოწონებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე. ბაღი უნდა გაშენდეს საქართველოს მეხილეობის ცალკეული ზონის მიხედვით დადგენილი კულტურებით და საუკეთესო ჯიშებით.

**ხეხილის ბაღის გაშენებისას უნდა შეირჩეს ჯიშები, რომლებიც ურთიერთდამტვერვით განაყოფიერდებიან. ნორმალური მსხმოიარობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ბაღში ფუტკრით დამტვერვა. ჰექტარი ხეხილის ბაღის ნორმალურად დასამტვერავად საჭიროა ფუტკრის ორი ოჯახი.**

ხეხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლისას შხამქიმიკატებისა და ჰერბიციდების გამოყენება მეფუტკრეობას დიდად აზარალებს ხოლმე. ამ ღონისძიებების გატარებისას, ფუტკრის განადგურების თავიდან ასაცილებლად შემუშავებულია რიგი ღონისძიებები: ხეხილის ყვავილობის პერიოდში შხამქიმიკატების გამოყენება დაუშვებელია. შხამქიმიკატების გამოყენებამდე 5-6 დღით ადრე უნდა ეცნობოს ფუტკრის მფლობელებს წამლობის შესახებ. მეფუტკრეები ვალდებულნი არიან, მიიღონ სათანადო ზომები — შესაწამლი ზონიდან გადაიტანონ საფუტკრეები.

## საბაღე ტერიტორიის ორგანიზება

ტერიტორიის ორგანიზება გულისხმობს ბაღის გასაშენებლად შერჩეული ფართობის მაქსიმალურად ათვისებას, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის წარმოების რენტაბელობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. საბაღე ფართობის ორგანიზება ითვალისწინებს მთლიანი ფართობის კვარტლებად დაყოფას და შესაბამისად, საგზაო, სამელიორაციო ქსელებისა და ბაღსაცავი ნარგაობის მოწყობას.

**დიდ სამრეწველო ბაღებში, კვარტლები შეიძლება იყოს 10 ჰექტრამდე; თუ ბაღის სიგრძეა 400 მ, სასურველია, სიგანე იყოს 250 მ; ინტენსიურ ბაღებში, სანერგეებსა და კენკროვანთა პლანტაციებში კვარტალი იყოფა 100-მეტრიან უჯრედებად, რომელთა შორის ტოვებენ 3-4 მეტრის სიგანის გზებს. კვარტლები, უმჯობესია, განლაგდეს ქარების პერპენდიკულარულად; ჩვენი ქვეყნის პირობებისთვის ეს არის ჩრდილო-სამხრეთის განლაგება;** ფერდობის 40-ზე მეტი დაქანების შემთხვევაში, კვარტლები უნდა განლაგდეს სიგანეზე, ისე, რომ ნიადაგის დამუშავება და სხვა ღონისძიებები ჩატარდეს დახრილობის გარდიგარდმო მიმართულებით. თუ საბაღედ შერჩეული ტერიტორია მოიცავს დიდ მასივებს, ფართობზე გაჰყავთ მაგისტრალური გზები, რომლებიც ტერიტორიას ჰყოფს თანაბარ თარგებად. ამ შემთხვევაში, მთავარი გზები გაჰყავთ მისი მოხაზულობის მიხედვით და მათი სიგანე 8-10 მეტრს შეადგენს.

**ფერდობებზე, რომელთა დახრილობა 80 აღემატება, გზა უნდა მიდიოდეს ნაწილობრივ ზიგზაგისებურად, რათა შეიზღუდოს ნიადაგის ეროზია და არ შემცირდეს ტრანსპორტის ტვირთზიდვა.**

**ქარსაფარი ზოლი** — მის მოწყობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკვეთებზე, რომლებიც მოქცეულნი არიან ძლიერი ქარების ზონაში. ყველა ნაკვეთისთვის აუცილებელი არ არის ქარსაფარი ზოლების გაშენება ბაღის ყველა მხრიდან. თუ ქარებს ახასიათებს ერთი ან ორი მკვეთრად განსაზღვრული მიმართულება, ასეთ შემთხვევაში საკმარისია ბაღსაცავი ნარგაობები შეიქმნას მხოლოდ იმ მხრიდან, საიდანაც ქრის ქარი.

ქარსაფარის გასაშენებლად უნდა შეირჩეს ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული ხე-მცენარეები. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია გაბატონებული ქარების სიძლიერე და ხასიათი, რომლის მიხედვითაც შეირჩევა ოპტიმალური დაშორება ქარსაფრებს შორის: ძლიერი ქარების შემთხვევაში ქარსაფარი მოეწყობა 200 მეტრის დაშორებით, ხოლო, სუსტი ქარების შემთხვევაში — 300 მეტრის დაშორებით.

ქარსაფარი ზოლების დაშორება ძირითადი ნარგაობიდან უნდა იყოს ისეთი, რომ არ გამოიწვიოს დაჩრდილვა. Eეს მანძილი საშუალოდ 12-15 მეტრით განისაზღვრება. ძირითადი დამცავი ზოლების გასაშენებლად გამოიყენება 4-6 რიგი (ზოგ შემთხვევაში 6-8 რიგი), ხოლო განივი ზოლებისთვის — 2 რიგი. რიგებს შორის მანძილი უნდა იყოს 2-2,5 მ, ხოლო, რიგში მცენარეთა შორის მანძილი — 1-1,5 მ. გაშენების სქემად ირჩევა ჭადრაკული წესი. **ბაღსაცავ ზოლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ზონებში, რეკომენდებულია ხისა და ბუჩქნარი მცენარეების შემდეგი ჯიშები: ალვის ხე, კანადური ვერხვი, შავი ფიჭვი, ევროპული ნაძვი. დამატებით შეიძლება გამოყენებული იყოს ტყემალი, თუთა, კომში, შინდი. წიწვიანი მცენარეები უნდა დაირგოს გაზაფხულზე, ხოლო ფოთლოვანის დარგვა შეიძლება შემოდგომითაც.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

**იუზა ვასაძე,**
**ვაჟა კვალიაშვილი,**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები



**ხეხილის ბაღის გაშენებისას უნდა შეირჩეს ჯიშები, რომლებიც ურთიერთდამტვერვით განაყოფიერდებიან. ნორმალური მსხმოიარობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ბაღში ფუტკრით დამტვერვა. ჰექტარი ხეხილის ბაღის ნორმალურად დასამტვერავად საჭიროა ფუტკრის ორი ოჯახი**

# რადიკალურ ისლამზე უფრო საშიში

**საქართველოსგან განსხვავებით, სადაც გიულენის საგანმანათლებლო სისტემის შემოჭრას მედიისა და ხელისუფლების მხრიდან სრულიად გაუგებარი იგნორირება მოჰყვა, ხოლო თურქეთში ივლისის პუტჩზე რეაქცია ისეთი იყო, თითქოს სადღაც, ჩვენი პლანეტის გადასაკარგავში განხორციელდა და არა აქვე, ყურისძირში, აზერბაიჯანში მყისვე გამოეხმაურნენ.**



ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი „კავკასიონი“ 15 ივლისის მოვლენების კვალზე დაუყოვნებლივ დახურეს და მხოლოდ მას შემდეგ განაახლებინეს მუშაობა, რაც თურქი დამფუძნებლები აზერბაიჯანელებით შეცვალეს. ერთ-ერთი უმსხვილესი და პოპულარული კერძო ტელეარხი ANS-ი დახურეს, როგორც კი მან ფედჰულა გიულენისთვის ჩამორთმეული ინტერვიუს ეთერში გასვლა დააანონსა.

**რა ფინანსები კვებავს გიულენისტებს?**

ფედჰულას ხალხი მილიარდერად მიიჩნევს, მაგრამ ვერავინ ამბობს, საიდან, რა გზებითა და საშუალებებით შეძლო მან ამ მილიარდების დაგროვება.

**ექსპერტ სემენ ბაღდასაროვის ცნობით, ფედჰულა გიულენის საგანმანათლებლო იმპერია 26 მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული.** „ეს სკოლები და უნივერსიტეტები ოფიციალურად მუშაობენ, იხდიან გადასახადებს, შეიძლება მიახლოებით გამოვიანგარიშოთ მათი შემოსავალი და მოგება, — ამბობს ანალიტიკოსი, — მაგრამ სპონსორების მიერ გაწეული ხარჯები, კორპორაციებისა და კერძო პირების მიერ გაცემული ფულისა და კერძო პირების შემოწირულობების დათვლა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული“.

**სპეციალისტების აზრით, მსოფლიოში გიულენისტების რაოდენობა 5 მილიონს აღწევს, ხოლო იმათი რაოდენობა, ვინც მათ თანაუგრძნობს, გაცილებით მეტია, ამიტომ ძნელდება მისი მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლა, მისი საგანმანათლებლო ქსელის სხვა პრინციპებზე აგებული სისტემით ჩანაცვლება.** „მართალია, გიულენის სკოლების საპირწონედ ერდოღანმა დააარსა ფონდი „მაარიფი“, მაგრამ თურქეთში არ არის იმდენი მასწავლებელი, რომ მათით ჩაანაცვლოს მსოფლიოს 164 ქვეყანაში მოქმედი გიულენის სკოლების მასწავლებელთა კოლექტივები“, — წერს ექსპერტი **აგიჰ ალესკერი.**

## „შენ ჭამდი მათ პურს და სვამდი მათ წყალს“

არის თუ არა გიულენიზმი ისლამური მოძღვრება, ანალიტიკოსი **ელხან შაჰინოღლუ** ასე უპასუხებს: „...გიულენიზმს ისლამთან ცოტა რამ აქვს საერთო. გიულენი ხვდება რომის პაპს, იცავს ისრაელს, ნებას რთავს ქალებს, იარონ თავსაბურავის გარეშე და მოკლე კაბით; მამაკაცებს შეუძლიათ დალიონ ალკოჰოლური სასმელები. ეს ყველაფერი კი ისლამის კანონებს ეწინააღმდეგება... გიულენის პროექტი გაუგებარია ობივატელისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც, მისი გაკონტროლება ძნელია, რადგან იგი გაზავებულია პოლიტიკურ სისტემაში“.

გიულენიზმს, — განაგრძობს შაჰინოღლუ, — ნარკოდამოკიდებულების მსგავსად მხოლოდ სისხლის ანალიზით თუ გაარკვევ, გარეგნული სიმპტომები არ გააჩნია — ყველაფერი არსშია ჩაქსოვილი: „თუ ვაჰაბიტს იოლად გამოარჩევ — მოშვებული წვერით, ქადაგებით, გიულენისტებს — ვერაფრის დიდებით: „ამ ბიჭებში ჩიპია ჩანერგილი“.

**აგიჰ ალესკერი** კი ასე ახასიათებს ამ მიმდინარეობას: „ჩვენ წინაშეა სტრუქტურა, რომელიც იმართება ზემოდან ქვემოთ კიბის მსგავსი სისტემის მიხედვით. მწვერვალზე დგას გიულენი. მას მოსდევს „შვიდეულის საბჭო“, რომლის წევრები, როგორც წესი, კურირებენ გარკვეულ ქვეყნებს და პასუხს აგებენ ორგანიზაციის ყველა საქმეზე. მათ განეკუთვნებიან ქვეყნის იმამებიც. ყველა ქვეყანაში არის სხვადასხვა კატეგორიის იმამები; მაგალითად, იმამები, რომლებიც კურირებენ პოლიციას, სახელმწიფო დაწესებულებებს. ამათ გარდა, არის ქალაქის იმამი, რომელიც ქვეყნის იმამს ემორჩილება, თვითონ მას კი ემორჩილება იმამი, რომელიც საცხოვრებელ სახლებზეა პასუხისმგებელი. იმამებს ზუსტი იერარქია აქვთ დაწესებული. ამ ქსელის რომელიმე წევრს შვილი თუ შეეძინება, მას სახელს დაარქმევენ ინფორმაციის გადაცემის გზით უმდაბლესი რგოლიდან თვით გიულენამდე და ზემოდან ქვემოთ შეატყობინებენ (როგორც დირექტივას). იმის გამო, რომ თურქეთში ბავშვებს ჩვეულებრივ ორმაგ სახელს არქმევენ, უმეტეს შემთხვევაში, ერთ-ერთი სახელი გიულენია“.

აქ ერთი დეტალია საინტერესო: **მეორე სახელი პასპორტში არ იწერება, რადგან მაშინ გიულენისტების გამოვლენა უადვილესი იქნებოდა.**

გიულენის მოძღვრების ექსპერტები თვლიან, რომ ამ მოძრაობის ქვაკუთხედია ზნეობის, ერთგულებისა და თავდადების საკითხები. **თურქული სკოლებისა და უნივერსიტეტების მოსწავლეებსა და სტუდენტებს მუდმივად შთააგონებენ, რომ ისინი არარაობანი არიან, რომ ყველაფერი, რასაც მიაღწიეს, იმ ორგანიზაციის წყალობაა, რომელსაც ერთგულებით უნდა გადაუხადონ ვალი.**

სასწავლო დაწესებულებებში არსებულ ვითარებას ასე აღგვიწერს თურქი ხალხების კონგრესის პრეზიდენტი **ედილ მარლის უულუ:**

„14 წლისა პოლიციის კოლეჯში მიგაბარებენ, შემდეგ ოთხ წელიწადს პოლიციის აკადემიაში გაატარებ. 8 წლის განმავლობაში სახელმწიფო შეგინახავს. შენ მისი ძალივით ერთგული ხდები. სწავლების პროცესში ორი მხრიდან ახდენდნენ ჩვენს დამუშავებას. პირველები გიულენისტები იყვნენ, მეორენი — ნაციონალისტი-თურანისტები (ალტაიდან ბოსფორამდე ერთიანი პოლიტიკური სივრცის შექმნის იდეის მიმდევარნი). თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად და ძალდაუტანებლად გადაგიბირებენ: ჯერ სტუმრად მიგიწვევენ. იმ მშობლების შვილები, რომელთაც ოჯახში ჩაიც კი არ აქვთ, უცებ სადღაც გაიქცევიან და საკვებით სავსე პარკებით დაბრუნდებიან. მე ვხედავდი, როგორ იწერდნენ თავიანთ ბლოკნოტებში, რამდენი დაეხარჯათ საკვების საყიდლად, რამდენი — გზის ფულად. მაშინ ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევდით... **შემდეგ გაირკვა, რომ შენ ჭამდი მათ პურს, სვამდი მათ წყალს, დავალებული ხარ მათგან და ვერაფერზე უარს ვერ ეტყვი.**

შემდეგ გაგაგზავნიან საზაფხულო ბანაკებში, სადაც უფრო ინტენსიურად დაგამუშავებენ. გაგიჩნდება დიდ და ძლიერ სტრუქტურასთან თანაზიარობის გრძნობა, განგიმტკიცდება ნდობა მისდამი.

ბიჭებს, რომლებმაც ეს ყველაფერი გაიარეს, თითქოს ჩაენერგებათ რაღაც ჩიპი. მათ ვერ წარმოუდგენიათ, იცხოვრონ ამ თემის (საზოგადოების) მიღმა, მაგრამ, **თუ ვინმე გაბედავს და გადააბიჯებს საზღვარს, მას ყველა შესაძლებლობას მოუსპობენ. თუ დაქირავებული მენეჯერია, დაითხოვენ, თუ ბიზნესმენია, ყველა ბიზნესკონტრაქტს გაუწყვეტენ და გააკოტრებენ. მათ ოჯახის დანგრევაც კი ხელეწიფებათ, რადგან თემის წევრებს ხშირად იმამები ურჩევენ, შეირთონ ისეთი ქალი, რომელიც გიულენის იდეალების თანამოაზრეა...**

შეიძლება ნაჯახით თავის მოკვეთა, რასაც რადიკალი ისლამისტები სჩადიან, მაგრამ შეიძლება ადამიანი სხვაგვარადაც „მოკლა“: მოუსპო სოციალური სტატუსი, დააკარგვინო სამუშაო, სახელი გაუტეხო ახლობლებსა და ნათესავებში, მოკლედ, დესოციალიზაცია მოახდინო მისი“.

გიულენისტებმა არმიაშიც შეაღწიეს, საქმეში ჩახედულნი ამტკიცებენ, რომ სამხედრო მოსამსახურე შეიძლება საგანგებოდ დაეთროთ, რათა ტვინიდან გამოერეცხათ ყურანის პრინციპების ერთგულების მცდელობაც კი. **ვიცე-პოლკოვნიკის ჩინამდე ოფიცრების 90 პროცენტი გიულენისტია. ისინი, უმთავრესად, ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები არიან, რომლებიც არმიის შემწეობით ელიტაში მოხვდნენ.** ამის გამო ემადლიერებიან გიულენს.

2007 წელს თურქეთის პოლიციამ აღმოაჩინა მანამდე უცნობი ულტრანაციონალისტური ქსელი სახელწოდებით „ერგენეკონი“, რომელსაც შემდგომ „სიღრმისეული სახელმწიფო“ დაარქვეს. ამ ქსელში გაერთიანებული იყვნენ არა მხოლოდ არმიისა და პოლიციის ოფიცრები, არამედ ჟურნალისტებიც და აკადემიკოსებიც, რომლებიც თურქეთში ისლამური წესების ოპოზიციის ბირთვს წარმოადგენდნენ. ასობით ადამიანი დააპატიმრეს მაშინ. **ზოგიერთი მკვლევარი შემდგომ აცხადებდა, რომ შეთქმულების დამამტკიცებელი მასალები გაყალბებული იყო და, საერთოდ, საეჭვოა, იყო თუ არა ასეთი შეთქმულება. დაპატიმრების ნებართვას გიულენისტი-პროკურორები გასცემდნენ. იმათ ადგილზე, ვინც მაშინ ციხეში გაამწესეს, მივიდნენ სხვები, რომელთა უმრავლესობა, ასევე, გიულენისტები იყვნენ.**

ასე შეძლო ფეთჰულა გიულენმა, აეღო ყველაზე მიუდგომელი ციხესიმაგრე — არმია, ბოლო წინაღობა, თურქეთში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებ გზაზე რომ იყო აღმართული.

## ერთი მედლის ორი მხარე

სწორედ ასე ახასიათებენ ერდოღანსა და გიულენს ანალიტიკოსები. 2010 წლამდე ისინი ერთ მიზანს ერთგულებდნენ: დაესუსტებინათ არმიის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ისინი ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ და ასეთივე ბუნებრივი მტრები გენერლებისა, რომლებიც აღიზარდნენ ქემალ ათათურქის იდეებზე.

აქვე განვმარტოთ, რომ სამხედროების უფლებამოსილება, როგორც თურქეთის რესპუბლიკური მოწყობის დამცველებისა, ჩაწერილია კონსტიტუციაში, რაც მათ ნებას აძლევს, ნებისმიერ მომენტში ხელთ იგდონ ძალაუფლება. ისიც სათქმელია, რომ უკანასკნელ ათ წელიწადში ერდოღანმა არმიის გავლენა და პრესტიჟი მნიშვნელოვნად დააკნინა.

პოლიტიკოსსა და იმამს შორის ბზარი 2010 წლის მაისში გაჩნდა, როცა ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული 6 გემი შეეცადა, გაერღვია ღაზის სექტორის ებრაელთა ბლოკადა. ამ აქციის — „თავისუფალი ფლოტილიის“ უკან იდგა თურქეთი. მაშინ ფედჰულა გიულენმა საჯაროდ დაგმო თურქეთის ხელისუფლების მოქმედება და შეაფასა, როგორც კონტრპროდუქტიული. დაპირისპირება გაღრმავდა 2013 წელს თურქეთში გამჟღავნებული კორუფციული სკანდალის კვალზე, რომელიც მასშტაბური ოპერაციის — „დიდი ქრთამის“ შედეგების გასაჯაროების შედეგად აგორდა. სკანდალში ჩათრეული აღმოჩნდნენ მნიშვნელოვანი სამინისტროების ხელმძღვანელები, ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, პირადად ერდოღანისადმი ლოიალურად განწყობილი სახელმწიფო მოღვაწენი.

იდეოლოგიური დაპირისპირება ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა: ერდოღანმა ყოფილი მოძღვრის გავლენის ნიშნები საბოლოოდ ჩამოიბერტყა, — მიიჩნევს პოლიტოლოგი **ჯავიდ მოვსუმლი.**

ამ ფონზე რის მიღწევა სურს გიულენს? ერთი შეხედვით, იგი ქადაგებს მოთმინებას, მორჩილებას, ცხოვრების სწორ წესს, მაგრამ სინამდვილეში რა სურს იმამს, არავინ იცის. ერთი რამ ცხადია: პოლიტიკურ ასპარეზზე იგი თავისი მომხრეების განსაკუთრებულ ადგილსა და როლზე აცხადებს პრეტენზიას.

**„გიულენის მოძრაობა, გარკვეული აზრით, „ალ ქაიდასა“ და „ისლამურ სახელმწიფოს“ ქმედებაზე უფრო საშიშია“,** — აცხადებს ელხან შაჰინოღლუ.

ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, გიულენის მიზანია იდეალური მუსლიმური სახელმწიფოს აშენება, მაგრამ სხვა ანალიტიკოსების მტკიცებით, იგი ისწრაფვის „ოქროს შთამომავლობის“, სუპერადამიანების აღსაზრდელად, რომლებიც ასეთ სახელმწიფოს შექმნიან. აღმოსავლური სიბრძნე ქადაგებს: „მტრის დამარცხება თუ გსურს, აღზარდე მისი შვილები“. აქ უნდა ვეძებოთ გიულენის საგანმანათლებლო მსოფლიო ქსელის სათავე: ასეთი სკოლების ყველაზე დიდი რაოდენობა, თურქეთის შემდეგ, აშშ-ია, სადაც მათი რიცხვი 150-ს აღწევს.

**გიულენმა განუხორციელებელი პუტჩის შედეგად დათმო პოზიციები თურქეთში და ანკარისადმი ლოიალურად განწყობილ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგრამ გაიძლიერა მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამდე ექსპერტები მოვლენების ასეთ განვითარებას წინასწარმეტყველებდნენ: აშშ-ში დღეს პრეზიდენტი შავკანიანი კაცია, ხვალ იქნება ქალი, ზეგ — გიულენისტი.

დღეს აშკარაა, რომ ასეთ პერსპექტივას საფუძველი გამოეცალა.

**არმაზ სანებლიძე**
**(უცხოურ პუბლიკაციებზე დაყრდნობით)**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894